852 ო/16232


# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი 5-11 იანვარი 2009 №1 (3494) ფასი 1 ლარი


## სცენაზეა ექტორ რაულ კუპერი!



სიძე-პატარძალი



ექტორ რაულ კუპერის ტანგო

## სადაურსა სად აცეკვებ...

ვინ საიდან არ ჩამოსულა საქართველოში, მაგრამ ქართული სუფრის ეშხს ვერავინ გაქცევია...

ვინც გინდათ, თქვით, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, სახელიანი თუ უსახელო... ოღონდ უცხოელი იყოს და ოღონდ ქართულად აქეიფეთ... ეჭვი არ შეგეპაროთ, სამუდამოდ დაამახსოვრდება...

ეს ალბათ ერთ-ერთ იშვიათი „სფეროა“, ქართველებს კიდევ რომ შეგვიძლია ვინმეს გაკვირვება...

ვის, ვის და, ექტორ რაულ კუპერს ვერავინ დაახასიათებს სიტყვაიაფ კაცად. ყოველთვის გულჩათხრობილი, სერიოზული და მშრომელი ადამიანის იერი აქვს. მაგრამ...

საქართველოს ეროვნული ნაკრების არგენტინელმა თავკაცმა ქართულ წრეში ისეთი ტანგო იცეკვა, მქუხარე ტაშმა ლამის დარბაზი დაანგრია. ეს ამბავი ნაკრების მეკარეთა მწვრთნელ მამუკა აბუხერიძის ვაჟის ქორწილში მოხდა.

ქართული ღვინით შეზარხოშებულმა კუპერმა პატარძლის მეჯვარე გამოიცეკვა და...

ქორწილის გარდა დონ ექტორს ტაშს სტადიონზეც ვუსურვებთ და აქვე ცხადია, ახალდაოჯახებულ წყვილსაც მოგვიანებით ვულოცავთ გაბედნიერებას!



## ლევან ყენია მსოფლიოს ტოპ-30-ში!



**ლევან ყენიას** კიდევ ერთი აღიარება! უცხოურმა გამოცემა „სპორტსპრესმა“ 18 წლის ქართველი მსოფლიოს 30 საუკეთესო ტალანტს შორის დაასახელა — სიაში მოხვდნენ 1990 წელს და შემდეგ დაბადებულები.

მართალია, ყენია ტოპ-30-ში ბოლო ადგილზეა, მაგრამ „სპორტსპრესი“ იქვე აკეთებს განმარტებას: „ისმის კითხვა, რატომ არ ათამაშებენ მას „შალკეში“? სწორედ ესაა მიზეზი, რომ ქართველი ტალანტი უფრო მაღალ საფეხურზე ვერ მოხვდა“.

ლევანის დახასიათებაში ისიც წერია, რომ კლაუს ტოპმიოლერმა ის ლეო მესის შეადარა — მესის თამაშის მანერითაც ჰგავს და არანაკლებ ნიჭიერია, ასეთ ტალანტთან არასოდეს მიმუშავიაო...

ახლა კი ტოპ-30-ის საუკეთესო ათეულს გთავაზობთ: პირველ ადგილზე „ბარსელონას“ ყმაწვილვარსკვლავი ბოიან კრკიჩია...

1. კრკიჩი (ესპანეთი, ბარსელონა);
2. ალან ძაგოევი (რუსეთი, ცსკა);
3. ტონი კროოსი (გერმანია, ბაიერნი);
4. მირალემ პიანიჩი (ბოსნია, ლიონი);
5. მარიო ბალოტელი (იტალია, ინტერი);
6. აარონ რამსეი (ინგლისი, არსენალი);
7. ბათუჰან კარადენიზი (თურქეთი, ბეშიქთაში);
8. სოტირის ნინისი (საბერძნეთი, პანათინაიკოსი);
9. მარტინ გალვანი (მექსიკა, კრუზ ასული);
10. ლუკმან ჰარუნა (ნიგერია, მონაკო).

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სად ომი და სად ქორწილი?!

## კალაძე პროკურატურას მილანში იწვევს




კახა კალაძე და ანუკი არეშიძე

„კახა კალაძისა და ანუკი არეშიძის დაქორწინებამ ბევრი გოგონა გაანბილა. „მილანის" ვარსკვლავი ხომ საქართველოში ყველაზე სასურველი სასიძო გახლდათ" — წერს ერთ-ერთი უკრაინული ვებგვერდი და იქვე ვრცელ ინტერვიუს გვთავაზობს ფეხბურთელთან. მთავარი თემა სწორედ კახა და ანუკია...



ანდრეი შევჩენკო და კრისტენ პაზიკი

**— თქვენ გვითხარით, რომ ანუკი მილანში გაიცანით. ეს როდის მოხდა?**

— ერთი წლის წინ. მეგობრებმა დამირეკეს და მითხრეს, მილანში ქართველი გოგონა ჩამოდის — სამოდელო სააგენტოში უნდა იმუშავოსო. სხვათა შორის, ანუკი პირველად ჩამოდიოდა იტალიაში და მთხოვეს, საჭიროების შემთხვევაში დავხმარებოდი. დამაინტერესა. გავეცანით ერთმანეთს და რაც დრო გადიოდა, ნელ-ნელა ვეჩვეოდით.

**— ურთიერთობის კანონში მოქცევის ინიციატორი რომელი იყავით, შენ თუ ანუკი?**

— ორივე. მოდით, რეალურად შევხედოთ სიტუაციას. უკვე 30 წლის ვარ და მარტო ცხოვრება მომწყინდა. მივხვდი, რომ სერიოზული ურთიერთობის დროც მოვიდა და ამ მომენტში ღმერთმა გამომიგზავნა სასურველი ადამიანი. ანუკიში დარწმუნებული ვარ. ასევე მჯერა, რომ მასთან ერთად ღრმა სიბერემდე ვიცხოვრებ.

**— ჯერ ანუკის მშობლებს დაეკითხეთ?**

— ჩვენთან ეს მიღებული არ არის, თუმც ანუკის მშობლებს ვიცნობ. ჩვენ ჩავედით თბილისში და ვუთხარით, რომ დაქორწინებას ვაპირებთ. ისინი წინააღმდეგნი არ იყვნენ.

**— ასე მოკრძალებულად რატომ აღნიშნეთ ქორწინება? მხოლოდ ხელი მოაწერეთ და სულ ესაა?**

— იმედია, ქორწილი გვექნება. ქორწილის გადახდას სექტემბერში საქართველოში ვაპირებდით, თუმცა აგვისტოში მიმდინარე საშინელი მოვლენების გამო გადადება მოგვიხდა. სხვა თუ არაფერი, არასწორად გამიგებდნენ: ხალხი იღუპება და რა დროს ქორწილია?! მშობლიურ საქართველოში მიმდინარე ომი გულთან ახლოს მიმქონდა, ბევრი ადამიანი დაიღუპა. საშინელებაა, ქართველები ხომ სულ 5 მილიონი ვართ. მოკლედ, ქორწილი ახლა არ შეიძლება. უკეთესია, გაზაფხულზე ან ზაფხულში.

**— მილანში არ სჯობდა ქორწილის გადახდა?**

— მე ბევრი მეგობარი მყავს საქართველოში, იტალიაში, უკრაინაში, რუსეთში... მინდა, რომ ქორწილში ყველანი მოვიწვიო, აი, მილანში კი ბევრნი ვერ ჩამოვიდოდნენ. თუნდაც ვიზის პრობლემა ავიღოთ.

**— ანდრეი შევჩენკოს დაპატიჟებთ?**

— აუცილებლად. შევა ჩემი კარგი მეგობარია და მიხარია, რომ ისევ „მილანშია". მე და ის არა მხოლოდ ვარჯიშებზე ვხვდებით ერთმანეთს.

**— უკრაინაში ზოგიერთმა შევჩენკო დიდი ფეხბურთიდან ჩამოწერა, მისი დრო წავიდაო. ეთანხმებით მათ?**

— და ანდრეიმ რომ ერთ თვეში ისევ დაიწყოს გოლების გატანა, მერე რაღას იტყვიან ეს „ზოგიერთები"? რა თქმა უნდა, შევჩენკოს ახლა კარგი პერიოდი არ უდგას, თავის დროზე „მილანიდან" წასვლით შეცდომა დაუშვა, თუმცა ნელ-ნელა კრეფს ფორმას.

**— ამბობენ, კარლო ანჩელოტი შევჩენკოს დაბრუნების წინააღმდეგი იყოო. იქნებ ამიტომაც ვერ ახერხებს ანდრეი ძველებურად თამაშს?**

— ანჩელოტი წინააღმდეგი რომ ყოფილიყო, შევას ტრანსფერი არანაირად არ შედგებოდა. დამიჯერეთ, ასეა.

**— ანუკიმ და შევჩენკოს მეუღლე კრისტენ პაზიკმა საერთო ენა გამონახეს?**

— კრისტენი ლონდონში ცხოვრობს, ამდენად მათ ურთიერთობის საშუალება არ აქვთ. თუმც შევას მეუღლე მილანში შაბათობით ან კვირაობით ჩამოდის-ხოლმე.

**— თქვენ როდის ჩამოხვალთ კიევში?**

— ჯერ არ ვიცი. ბოლოს ზაფხულში ვიყავი. თუ დრო მომეცემა, ყოველთვის ვცდილობ კიევში წასვლას — იქ ბევრი მეგობარი მყავს. უკრაინელ ხალხს ძალიან ვაფასებ, ყოველთვის თბილად მხვდებიან.

**— მაშინ არცთუ სასიამოვნო კითხვას დაგისვამთ: ამასწინათ უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს მოწამვლის საქმეზე კიევში, გენერალურ პროკურატურაში ანდრეი გუსინი გამოიძახეს. ამბობდნენ, შევჩენკო და კალაძეც უნდა დაკითხონო. ამაზე არაფერი გაგიგიათ?**

— გავიგე და კარგა ხანს ვიცინოდი. პროკურატურიდან წერილი არ მომსვლია, თუმც თუ ვინმეს მართლა აქვს კითხვები ჩემს მიმართ, ჩამოვიდნენ მილანში და რასაც შემეკითხებიან, ვუპასუხებ.

# კუპერი ძველით ახალ წელს ჩამოვა



**ჰექტორ რაულ კუპერი** ძველით ახალ წელს ჩამოვა თბილისში.

საქართველოს ეროვნული ნაკრების არგენტინელი მწვრთნელი ახალ წელს მშობლიურ ქვეყანაში შეხვდა — ქალაქ ფერო-კარილში, სადაც დაიბადა და გაიზარდა.

თბილისში ჩამოსვლიდან ათიოდ დღეში ექტორ რაულ კუპერი საირლანდიო შემადგენლობას დაასახელებს.

შეგახსენებთ: ბრიტანელებთან მატჩი 11 თებერვალს გაიმართება დუბლინში.

**ილია ნანობაშვილი**

# კობი ავად გამხდარა

**გელზენკირხენის** „შალკემ" ვარჯიში განაახლა, თუმცა ლევან კობიაშვილის გარეშე.

„ხუმარების" ექიმმა ჩვენიანს შინ ყოფნის ნება დართო — კობი გაციებულია და სიცხე აქვს.

გუნდთან ერთად ემზადება ტრავმამოშუშებული ლევან ყენია...

ამასობაში, გერმანულმა „ბილდმა" დაწერა, „შალკეში" ალიაქოთიაო. კერძოდ, 3 იანვრის ვარჯიშზე გელზენკირხენელებს თურმე 9 ფეხბურთელი აკლდათ — ყველანი სამხრეთამერიკელები.

ბრაზილიელები აქამდეც შემჩნეულნი იყვნენ შვებულების გახანგრძლივებაში, შალკელთა ზე რობერტუს კი უთქვამს — რა უბედურებაა ასეთი მოკლე დასვენება, თანაც, გერმანიაში ახლა ძალიან ცივაო.




„ამის შემდეგ არც არის გასაკვირი, „შალკე" ბუნდესლიგაში ოდენ მეშვიდე ადგილზე რომ არის" — წერს „ბილდი".

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველს ნორვეგია გამოუჩნდა




**20 წლის** ქართველი თავდამსხმელი მიხეილ ბარაბაძე, შესაძლოა, ნორვეგიულ „მოსში" გადავიდეს.

ბარაბაძე ამჟამად დანიის ქვედალიგელ ჰიკ-ში ირიცხება და გუნდის საუკეთესო ბომბარდირია.

არც „მოსია" ნორვეგიის უმაღლესლიგელი — რანგით მეორე ლიგაშია, თუმც ტიტულებით ქვეყნის საუკეთესო კლუბთა შეიდეულში შედის.

ბარაბაძე საკმაო ხანს დანიის სუპერლიგელ „ესბიერგში" ვარჯიშობდა, მისით „ვეილეც" იყო დაინტერესებული და ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**



სარბიელელები ვულოცავთ
ბოლნისის „სიონის"
ნახევარმცველ კობა
შალამბერიძეს და სოფო
ებრალიძეს ქალიშვილის
მარიამის
დაბადებას!
ახალშობილს ჯანმრთელობა და
ბედნიერება არ მოჰკლებოდეს!



კახა კალაძე (კიევის „დინამო")



გოჩა ჯამარაული (დონეცკის „მეტალურგი")



ვასილ გიგიაძე (სიმფეროპოლის „ტავრია")

# სამი ქართველი უკრაინის ტოპ-ტრანსფერებში!

**უკრაინულმა** „ფუტბოლმა" ქვეყნის ჩემპიონატების ისტორიაში 20 ყველაზე წარმატებული ლეგიონერის ტრანსფერი გამოაქვეყნა, სადაც სამი ქართველი მოხვდა.

კახა კალაძე (1998 წელს თბილისის „დინამოდან" კიევის „დინამოში") მესამე ადგილზე გავიდა.

19 წლის ქართველ მცველში კიეველებმა 280 ათასი ევრო გადაიხადეს, 2001 წელს კი „მილანში" 15 მილიონ დოლარად გაყიდეს!

კალაძემ უკრაინულ გრანდში 117 მატჩი ჩაატარა და ქვეყნის მასშტაბით გათამაშებული ყველა ტიტული არაერთხელ მოიგო, ჩემპიონთა ლიგაში კი ერთხელ ნახევარფინალში, ერთხელაც მეოთხედფინალში ითამაშა.

მე-14 ადგილზე გავიდა გოჩა ჯამარაულის ტრანსფერი შვეიცარიული „ციურიხიდან" დონეცკის „მეტალურგში" (2002 წელს).

„ჯამარა" ახალ გუნდში გადასვლიდან რამდენიმე კვირაში კაპიტნად დანიშნეს, მაშინ „მეტალურგი" ისტორიაში პირველად გავიდა ევროთასებზე და იქაც მშვენივრად ითამაშა ქართველმა 10-მა ნომერმა.

გოჩამ უკრაინის ჩემპიონატში 57 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა, საგოლე პასებს კი თვლა არ ჰქონდა.

ჯამარაულმა დონეცკში ხუთ მწვრთნელთან იმუშავა და მეხუთე გამოდგა საბედისწერო — მანამდე თუ ყველა ენდობოდა და გუნდის ლიდერად აღიარებდა, სერბმა სლავოლიუბ მუსლინმა თავიდანვე ალმაცერად შეხედა.

ვასილ გიგიაძე მე-16 ადგილზე გავიდა.

2000 წელს „ტავრიამ" თბილისის „დინამოდან" ჩალის ფასად იყიდა ქართველი ფეხბურთელი, რომელიც სიმფეროპოლელი ფანებისთვის გოლის სიმბოლო იყო.

გიგიაძე უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა და გუნდის კაპიტანიც. ის თბილისის „დინამოში" შემტევი ნახევარმცველი გახლდათ, უკრაინაში კი ფორვარდად აქციეს.

არ გაინტერესებთ, ვინ გაასწრო კალაძეს?

მეორე ადგილზე ხორვატი დარიო სრნას „ჰაიდუკიდან" „შახტარში" გადასვლა (2003 წელი) დაასახელეს — სრნა უცვლელად ხვდება სეზონის სიმბოლურ ნაკრებში და ორჯერ ჩემპიონატის რჩეულადაც დაასახელეს.

სავარაუდოდ, ხორვატი მარჯვენაფლანგელი მალე რომელიმე გრანდში მსუყე თანხად გადავა.

პირველი საფეხური კი ბელარუს ვალენტინ ბელკევიჩის ტრანსფერს ერგო, ვინც მინსკის „დინამოდან" კიევის „დინამოში" 1996 წელს გადავიდა.

ვითომ, ბელკევიჩმა კალაძეზე მეტი სარგებელი მოუტანა უკრაინულ კლუბს? სავარაუდოდ, მისი პირველობა დროის ფაქტორმა უფრო განაპირობა — ბელარუსმა 12 წელი შეალია კიეველებს.

**ილია ნანობაშვილი**

დავით ოდიკაძემ ბევრი ნახა საქართველოს ჩემპიონატში, „თბილისისა" და „დინამოს" ლიდერ-კაპიტანი იყო, ტიტულებიც მოიგო, საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც დამკვიდრდა — ამიერიდან კი კარიერას უცხოეთში გააგრძელებს.

„ოდოს" „დინამოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა თავისუფალი აგენტია — ოთხი კლუბი იწვევს და დღე-დღეზე აირჩევს სასურველს...

# სადაც წავალ, უნდა ვითამაშო!

## ოდიკაძის სახლიდან ოთხი გზა მოჩანს



— ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სახლიდან მივდივარ. „დინამო" მართლაც ჩემი მეორე სახლი იყო, ეს კლუბი ყოველთვის ძვირფასი იქნება ჩემთვის და წარმატებას ვუსურვებ — გვითხრა ოდიკაძემ, ვისაც გუშინ დავუკავშირდით.

— „დინამოსთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე საუბარი აღარ ყოფილა?

— შეიძლება ითქვას, ვერ შევთანხმდით. მეც უცხოეთისკენ მიმიწევდა გული.

— ვიცით, რომ უნგრულ „დიორ ეტოს" უნდა შენი გადაბირება. კიდევ რა გუნდებისგან გაქვს მიწვევა?

— ორი უკრაინული კლუბია: ხარკოვის „მეტალისტი" და კიევის „არსენალი". ასევე აზერბაიჯანული „ნეფთჩი".

— ყველაზე რეალური რომელია?

— ალბათ, „დიორ ეტო". მეც იქ მირჩევნია. უნგრეთი უფრო შუაგულ ევროპასთანაა და ამიტომ.

— „დიორ ეტოს" ვარიანტი საიდან გამოჩნდა?

— ამდენი არ ვიცი. თვითონ დამიკავშირდნენ.

— „ნეფთჩის" ბოლო ვარიანტად განიხილავ?

— როგორ გითხრათ. ბაქოში სერიოზული გუნდის გაკეთება სურთ, ამბიცია არ აკლიათ, მაგრამ მაინც უნგრეთში მირჩევნია. ორ-სამ დღეში საბოლოოდ გადაწყდება ჩემი საკითხი. ისეთ გუნდშიც არ წავალ, სადაც სათადარიგოთა სკამზე დამსვამენ. უნდა ვითამაშო!

**ილია ნანობაშვილი**

# იტალიამ ტრაპს ბარი გაუმზადა

**2010 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩები თებერვლიდან განახლდება. უფრო სწორად, თებერვალში ერთი მატჩია — 11-ში საქართველო ირლანდიას ესტუმრება.

1 აპრილს კი „სამყურები" იტალიაში უნდა ჩავიდნენ და აპენინელებმა უკვე დაადგინეს ამ მატჩის გამართვის ადგილი. „სკუადრა ადურა" ირლანდიას ბარიში, „სან ნიკოლას" სტადიონზე უმასპინძლებს.

იტალიაში უკვე ძალიან დიდ ინტერესს იწვევს ორი დიდი ტაქტიკოსის, მარჩელო ლიპის და ჯოვანი ტრაპატონის მომავალი დაპირისპირება.

შეგახსენებთ: ტრაპატონი წლების წინ იტალიის ნაკრების თავკაცი იყო და თბილისშიც ჰყავდა გუნდი ჩამოყვანილი...

**კახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| ირლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ჩერნოგორია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| საქართველო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| კვიპროსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბოლნისის „სიონის" ამჟამინდელ თავკაც ოთარ კორღალიძეს 2 იანვარს 50 წელი შეუსრულდა. კორღალიძის თამაში ძველი თაობის გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ, იგი ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ორჯერ გამხდარა და საკავშირო ჩემპიონატშიც არაერთი გოლი გაუტანია. იუბილარი ინტერვიუზე უყოყმანოდ დაგვთანხმდა და ჯერ ის ვკითხეთ, როგორ გრძნობს თავს 50 წლის ასაკში...**



# ოთარ კორღალიძე 50 წლისაა!

## კუპერის არგენტინული ცეკვა და სიონის ახალი შენაძენები

— განსაკუთრებული არაფერი მიგრძვნია. ჩემი გული ისევ ახალგაზრდულად ძგერს, ენერგიაც ძველებური მაქვს და სამუშაოდ ვემზადები.

**— საკმაოდ დიდი ხანი ითამაშეთ ფეხბურთი, დღეს კი მწვრთნელი ხართ. ამ ორ საქმეს შორის დიდი განსხვავებაა?**

— ფეხბურთელობა შეუდარებელი რამეა, უზომოდ დიდ სიამოვნებას ვიღებდი ფეხბურთელობისას. ასეთი გრძნობა მწვრთნელობისას ველარ დაგეუფლება.

**— თქვენს კარიერაში ყველაზე მეტად რაზე ნანობთ?**

— გული იმაზე მწყდება, რომ თბილისის „დინამოში" კარგად ვერ ვითამაშე, მაგრამ ბედნიერი ვარ იმით, რომ ლანჩხუთის „გურიაში" და ქუთაისის „ტორპედოში" კარგად წარმოვაჩინე თავი.

**— ალბათ, გულშემატკივრები ისევ გცნობენ ქუჩაში...**

— გულშემატკივრისგან რომ სიყვარულს ვგრძნობ, ამაზე საამაყო არაფერია. ძალიან დიდი სითბოთი და პატივისცემით მეპყრობიან. აქედან ჩანს, რომ ფეხბურთელობისას მათ სიამოვნება მივანიჭე. დიდი ფეხბურთელი არ ვყოფილვარ, როგორც ალექსანდრე ჩივაძე და მისი თაობა იყო, მაგრამ ნორმალური ფეხბურთი ნაღდად ვითამაშე.

**— საკავშირო ჩემპიონატშიც ითამაშეთ, მერე კი დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იყო. მაშინ მართლაც მაღალი დონის ჩემპიონატი გვქონდა...**

— 10-11 გუნდი თანაბარი დონისა იყო. მაშინ უცხოეთიდან აქეთ ჩამოდიოდნენ სათამაშოდ. წარმოიდგინეთ, ოზურგეთის „მერცხალში" ომარ თეთრაძე თამაშობდა. ქეცბაია, ცხადაძე, შელია, ქინქლაძე, ჯამარაული — რამდენი ჩამოვთვალო... მაღალი დონე იყო...

**— თქვენ ორგზის საუკეთესო ბომბარდირი გახდით. 1991-92 წლების სეზონში სულ-აც 40 გოლი გაიტანეთ. თქვენი ყაიდის თავდამსხმელს ახლანდელ ჩემპიონატში თუ ხედავთ?**

— სამწუხაროდ, ჩემი სტილის ფეხბურთელები ეროვნულ ჩემპიონატში აღარ თამაშობენ. ვინც კარგია, ყველა უცხოეთშია წასული. ისე, ჩემი სტილის თავდამსხმელი „სიონში" რომ მყავდეს, უარს არ ვიტყოდი.

**— ნიჭიერ ფეხბურთელებს თუ ხედავთ ჩვენთან?**

— როგორ არა, მაგრამ ძალიან ცუდია, როცა 16 წლის ბავშვს ჯერ საქართველოში არაფერი აქვს დამტკიცებული და უცხოეთში მიერეკებიან. უნდა დაწესდეს 23 წლამდე ზღვარი. ჩემპიონატიც გაცილებით უკეთესი გვექნება, რაც თავისთავად ეროვნულ ნაკრებსაც წაადგება.

**— ჩემპიონატის დონის აწევა როგორ უნდა მოხდეს?**

— ყველაზე მთავარი რაც არის, ყველამ კარგად ვიცით — ფინანსები. ამის გარეშე წინსვლა გამორიცხულია. ამ წუთშიც „სიონის" ხელმძღვანელებთან ერთად ვბჭობთ, რა და როგორ ვქნათ — მინდორი მოსაძებნია, ფინანსური საკითხები მოსაგვარებელია... ბევრი პრობლემაა...

**— ეროვნულ ჩემპიონატს საკმაო ყურადღებას აქცევს საქართველოს ნაკრების თავკაცი ექტორ რაულ კუპერი, რაც თავისთავად კარგია. თქვენ რას იტყვით?**

— რა თქმა უნდა, მისასალმებელია კუპერის ასეთი საქციელი, მაგრამ ის ვერაფერს ვერ იზამს, თუ ნორმალური კონტინგენტი არ ეყოლება. ინერციით შეიძლება რამდენიმე თამაში კარგად ჩაატაროს ნაკრებმა, მაგრამ ამით საქმე ვერ გაკეთდება. ეროვნულ ჩემპიონატს მიხედვა უნდა, კუპერი თვითონ ვერ გავა მოედანზე და ვერ ითამაშებს. ისე, არგენტინული ცეკვა მაგრად სცოდნია — მამუკა აბუსერიძის შვილის ქორწილში შესაშურად იცეკვა.

**— თქვენს ვაჟს, ლევანს კარგი სეზონი ჰქონდა მოლდოვურ „დაჩიაში", სადაც გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს...**

— მისი წარმატებებით ძალიან გახარებული ვარ. იმედი მაქვს, კიდევ უფრო მოუმატებს.

**— ბოლოს „სიონის" უახლოეს გეგმებზეც გკითხავთ...**

— 6 იანვარს შევიკრიბებით მანეჟში ავთო ბერიძესთან და ერთი კვირა იქ ვივარჯიშებთ, მერე ერთი კვირა ორჯერადი წვრთნები გვექნება. ამის შემდეგ შეკრებასაც დავგეგმავთ.

**— ფეხბურთელების წასვლა-მოსვლის საკითხი როგორ არის?**

— მარტვილის „მერანიდან" შევიძინეთ ირაკლი ვაშაკიძე, ცხინვალის „სპარტაკიდან" მოვიდნენ გიორგი ხიდეშელი და კობა შალამბერიძე. „ლოკომოტივიდან" ლევან სარალიძე, დიდი შანსია, გრიგოლ ჭანტურიაც ჩვენთან მოვიდეს... ბევრი ფეხბურთელი დაგვტოვებს, ძირითადად ისინი, ვისაც კონტრაქტი დაუმთავრდათ.

**ნუკრი ლოლაძე**

# ფეხბურთის ხელოვნება ხელოვნურში არ არის!

**საქართველოში სპორტის სახეობა არ არსებობს, გაჭირვებას რომ გაქცევია. ამ გაჭირვებაში ბევრი რამ იგულისხმება — ფინანსები, ინფრასტრუქტურა, პროფესიონალთა ნაკლებობა და ასე შემდეგ**



**„სარბიელმა"** გასული წლის დეკემბრიდან საფეხბურთო სკოლების მონახულება დაიწყო — ჯერ დედაქალაქურ სკოლებში არსებულ მდგომარეობას ვეცნობით, უახლოეს მომავალში კი რაიონებსაც აუცილებლად ვესტუმრებით.

თბილისში სამგან, 35-ე სკოლაში, „საბურთალოსა" და „ოლიმპში" შეძლებისდაგვარად გავეცანით მდგომარეობას. ეს სკოლები საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესოებად ითვლებიან და საინტერესოა, რას ნიშნავს და როგორია საქართველოს საუკეთესო სკოლები.

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ფაქტია, რომ არცერთ ამ სკოლას არ გააჩნია ბუნებრივი მინდორი და ბავშვები ხელოვნურსაფარიან მოედნებზე ვარჯიშობენ.

სკოლებში მომუშავე მწვრთნელები თავადაც აღნიშნავენ, რომ ეს ცუდია, მაგრამ სხვა საშველი არ არის, რადგან მინდვრები არ გააჩნიათ.

მოწინავე სკოლებში რომ ასეა, სხვაგან რა იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ.

მარტო ამ მაგალითიდანაც ჩანს, რა დღეშია საქართველოში ბავშვთა ფეხბურთი.

არ დაგიმალავთ, მწვრთნელების მხრივ ამ სკოლებმა ნორმალური შთაბეჭდილება დაგვიტოვეს. როგორც ჩანს, სკოლის ხელმძღვანელები მწვრთნელთა განათლებას ყურადღებას, ასე თუ ისე, აქცევენ.

ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე მომაკვდინებელი პრობლემა მცოდნე მწვრთნელების ნაკლებობაა.

C თუ B ლიცენზიის აღება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. მთავარია, შემდეგ როგორ პროფესიონალურად გაუძღვები საქმეს. ერთი კი ფაქტია: ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებულ ყველა მწვრთნელს კარგად უნდა ჰქონდეს გათავისებული, რამხელა პასუხისმგებლობა აკისრია — მისი პატარა შეცდომაც კი ბავშვისთვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

კარგია, რომ ამ სკოლებში ბავშვები სამედიცინო შემოწმებას გადიან. მოზარდებს ფიზიკურ დატვირთვებს ასაკის მიხედვით უზრდიან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ტრავმიანობას...

სანამ საკუთარი თვალით არ ვნახავთ, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ბევრისგან გაგვიგია, რომ საქართველოს უამრავ სკოლაში ძველი მეთოდით გრძელდება ბავშვების წვრთნა — რამდენიმესაათიანი ვარჯიში, უაზრო რაოდენობის დატვირთვა, სამედიცინო შემოწმებაზე ლაპარაკიც არ არის. ისიც გაგვიგია, მწვრთნელები დასჯის მიზნით, ამა თუ იმ ბავშვისგან კილომეტრების გარბენას რომ ითხოვს...

სამწუხაროდ, ამის კონტროლი ჯერ საქართველოში არ არსებობს.

როგორც ამბობენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია წლეულს რაიონებში საფეხბურთო ცენტრების გახსნას გეგმავს, რაც, ცხადია, მისასალმებელია — ჩვენი ფეხბურთის წინსვლა ხომ ბავშვთა ფეხბურთზეა დამოკიდებული.

საქართველოს უმრავლეს რაიონში უფულობის გამო საფეხბურთო კლუბები სულს ლაფავენ, ზოგან საერთოდაც აღარ არსებობენ. ამის შემხედვარე, ვინ იცის, რამდენ ტალანტს კარგავს ქართული ფეხბურთი — ამაზე დაფიქრება და მუშაობა გვმართებს. თორემ წლები ძალიან სწრაფად მირბიან...

**ნუკრი ლოლაძე**

# მითხარი, ვინ არის შენი... სპონსორი

### ამერიკული ღიმილი და თორთლაძე ევერესტზე

წლის ბოლოს დედაქალაქის ქუჩები ისე აუტანლად დაცობილი ნამდვილად არ იყო, როგორც შემოდგომაზე, მაგრამ პეკინზე მოხვედრილი ქვეითიც კი შენიშნავდა, როგორ ანელებდნენ მძღოლები მოძრაობას არქივის შენობის ფასადზე მზერააპყრობილნი.

ოქტომბრის შუიდან აქ სალეჭი რეზინის უზარმაზარი რეკლამა გაჩნდა, რომელიც გვამცნობდა, რომ გოგონა ამერიკული ღიმილით კბილების სითეთრეს „ორბიტ პროფეშენალს“ უმადლის.

დაახლოებით ერთ კვირაში არქივის შენობის სახურავიდან მუშურ კომბინიზონში გამოწყობილი კაცი ისეთი სიმამაცით დაეშვა, ევერესტის დამპყრობ გია თორთლაძესაც შეშურებოდა, ეს ჯაგრისმომარჯვებული მამაცი გული სინამდვილეში ტიკინა რომ არ ყოფილიყო. თუმცა ამის გარკვევას სჭირდებოდა რამდენიმე წამი. საკუთარი გამოცდილებით რომ გითხრათ, ხუთიდან ათამდე და სწორედ ეს დრო აფერხებდა მოძრაობას.

ნამდვილად არ მგონია, რომ ამ რეკლამის ყველა მნახველი პირდაპირ სუპერმარკეტებისა და აფთიაქების მიმართულებით იღებდა გეზს, მაგრამ რეკლამის ძალა ისეთია, არ გამიკვირდება, საბურთალოს სავაჭრო პუნქტებში „დიროლზე“ მეტი მოთხოვნა „ორბიტზე“ რომ იყოს.

### ასი თვალი და... ცხვირი

თავისუფალი ვებ-ენციკლოპედია „ვიკიპედიას“ განმარტებით, რეკლამა არის „ინფორმაცია გავრცელებული ნებისმიერი მეთოდით, ნებისმიერი ფორმით და ხერხით, მიმართული საზოგადოების ფართო მასებისთვის, რეკლამირების ობიექტის მიმართ მათი ყურადღების მიპყრობის ან ინტერესის გაღვივების მიზნით...“

ალტერნატიული განსაზღვრებით: „რეკლამა ფასიანი ცალმხრივი კომუნიკაციაა, რომელშიც განსაზღვრულია სპონსორი, ინფორმაცია კი მართვადია.“

რეკლამის გავრცელების ყველაზე გავრცელებული გზაა მასმედია: პრესა, რადიო, ტელევიზია და ყველა ის სფერო, სადაც მხედველობით თუ სმენით აღქმას ფართო გასაქანი აქვს. გაგიკვირდებათ და, ზოგჯერ რეკლამაში ყნოსვაც ჩართულია. სწორედ ასე იყენებენ პოლიგრაფიის მიღწევებს ის ძვირადღირებული ჟურნალები, რომელთა სურნელოვანი ფურცლები მკითხველის, ცხადია, მყიდველის) სრულიად გაუცნობიერებელ მიჩვევას და დამოკიდებულებასაც კი იწვევს.

### შეხედე ფეხბურთელს საჯდომზე!..

ვინაიდან ფეხბურთი მილიონების თამაშია, ყველაზე დიდი ბაზარი ამა თუ იმ პროდუქტის გასარეკლამებლად სწორედ სპორტის ეს სახეობაა, სადაც სარეკლამო ხერხი უამრავია, დაწყებული მოედანს ჩაყოლებული დაფებით, რომელიც ბოლო დროს სულაც ელექტრონული (და ამდენად ერთობ „ტევადია“) და დამთავრებული იზომეტრიულ-გამოსახულებიანი ხალიჩებით.

მაგრამ მთავარი ობიექტი რომლითაც სარეკლამო სააგენტოები მაყურებლისთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდებას ცდილობენ, თავად ფეხბურთელი და მის სამოსზე გამოსახული ესა თუ ის ბრენდია.

ჩვენში საფეხბურთო რეკლამირების ერთადერთი გავრცელებული ფორმა მაისურის მკერდსამშვენია. თუმცა, ვისაც ფრანგული არ სკანდინავიური გუნდების თამაში უნახავს, დაგვეთანხმება, ძნელია ამ გუნდების ფორმაზე ურეკლამოდ მოცდენილი ადგილი იპოვო: მკერდი, ზურგი, საყელო, მკლავი, ტოტი...

ზოგჯერ სიტუაცია სრულიად კურიოზულია. მაგალითად დანიაში, ერთ-ერთმა იქაურმა „ნიკორამ“, ქალთა გუნდის ფეხბურთელებს საჯდომზე წააწერა „დანიური ხორცი“.

ტრუსების უკანა მხარეს რეკლამის განთავსება ესპანეთშია გავრცელებული, სადაც ასეთ შემთხვევასაც წააწყდებით — რამდენიმე ფეხბურთელის შორტზე რეკლამა საერთოდ არაა, სხვებისა კი ერთმანეთისგან განსხვავდება.

### კინოდარბაზში წასვლამდე სტადიონზე შეიარეთ

ყველაზე ორიგინალური მაინც მადრიდის „ატლეტიკოს“ სარეკლამო ისტორიაა: 2003-დან 2005 წლამდე ამ კლუბის მაისურის სპონსორი კინოინდუსტრიის ცნობილი წარმომადგენელი „ქალამბია ფიქჩერზი“ იყო, რომელიც თეთრ-წითელზოლიან მაისურზე საკუთარ სახელს კი არ გამოსახავდა, არამედ, დროდადრო იმ ფილმების პრემიერას ანონსებდა, რომლებსაც მადრიდის კინოთეატრებში უჩვენებდნენ.

ალბათ ასე იხილეს ატლეტიკოს გულშემატკივრებმა თუ მისი მოსისხლე „რეალის“ ქომაგებმა „ჰოლივუდის პოლიციელები“ ჰარისონ ფორდის და ჯოშ ჰარნეტის მონაწილეობით, „ესპანური ინგლისური“, „დიდი თევზი“, „ჯადოქარი“, „ჯოჯოხეთის მოციქული“, „ბოროტების სავანე 2“, „აპოკალიფსი“, „ჰიტჩის მეთოდი“, „სამი იქსი“, „ადამიანიობობა 2“ და სხვა ფილმები.

სხვათა შორის, ამ იდეამ ხეირი მხოლოდ კლუბს და კინოკომპანიას როდი მოუტანა: ნაწილობრივ საქმე გაიიოლა სპორტული სამოსის მწარმოებელმა „ნაიკმაც“, რომელიც მადრიდის „რეალის“ შემოსავ „ადიდასს“ ეტოქებოდა: ვინაიდან „ატლეტიკო“ მაისურის წინხედს ასე ხშირად ცვლიდა, „ნაიკმა“ გადაწყვიტა ქომაგთათვის განკუთვნილი გასაყიდი მაისურებიდან სპონსორის ლოგოტიპი საერთოდ ამოეღო და ამით მათ „დაძველებას“ ხელი შეუშალა.

### რეკლამა მაისურზე: ბიზნესი თუ ქველმოქმედება?

რეკლამა მაისურზე ყოველთვის არ წარმოადგენს კლუბისთვის შემოსავლის წყაროს. მაგალითად, „ასტონ ვილა“ მიმდინარე სეზონიდან acorns-ს რეკლამას უფასოდ უკეთებს. ბირმინგემელები ღლემოკლე ბავშვთა თავშესაფართან 2006 წლიდან თანამშრომლობენ და თავდაპირველად წელიწადში 230 დღეს უფინანსებდნენ ამ ღვთისმოსავ ორგანიზაციას, რომელიც ბირმინგემის შემოგარენში ათასამდე დაავადებულ ბავშვსა და მათ ოჯახებზე ზრუნავს.

მოგეხსენებათ, „ასტონ ვილას“ მეპატრონე ამერიკელი ფილანტროპი რენდი ლერნერია, რომელმაც ერთი წლის წინ ლონდონის ეროვნულ სამხატვრო გალერეას 5 მილიონი გირვანქა გადაურიცხა, რაც გალერეის საუკუნენახევრიან ისტორიაში უდიდესი შენაწირია.

სხვათა შორის, მაისურის სპონსორობიდან შემოსავალი ყველაზე ადრე „ბარსელონამ“ იუარა, რომელიც ისტორიულად სრულიად „სუფთა“ მაისურს ატარებდა. და ქველმოქმედებასაც ბირმინგემელებზე ოდნავ ადრე სწორედ „ბარსელონამ“ დაუდო სათავე, როცა გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდს, „იუნისეფს“ 5 წლიანი კონტრაქტი დაუდო. კონტრაქტის თანახმად, გარდა იმისა, რომ „ბარსელონა“ „იუნისეფის“ ლოგოს მაისურზე ატარებს, ყოველწლიურად ამ ორგანიზაციას 1,9 მილიონ დოლარსაც სწირავს, რაც კლუბის შემოსავლის 0,7 პროცენტია.

### იტალიელი მეწისქვილეების თავგადასავალი

საბჭოთა ხანის ბოლო, საუეფასთასო სეზონში, ანუ 1987 წელს თბილისის „დინამო“ მსგავსად მოსკოვური გუნდებისა, იტალიური ფირმა „ოკრიმის“ რეკლამირებას ცდილობდა. როგორც ირკვევა, „ოკრიმი“ მაშინდელ საბჭოურ წისქვილკომბინატებს თანამედროვე საფქვავი ტექნოლოგიებით ამარაგებდა. ოღონდ ეს რეკლამიანი მაისურები თბილისელებსაც და სხვა საბჭოურ კლუბებსაც მხოლოდ ევროთასების მატჩებში ეცვათ, შესაძლოა, მხოლოდ ამას ითვალისწინებდა კონტრაქტი, რომელიც, ეჭვი არ არის, მავანს ერთიან პაკეტად ჰქონდა გააზრებულიც და გასაღებულიც. მკერდდამშვენებული მაისურების რეგულარულად ხმარება უფრო 1989 წლის საფეხბურთო სეზონში დაიწყო და „დინამო“ გაზეთ „თბილისის“ რეკლამას აწარმოებდა, რომელიც იმხანად ახალ ქუდქვეშ გამოდიოდა.

ეს უკვე დასაწყისი იყო ახალი ეპოქისა, ვინაიდან სულ რაღაც 3-4 წლით ადრე საბჭოთა პროპაგანდა აიძულებდა გუნდებს, მაგალითად, „ადიდასის“ ბუტკო ლეიკოპლასტირით დაეფარათ.

### და სხვა

ახალი ეპოქა დაიწყო ეროვნული ჩემპიონატის დაწყებასთან ერთად: „ცხუმის“ „კორაქსი“, ხობის „კოლხეთის“ „რეაქტივი“, სულაც არ გახლდათ შემთხვევით ნაშოვნ მაისურს მოყოლილი რეკლამები, ისევე როგორც, მაგალითად, „სამგურალისა“, რომელმაც ერთ-ერთი შვედური კლუბის ნაქონი ფორმა ატარა ერთ სეზონს და „მაკდონალდსის“ რეკლამასაც გვაზიარა, ოღონდ, ცხადია, 90-იანების დასაწყისში საქართველოში სწრაფი კვების ამ მაგნატს არაფერი ესაქმებოდა.

განსხვავებით მაისურზე რეკლამისგან, იმდროინდელი სტადიონები სავსეა ადგილობრივი საწარმოების თუ პირველი სარეკლამო სააგენტოს „სოლანის“ ლოგოტიპებით, რომლებიც 90-იანი წლების შუიდან ახალი სალებავის სქელი ფენის ქვეშ აღმოჩნდა.

ქართული ფეხბურთის მტვერწაყრილ სარეკლამო ინდუსტრიაში გამონათება იყო, გაზეთ „რეზონანსის“ რეკლამა საქართველოს პირველი სუპერფინალის მონაწილეთა მაისურებზე — იმხანად ყველაზე მაღალტირაჟიანი გაზეთი სუპერთასის გათამაშების ორგანიზატორი და პირველი საპრიზო ფონდის დამწესებელიც იყო. მეორე სუპერფინალში თბილისის „დინამომ“ „რეზონანსს“ უერთგულა, ბათუმი კი ერთჯერადად „თბილისის ფოსტას“ დაუმეგობრდა.

ეს ამბები 1996 და 1997 წლების ზაფხულში მოხდა და რაკი, როგორც მოგახსენეთ, ერთი მერცხლის ჭიკჭიკს ჰგავდა, ცხადია, სარეკლამო გაზაფხულს ვერ მოიყვანდა.

გაგიკვირდებათ და, პირველი, ვინც ტრადიციის აღდგენა სცადა, ლანჩხუთის „გურია“ გახლდათ, 1997-98 წლის სეზონში ლანჩხუთელთა მაისურის სპონსორი ერთბაშად ორი ნავთობისა და გაზის კორპორაციები —. GPC და GIOC გახლდათ, რომლებიც, ცხადია, გურულებმა ქვეყნისა თუ ამ კომპანიების პრეზიდენტთა წარმომავლობის ხარჯზე უფრო გააკვარახჭინეს.

მეოცე საუკუნე „ტორპედოს“ სპონსორმა, შემდგომში გაკოტრებულმა „თბილკრედიტბანკმა“, ახალ ეპოქაში გადმოყოლილმა „არგომაროილმა“ თუ ბოლნისურმა „კვარციტმა“ დახურეს.

აქვე მოყვანილი ცხრილიდან ერთი უცნაური შემთხვევაც გამოსჭვივის. კერძოდ, თბილისის „დინამოს“ მაისურმა შემოგვინახა ხსოვნა იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ტელევიზია კი არ უკეთებს ვინმეს რეკლამას, ზოგჯერ ეს თვით ტელევიზიასაც სჭირდება. მაგალითად, ასე იყო 2002-03 წლების საფეხბურთო სეზონში, როცა „იმედი TV“ ახალი ბრენდი იყო და ვინაიდან, კლუბსა და ტელეკომპანიას, ფაქტობრივად, ერთი, ახალი პატრონი ჰყავდა ბადრი პატარკაციშვილის სახით, საერთო ენაც იოლად მოინახა.

**რატი დიდია**



OCRIM: პირველი რეკლამა საბჭოურ მაისურზე

| | 2000-01 | 2001-02 | 2002-03 | 2003-04 | 2004-05 | 2005-06 | 2006-07 | 2007-08 | 2008-09 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | | | იმედი TV | BORJOMI | | BEKO | | | |
| ვიტ ჯორჯია | FATRO | | | | | | | | Hills |
| ზესტაფონი | | | | | ferro | | | | |
| ლოკომოტივი | | | | | Petrotrans | | | | |
| სიონი | QUARZITE | | | | | | Madneuli | Madneuli&RL | MADNEULI |
| მგლები | | | | | | | | LUKOIL | ROMPETROL |
| ბორჯომი | | | | | | BORJOMI | | | |
| ოლიმპი | | | | | | | | NOLA | Georgian Steel |
| ამერი | | | | | | PROGETRA | | | |
| დინამო ს. | | | | | | People's Bank | | | |
| ბათუმი | RICKY | | | | | | | COCOTAURI | |
| ტორპედო | ARGOMAR | | | | | | | | |
| თბილისი | | | | | Gillette SlalomPlus SPORT | | | | |
| დილა | | | | | | [illegible] | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — მიმოხილვა

მართალია, საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატი სამწრიანია, მაგრამ შედეგების შესაჯამებლად უფრო მოხერხებული იქნება, თუ წარმოსახვაში სეზონს შუაზე გავყოფთ. მით უმეტეს, ზამთრის შესვენება ამაში ხელს გვიწყობს... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გთავაზობთ ეროვნული ჩემპიონატის პირველი ნახევრის „სარბიელისეულ" ლაურეატებს.
აი, ვინ დაგვამახსოვრა თავი ყველაზე მეტად 2008 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე...




### საუკეთესო მწვრთნელი

ნესტორ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია)



### საუკეთესო ფეხბურთელი

გიორგი მერებაშვილი (დინამო)



### აღმოჩენა

ირაკლი კიკნაძე (ბორჯომი) და გიორგი გაბედავა (გაგრა)





### საუკეთესო ბომბარდირები

ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) და მათე ვაწაძე (დინამო)

### საუკეთესო ლეგიონერი

ილია სპასოევიჩი (დინამო)



### საუკეთესო ახალგაზრდა

მათე ვაწაძე (დინამო)





| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვიტ ჯორჯია თბილისი | 16 | 11 | 4 | 1 | 29:10 | 19 | 37 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:5 | 10 | 16 | 9 | 6 | 3 | 0 | 14:5 | 9 | 21 |
| 2 დინამო თბილისი | 15 | 10 | 1 | 4 | 32:12 | 20 | 31 | 7 | 6 | 1 | 0 | 22:5 | 17 | 19 | 8 | 4 | 0 | 4 | 10:7 | 3 | 12 |
| 3 ოლიმპი რუსთავი | 15 | 6 | 7 | 2 | 16:9 | 7 | 25 | 8 | 4 | 4 | 0 | 9:2 | 7 | 16 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 0 | 9 |
| 4 სკ ზესტაფონი | 14 | 7 | 3 | 4 | 15:9 | 6 | 24 | 8 | 5 | 0 | 3 | 10:5 | 5 | 15 | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 9 |
| 5 სიონი ბოლნისი | 15 | 6 | 6 | 3 | 17:10 | 7 | 24 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 1 | 9 | 8 | 4 | 3 | 1 | 8:2 | 6 | 15 |
| 6 ლოკომოტივი თბილისი | 15 | 7 | 1 | 7 | 20:15 | 5 | 21 | 8 | 4 | 0 | 4 | 9:5 | 0 | 12 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 1 | 10 |
| 7 მგლები ზუგდიდი | 16 | 5 | 3 | 8 | 16:22 | -6 | 18 | 8 | 4 | 1 | 3 | 10:6 | 4 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:16 | -10 | 5 |
| 8 მესხეთი ახალციხე | 15 | 4 | 4 | 7 | 12:23 | -11 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:13 | -9 | 7 |
| 9 სკ გაგრა | 16 | 4 | 3 | 9 | 13:26 | -13 | 15 | 8 | 4 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 14 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:17 | -14 | 1 |
| 10 სკ ბორჯომი | 15 | 2 | 5 | 8 | 14:33 | -19 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:25 | -17 | 5 |
| 11 სპარტაკი ცხინვალი | 14 | 2 | 1 | 11 | 11:26 | -15 | 7 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:16 | -8 | 4 | 6 | 1 | 0 | 5 | 3:10 | -7 | 3 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 8 - | მათე ვაწაძე | დინამო თბილისი |
| | ვახტანგ კვარაცხელია | ვიტ ჯორჯია თბილისი |
| 7 - | ირაკლი კიკნაძე | ბორჯომი |
| | ნიკა გელაშვილი | ზესტაფონი |
| 6 - | ილია სპასოევიჩი | დინამო |
| | გია თოდუა | მგლები ზუგდიდი |
| | ზურაბ სამადაშვილი | მესხეთი ახალციხე |
| | რატი ალექსიძე | ლოკომოტივი თბილისი |
| | გიორგი გაბედავა | გაგრა |
| | ალექსანდრე კოშკაძე | სიონი ბოლნისი |
| | ლევან ცქიტიშვილი | ლოკომოტივი თბილისი |
| | გიორგი მერებაშვილი | დინამო თბილისი |

# მილოცვა მოლოცვამდე

## მერებაშვილის საუკეთესო პირველი ნახევარი



საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ნახევარი მიილია და „სარბიელმაც“ მწვრთნელ-ფეხბურთელები დამსახურების მიხედვით გამოვარჩიეთ. ამ დროისთვის საუკეთესოდ „დინამოს“ შემტევი ნახევარმცველი გიორგი მერებაშვილი მივიჩნიეთ. რა თქმა უნდა, გიორგის ახალი წელი მივულოცეთ და საუკეთესოობაც ვამცნეთ...

— ძალიან მიხარია, რომ საუკეთესოდ დამასახელეთ. ჩემთვის ეს დიდი პატივია და კიდევ უფრო დიდი სტიმულია. „სარბიელს“ უღრმესი მადლობა ასეთი დაფასებისთვის.

— ახალ წელს სად შეხვდი?

— ტრადიციულად, ოჯახში შევხვდი ახალ წელს ჩემი ოჯახის წევრებთან, მერე კი მეგობრებთან ერთად რესტორანში ალვნიშნე.

— ალბათ, ცოტა სასმელიც მიირთვი...

— რომ იტყვიან, მოვწრუპე. მთლიანობაში ორი ჭიქა თუ გამომივიდოდა — ახალი წლის სუფრა სხვანაირად ხომ ვერ ჩაივლიდა.

— მალე შვებულება დაგიმთავრდება. „დინამოსთან“ კონტრაქტი კი გაკავშირებს, მაგრამ წასვლას ხომ არ აპირებ?

— არის რამდენიმე ვარიანტი ევროპული კლუბებიდან, თუმცა ჯერ ვერაფერს გეტყვით. ვარჯიშს 10 იანვარს განვაახლებთ და თვის ბოლოსთვის მეცოდინება, რას ვიზამ.

— სეზონის ნახევარი გაილია და „დინამო“ მეორე ადგილზეა. როგორ აფასებ განვლილ პერიოდს?

— სეზონი ცუდად დავიწყეთ, რაც ტრავმიანობამაც გამოიწვია — რამდენიმე ფეხბურთელი დაშავდა, მათ შორის, მეც. ამას ისიც დავუმატოთ, რომ აგვისტოში ქვეყანაში რთული მდგომარეობა იყო, რის გამოც კალენდარი შემჭიდროვდა. ამანაც, თავისთავად, ცუდად იმოქმედა. მერე ნელ-ნელა ჩვენი თამაში ვიპოვეთ და მთლიანობაში უკმაყოფილო არ ვარ.

— სუპერთასიც მოუგეთ „ზესტაფონს“...

— „დინამოსთან“ ერთად კიდევ ერთი ტიტული მოვიგე, რამაც უზომოდ გამახარა. სხვათა შორის, „დინამოში“ დებიუტი „ლოკომოტივთან“ სუპერთასის მატჩში მქონდა და მაშინაც ვიმარჯვეთ. ასე რომ, ორგზის სუპერთასის მფლობელი ვარ.

— კონკურენტებიდან ვის გამოარჩევ?

— რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯიას“ და „ზესტაფონს“. ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი ჩვენ და „ვიტ ჯორჯიას“ გვაქვს.

— მე-20 ეროვნული ჩემპიონატი დაძაბულობით გამოირჩევა. შენ რა აზრის ხარ?

— ამ ჩემპიონატს მეტი მაყურებელი რომ ჰყავდეს, სხვა ელფერი ექნებოდა, ბევრი კარგი თამაში იმართება. ჩვენი და ვიტელების მატჩი გადაჭედილი ტრიბუნების წინ რომ ყოფილიყო, ვერ გაარჩევდით ნორმალური ევროპული ჩემპიონატის მატჩისგან — მართლაც მაგარი შეხვედრა გამოვიდა. ბევრი გოლი, უამრავი საგოლე მომენტი, კარგი ბრძოლა... ერთი სიტყვით, ყველაფერი იყო, რაც ფეხბურთს ალამაზებს. ვინც ის თამაში ნახა, ნასიამოვნები დარჩებოდა.

— ეროვნულ ჩემპიონატს დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს ნაკრების თავკაცი ჰექტორ რაულ კუპერი, რომელმაც ეროვნულ ნაკრებშიც გიხმო...

— კუპერის მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის. ყველა ფეხბურთელის ოცნებაა ეროვნულ ნაკრებში თამაში და ამის საშუალება მომეცა. ვეცდები, რომ მაქსიმუმი გავაკეთო და ნაკრებში ადგილი დავიმკვიდრო.

— სამშაბათის ვარჯიშებზე რას იტყვი?

— ეს აუცილებელია, ფეხბურთელები უფრო კარგად შევთამაშდებით. კუპერიც ასეთ ვარჯიშებზე კარგად შეხედავს, რომელი ფეხბურთელი როგორ ფორმაშია.

— 2009 წელი დადგა, რას ეტყვი ქართველ გულშემატკივარს?

— სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს! მშვიდობიანი და ბედნიერების მომტანი წელი ყოფილიყოს! ქართული ფეხბურთის ქომაგისთვის ბევრი სიხარული მიგვენიჭებინოს.

**ნუკრი ლოლაძე**

# ხუციშვილი ახალ გალში




**ესეც** პირველი ქართველი ფეხბურთელი სერბეთის უმაღლეს ლიგაში: მიხეილ ხუციშვილი ბაქოს „ოლიმპიკიდან“ ნოვი სადის „ვოივოდინაში“ გადავიდა და 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ოლიმპიკი“ სწორედ „ვოივოდინამ“ გამოთიშა (1:0, 1:1) და ისიც ვთქვათ, რომ ბაქოელთაგან ეს ერთადერთი გოლი რომან ახალკაცმა გაიტანა. თუმცა, როგორც ჩანს, „ახალბადელებს“ (ნოვი სადი) ხუციშვილი უფრო მოსწონებიათ.

ხუციშვილი საქართველოს ჩემპიონატის წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. რაც შეეხება „ვოივოდინას“, ეს კლუბი სერბეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ლიდერ „პარტიზანს“ ოდენ 3 ქულით ჩამორჩება.

ნოვი სადის გუნდში სხვადასხვა დროს ყოფილი იუგოსლავიის ბევრ ცნობილ ფეხბურთელს უთამაშია, მათ შორის, სახელგანთქმულ მწვრთნელ ვუიადინ ბოშკოვს. იტალიური „ბოლონიას“ ახლანდელ თავკაც და სერბთა ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელ სინიშა მიხაილოვიჩსაც სწორედ „ვოივოდინაში“ დაუწყია კარიერა.

**ილია ნანობაშვილი**

# ადამია ავადმყოფობს



**ბაქოს** „ნეფთჩიდან“ აბარგებული გიორგი ადამია ახალი გუნდის ძიებაშია, თუმცა მოლაპარაკებებში ხელი ავადმყოფობამ შეუშალა.

აზერბაიჯანული „აზერისპორტის“ ცნობით, ადამიას ორი რეალური ვარიანტი აქვს და ყველაფერი რამდენიმე დღეში უნდა გაირკვეს.

ქართველი თავდამსხმელი ახლა მკურნალობს და ვნახოთ, რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას — მისით აზერბაიჯანულის გარდა, უკრაინული და რუმინული გუნდები არიან დაინტერესებულნი, თუმცა რომელია მათგან ყველაზე რეალური, ძნელი სათქმელია.

**კახა ზალამბერიძე**

# დინამომ იცის, ოლიმპმა არა

**საქართველოს** ჩემპიონატში მოთამაშე გუნდების უმრავლესობა შვებულებაშია.

თბილისის „დინამო“ და რუსთავის „ოლიმპი“ ვარჯიშს 10 იანვარს განაახლებენ.

დინამოელები რამდენიმე დღე თბილისში გაჩერდებიან და მერე ანთალიაში გეგმავენ შეკრებას. რუსთაველები კი რას იზამენ, ჯერაც დასაგეგმი აქვთ.

როგორც „ოლიმპის“ თავკაცმა ვარლამ კილასონიამ გვითხრა, 10-ში გუნდი შეიკრიბება, მაგრამ სად გაივლიან მოსამზადებელ ეტაპს, ეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელებთან საუბრის მერე გაირკვევა. „ოლიმპს“ ხომ სწორედ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა სპონსორობს...

**ნუკრი ლოლაძე**

# ზესტაფონმა წელი გახსნა



**„ზესტაფონმა“** საქართველოს ჩემპიონატის მეორე ნახევრისთვის მზადება 3 იანვარს დაიწყო.

იმერლები 17 იანვრამდე საქართველოში ივარჯიშებენ, გაივლიან სამედიცინო შემოწმებას და აქცენტს თეორიულ და ფუნქციონალურ მზადებაზე გააკეთებენ.

18 იანვარს კი „ზესტაფონი“ მეორე შეკრების გასავლელად თურქეთში გაემგზავრება.

კლუბის პრესსამსახურის ცნობით, თურქეთში რამდენიმე ამხანაგური მატჩის გამართვაა დაგეგმილი.

**კახა ზალამბერიძე**

# კახა ცხადაძე ჯერ სტანდარდთან არკვევს

**კახა ცხადაძე** რომ მალე საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცად დაინიშნება, თითქმის გადაწყვეტილი ამბავია.

გეცოდინებათ, ცხადაძემ ათიოდ დღის წინ დატოვა ბაქოს „სტანდარდი“ და მიზეზი სწორედ საქართველოში მუშაობის პერსპექტივა იყო.

თუმცა აზერბაიჯანულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ „სტანდარდი“ ქართველი მწვრთნელის განცხადებას არ აკმაყოფილებს.

გავრცელდა ვერსია, რომ ცხადაძემ მას შემდეგ იუარა „სტანდარდში“ დარჩენა, რაც შეიტყო, თითქოს კლუბის ხელმძღვანელობა ტრანსფერებზე დამატებითი თანხის გამოყოფისგან თავს იკავებდა.

ამჟამად ცხადაძე „სტანდარდის“ მესვეურებთან სწორედ მისი წასვლის საკითხს არკვევს.

**ილია ნანობაშვილი**

# ჭეიშვილი ბაქოშია

**როგორც** ვწერდით, ქართველი მწვრთნელი ვასილ ჭეიშვილი ბაქოში ჩავიდა და აზერბაიჯანულ „ბაკილის“ პირობებზე მოელაპარაკა.

ჭეიშვილი თბილისის „სპარტაკის“ მწვრთნელობიდან გეხსომებათ, ამიერიდან კი ის „ბაკილის“ ჩაუდგება სათავეში...

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალი წლის დადგომამდე,

ეს იყო გურჯაანში: კავკასიელი მეზობლები კახეთში შეხვდნენ ერთმანეთს და მასპინძელმა საქართველომ ჰოკეის ანგარიშით (6:3) მოუგო აზერბაიჯანს.

დავით ყიზილაშვილი გახლდათ ის ფეხბურთელი, რომელმაც ჩვენი ნაკრების ისტორიაში პირველი გოლი გაიტანა.

დიახ, ეს იყო პირველი მოგება ამხანაგურ მატჩებში.

არაოფიციალურად კი (სანამ ფიფა წევრობას გვარგუნებდა) ჩვენებმა ჯერ კიდევ 1990 წელს ითამაშეს — თბილისში ლიტვასთან 2:2 დასრულდა და ჩვენიანთაგან გოლები გია გურულმა და კახა კაჭარავამ გაიტანეს.

ლიტვა დაგვებედა: სწორედ ბალტიისპირელებთან გვქონდა პირველი „ნამდვილი" ამხანაგური მატჩიც და ეს 1992-ში იყო, როცა ბოლო წუთზე გაშვებულით 0:1 დავმარცხდით.

ასე იწყებოდა საქართველოს ნაკრების ისტორია — როცა ქვეყანა დღევანდელზე არანაკლებ გასაჭირში იყო, როცა საფეხბურთო ანგარიშები ძლივსძლივობით ვიგებდით, როცა ფეხბურთი კი არა, კუჭი გვადარდებდა და საათობით ვიდექით გამხმარი, თაგვებმოსიარულე პურის რიგში, როცა შუქის მოსვლა დღესასწაული იყო, როცა ავტომატის კაკანის გარეშე დღე არ გადიოდა...

### 1994 წელი

1992 და მომდევნო წელიც სამზადისი იყო, 1994-იდან კი ევროპაში გავერიეთ — იმ წელს ნაკრებმა მალტის ოთხგუნდა ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა, რასაც ისრაელთან ამხანაგურში წაგება მოჰყვა და ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინ...

რატომ წააგო საქართველომ ნიგერიასთან სტუმრად 1:5?

ამაზე პასუხი მუნდიალმა გასცა, როცა ქართველებთან სეირნობიდან ერთი თვის თავზე „არწივებმა" ხრისტო სტოიჩკოვის ბულგარეთს სული ბდღვირი ადინეს, მომავალი ფინალისტი იტალია კი კუდით ხელში ეჭირათ და რობერტო ბაჯოს ფანტასტიკურობა რომ არა...

არადა, ქართველებმა ნიგერიაში ანგარიში გახსნეს, დარჩენილი დრო კი ხვატ-უბედურებაში ამაოდ დასდევდნენ დანიელ ამოკაჩის, ჯორჯ ფინიდისა და კომპანიას, რომლებსაც, ალბათ, ანტილოპებიც გაჭირვებით უსწრებდნენ...

1994 წლის 7 სექტემბერი: ალექსანდრე ჩივაძის საქართველოს ნაკრებმა პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა — ევრო-96-ის შესარჩევი შეხვედრა თბილისში და უმწარესი დებიუტი.

თითქმის 90-წუთიანი ცალკარა, მოლდოველთა კარის დალეწული ძელები, პირისპირ გასვლები, მაგრამ სტუმარი იგორ ოპრიას გოლი ერთადერთი გამოდგა და 0:1 წავაგეთ.

ყველანი შიშით ელოდნენ ბულგარელებთან მომავალ მატჩს, ბევრნი კატასტროფულ მარცხს ელოდნენ, მაგრამ ემილ კოსტადინოვის ილბალა ფეხი რომ არა, ჩივაძის გუნდს იმ დღეს წასაგები არაფერი ჰქონდა.

და 16 ნოემბერს საქართველომ პირველი ოფიციალური გამარჯვება მიითვალა, თანაც, როგორი — 5:0 უელსთან.

სტუმართა ლიპიანი მეკარე ნევილ საუთჰოლი ფორმალურად იდგა კარში, მფრინავი თეფშებივით სულ თავზე გადაატარეს ბურთები.

წლის ბოლო მატჩში კი აკაკი დევაძემ სასწაულები აკეთა — ალბანეთში 1:0 მოვიგეთ და ჯგუფიდან გასვლის შანსები ხელთ იყო.

### 1995 წელი

ამ წელს საქართველოს ამხანაგური მატჩი არ ჩაუტარებია, შესარჩევში კი წაგებას მოგება ენაცვლებოდა.

როგორ დაგვავიწყდება გერმანელთა სტუმრობა, როცა ხალხი ორი თვით ადრე ამ მატჩის მოლოდინში იყო და სტადიონი კი არ გაივსო, გადაივსო — 100 ათასზე მეტი მაყურებელი იჯდა (თუ იდგა) 29 მარტს „ეროვნულზე".

ზეიმი იურგენ კლინსმანმა ჩაამწარა, ვინაც პირველივე ტაიმში ორი გოლი გაიტანა და მართალია, ჩვენებს ორი ასპროცენტიანი საგოლე შანსი ჰქონდათ, მაგრამ დავრწმუნდით, გერმანიამდე ფეხი არ მიგვიწვდებოდა.

იმავე წელს გერმანიაში თემურ ქეცბაიამ გაისროლა და საოცრება მზადდებოდა, მაგრამ... 1:4 დავთმეთ, ხოლო ბულგარეთი თბილისიდან წავიდა ხელცარიელი.

საქართველოს ნაკრებმა ექვსგუნდა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა.

### 1996 წელი

იტალიის ქალაქ პერუჯაში ჩივაძის ნაკრებმა არიგო საკის გუნდი მაგრად ანერვიულა. ფაბრიციო რავანელის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა, მაგრამ „სკუადრას" მეკარე ფრანჩესკო ტოლდოს ათი ხელი რომ არ გამოება, ქულა ჯიბეში გვექნებოდა.

იმავე წელს თბილისში ინგლისთან დავთმეთ: დაცვის ორი უხეში შეცდომა, ლეს ფერდინანდ-ტედი შერინგემის გოლები და 0:2.

კიდევ რა გვახსენდება?

სამარცხვინო წაგება რუმინეთთან (0:5) და ორჯერ ლიბანთან (2:4, 2:3). ეს ამხანაგურ მატჩებში...

### 1997 წელი

წელიწადი სომხეთის განადგურებით დაიწყო.

საქართველომ 7:0 მიანგრია მეზობელი და აკი, ანეკდოტიც უმალ დაიბადა — სომხები აწი 0:8-ს წააგებენ ვინმესთან, ოღონდ კი სარეკორდო მარცხი საქართველოსთან არ ჰქონდეთო.

ამას მოჰყვა ინგლისთან სტუმრად მარცხი (0:2), დარჩენილი მატჩები კი ზორბა შედეგებით ჩამთავრდა — მათ შორის, ფრე იტალიასთან და 3:0 მოგება პოლონეთთან.

### 1998 წელი

პირველი და ჯერჯერობით, ერთადერთი ტიტული ნაკრების ისტორიაში, თუმც სიტყვა „ტიტული" ძალიან გადაჭარბებულია: საქმე მალტის ტურნირის მოგებას ეხება.

ნაკრების თავკაცი მანამდე ახალგაზრდულში თავგამოჩენილი ვლადიმერ გუცაევი იყო, რომელიც ხშირად უცნაურ შემადგენლობას აყენებდა — ნაკრებში ბევრი ახალი სახე მოხვდა, ოღონდ, გაამართლესო, ვერავინ დაიჟინებს.

შესარჩევი ციკლი ალბანეთთან საშინაო მოგებით დაიწყო, მერე კი გუცაევმა რევაზ ძოძუაშვილის ლატვიასთან და საბერძნეთთან წააგო.

ერთი შეხედვით, გამსვლელი ჯგუფი შეგვხვდა და გავედით კიდეც ბოლო ადგილზე.

### 1999 წელი

გუცაევის თავკაცობა მალევე მორჩა: სლოვენიასთან ფრე და ნორვეგიასთან 1:4 წაგება (ორივე თბილისში) უკვე ნამეტანი იყო.

და ნაკრები პირველად ჩაბარდა უცხოელს: მყვირალა ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა ახალგაზრდები დააწინაურა და ზოგიერთი მათგანი დღესაც ნაკრების წევრია.

ბოსკამპმა ზაზა ჯანაშიას ხუშტურები ვერ აიტანა და გუნდიდან გაუშვა, ოღონდ ჰოლანდიელს არ ჰქონდა მთავარი — შედეგი.

საქართველომ იმ წელს თითქმის ყველა თამაში წააგო, ჰოლანდიელმა კი ეს სიტყვები დაგვიტოვა: „ნიჭიერი ბიჭები გყავთ, მაგრამ ჯოჯოხეთურად ცუდი მენტალიტეტი აქვთ" — რეალურად: „ნიჭიერი ბიჭები გყავთ, მაგრამ ჯორჯიან მენტალიტეტ დებილ!"

### 2000 წელი

ამ წელს ნაკრები ყიფიან-ძოძუაშვილის ტანდემს ჩააბარეს. შემოდგომამდე ჩვენებმა სუსტ მეტოქეებთან ამხანაგურებში ხეირიანი ვერაფერი აჩვენეს. აი, შესარჩევი კი მსუყე გასვლითი მოგებით დაიწყო — ლიტვა 4:0 განადგურდა და ოთხ დღეში ანკონაში იტალია გველოდა, სადაც ცალკე ფრანჩესკო ტოტის ეშმაკობებმა, ცალკე მსაჯის საეჭვო ქმედებებმა 0:2 წაგვაგებინეს.

იტალიასთან მატჩის პირველი ტაიმი ალბათ საუკეთესო 45-წუთეული იყო ნაკრების ისტორიაში.

ისევ ტოლდომ გაიგიჟა თავი...

### 2001 წელი

რუმინეთთან საშინაო მატჩში მოგება, იცით, რას გვაძლევდა? თითქმის პირდაპირ საგზურს კორეა-იაპონიაში! არა შეჯდა მწყერი ხესაო — საქართველომ თბილისში წააგო ვლახებთან და შემოდგომაზე კი გამოერია რამდენიმე კარგი მატჩი, თუმც იმ დროს კორეა-იაპონია ოცნებებშიც შორს იყო...

ნაკრებს ბოლო შეხვედრებში კვლავ ჩივაძე წვრთნიდა.

### 2002 წელი

მუნდიალზე გასულ სამხრეთ აფრიკას ჩვენებმა თბილისში 4:1 მოუგეს, მერე უკრაინასთან ბოლო წუთზე გაშვებულით წააგეს და თურქეთში 0:3 იგემეს.

შესარჩევი ციკლის გარიჟრაჟზე ჩივაძის ნაკრებმა შვეიცარიაში 1:4 დათმო და მის მოხსნაზე ისევ ალაპარაკდნენ...

### 2003 წელი

მიჯრით ორი მატჩი თბილისში და ოდენ ერთი ქულა: საქართველომ წააგო ირლანდიასთან და ფრედ ითამაშა შვეიცარიასთან, ჩივაძემ კი ქუდი დაიხურა და წავიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხეში წყლის ჩადგომამდე...

მოვიდა ივო შუშაკი, რომელიც იმავდროულად თბილისის „დინამოს“ თავკაცი გახლდათ. ხორვატის პირველივე მატჩი ზეობა იყო — 2003 წლის 30 აპრილს რუსეთს 1:0 ვძლიეთ, შუშაკის ბედნიერი სახე კი ტელეეკრანებსა და პრესის ფურცლებს არ მოსცილებია.

თუმც შუშაკი სასწაულმოქმედი არ იყო, რუსეთთან მოგებას ირლანდიასთან მარცხი შეენაცვლა, ნაკრებმა ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგა და...

აი, ამ დროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თქვა — სანამ ვინმეს მოვძებნით, მწვრთნელი მე ვიქნები!

დიახ, ასეთ დროსაც მოვესწარით...

ჟორდანიას თავკაცობის პერიოდში ყველაზე მკაფიოდ მისი და გოგა გახოკიძის კონფლიქტი დაგვამახსოვრდა. ფეხბურთელი მწვრთნელ-პრეზიდენტს ალბანეთთან საგარეო მატჩისას სათადარიგოთა სკამზე აუჯანყდა და ეს ეპიზოდი ყველამ ვნახეთ.

## 2004 წელი

წლის დასაწყისში ნაკრებს დროებით გოჩა ტყებუჩავა თავობდა — კვიპროსის ოთხგუნდა ტურნირზე ჩვენებმა სამიდან სამი მატჩი წააგეს.

დრო არ ითმენდა, ახალი მწვრთნელი იყო საჭირო და ჟორდანიამ მიშელ პლატინისთან მეგობრობის კვალზე ალენ ჟირესი ჩამოიყვანა.

ჩაი ფრანგს ცუდად არ დაუწყია: ფრე თურქეთში და მოგება ალბანეთთან.

გვახსოვს, ჟირესს საყვედურობდნენ, შედეგი კი კარგია, მაგრამ უხარისხო ფეხბურთს ათამაშებო.

მომდევნო მატჩში პირიქით მოხდა — უკრაინასთან სტუმრად მატჩში ჩვენებმა ბურთი აამღერეს და წააგეს (0:2), მერე კი იყო დანიასთან საშინაო ფრე (2:2).

ნაკრებს მუნდიალზე გასვლის შანსები რჩებოდა...

## 2005 წელი

...რჩებოდა, მაგრამ მალე აღარ დარჩა: საბერძნეთთან მალხაზ ასათიანის ანგარიშგამხსნელი გოლის მიუხედავად, მაინც წავაგეთ (1:3), რასაც თურქეთთან მარცხიც მოჰყვა (2:5), შემდეგ იყო ალბანეთში 2:3, და... ჟირესისა და ჟორდანიას თავკაცობა ერთად მორჩა: ფრანგი მოხსნეს, სფფ-ის პრეზიდენტი კი დიდი ოდენობით ფულის გაფლანგვისთვის ციხეში ჩასვეს.

ჟორდანიას შემცვლელმა უმცროსმა ნოდარ ახალკაცმა გაიოზ დარსაძეს ჩააბარა ნაკრები.

რა მოგვიტანა ამ ორიგინალურმა სვლამ, ყველამ ნახეთ — „ჯვაროსნების“ თამაში საცოდაობად გადაიქცა, გულშემატკივარმაც იორდანიასთან ამხანაგურ მატჩში დარსაძის საწინააღმდეგო პლაკატები გამოფინა.

## 2006 წელი

ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და სახელმწიფოს ჩარევით, ნაკრებს ახალი და აქამდე უნახავი უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელი დაენიშნა — კლაუს ტოპმიოლერი!

რა იმედები, რა აღმაფრენა... ბევრმა ისიც თქვა, ასეთი მწვრთნელის ხელში ვინლა გაგვაჩერებსო.

ტოპის გუნდმა ფარერებთან 6:0 მოგებით დაიწყო შესარჩევი, მაგრამ მერე წაგებების სერია დაიწყო: საფრანგეთი (0:3), უკრაინა (2:3), იტალია (1:3)...

ისიც სათქმელია, რომ პერ კლაუსს ფატალურად არ უმართლებდა, ზედ მატჩის წინ ემტვრეოდა წამყვანი ფეხბურთელები.

## 2007 წელი

წინა წელიწადი ურუგვაისთან ამხანაგურში 2:0 მოგებით დასრულდა, რასაც 2007-ის თებერვალში თურქეთთან გამარჯვებაც (1:0) მოჰყვა, მაგრამ მოაკაკუნა ოფიციალურმა მატჩებმა და ისევ ნაცრისფერი გადაეკრა ნაკრებს — თამაშიდან თამაშამდე უარესდებოდა ხარისხიც და იმ წელიწადს მხოლოდ ერთი კარგი მატჩი გამოერია... შოტლანდიასთან ნაკრებმა მართლაც იფრინა (2:0), ლევან ყენია-ლევან მჭედლიძის სახით დიდი იმედი ჩაგვესახა.

მართალია, ციკლი ლიტვასთან მარცხით დასრულდა, მაგრამ იმ მატჩშიც იყო ისეთი ელემენტები, ნაკრების წინსვლაზე ხელს რომ არ ჩაიქნევდა კაცი.

## 2008 წელი

ეს წელიწადი კი წინა ნომრებშიც მიმოვიხილეთ და ახალი რა ვთქვათ... კლაუს ტოპმიოლერის „ქართველობა“ 1 აპრილს დასრულდა, მერე იყო პეტარ სეგრტის დროებითი თავკაცობა და ახლა ნაკრების საჭეს ჰექტორ რაულ კუპერი მართავს.

კუპერს ნდობის კრედიტი აღებული აქვს, ჯიგარს აქსოვს საქმეში და ბურთი-მოედანიც მისია.

2009 წელი ჩვენთვის 11 თებერვალს იწყება — დუბლინში, ირლანდიასთან...

ილია ნანობაშვილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1992: | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 |
| 1993: | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 |
| 1994: | 11 | 5 | 1 | 5 | 14:14 |
| 1995: | 6 | 3 | 0 | 3 | 8:10 |
| 1996: | 8 | 1 | 0 | 7 | 7:18 |
| 1997: | 7 | 4 | 1 | 2 | 14:6 |
| 1998: | 11 | 5 | 2 | 4 | 14:14 |
| 1999: | 8 | 0 | 2 | 6 | 7:15 |
| 2000: | 10 | 2 | 4 | 4 | 9:10 |
| 2001: | 10 | 5 | 2 | 3 | 15:12 |
| 2002: | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 |
| 2003: | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 |
| 2004: | 9 | 1 | 2 | 6 | 6:15 |
| 2005: | 11 | 3 | 2 | 6 | 15:28 |
| 2006: | 11 | 3 | 1 | 7 | 15:20 |
| 2007: | 12 | 4 | 3 | 5 | 11:12 |
| 2008: | 10 | 1 | 3 | 6 | 8:18 |

## საქართველოს ნაკრები ციფრებში

სულ: 140 მატჩი, +41 =25 -74, ბურთები 164:220

ევროპულ ნაკრებებთან: 128, +36 =24 -68, ბურთები 143:197

აფრიკულ ნაკრებებთან: 4, +2 =1 -1, ბურთები 8:7

აზიურ ნაკრებებთან: 5, +2 =0 -3, ბურთები 10:12

სამხრეთამერიკულ ნაკრებებთან: 2, +1 =0 -1, ბურთები 2:1

ავსტრალია-ოკეანეთის ნაკრებებთან: 1, +0 =0 -1, ბურთები 1:3

სულ უთამაშია 178 ფეხბურთელს.

ყველაზე მეტი მატჩი: ლევან კობიაშვილი (77).

ჰეთ თრიქი — 2

შოთა არველაძე (სომხეთი 7:0), შოთა არველაძე (ფარერები 6:0).

გაძევება — 14

2-2: კახა კალაძე, ჯაბა, კანკავა, ზურაბ ხიზანიშვილი, 1-1: გიორგი ჩიხრაძე, გიორგი ქინქლაძე, მიხეილ ყაველაშვილი, ზაზა ჯანაშია, მამუკა წერეთელი, ალეკო რეხვიაშვილი, გოგიტა გოგუა, შოთა გრიგალაშვილი.

გოლი — 164

26: შოთა არველაძე, 16: თემურ ქეცბაია, 12-12: ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე, 8-8: გიორგი ქინქლაძე, მიხეილ ყაველაშვილი, ლევან კობიაშვილი, 6-6: არჩილ არველაძე, გოჩა ჯამარაული, 5: მიხეილ აშვეთია, 4-4: დავით სირაძე, მალხაზ ასათიანი, ზაზა ჯანაშია, 3-3: ლევან ყენია, დავით ჯანაშია, გიორგი გახოკიძე, 2-2: ოთარ მარცვალაძე, ჯაბა კანკავა, ლადო ბურდული, რატი ალექსიძე, გოჩა გოგრიჭიანი, დავით ყიზილაშვილი, 1-1: ბექა გოცირიძე, ლაშა სალუქვაძე, კახა კალაძე, ლევან მჭედლიძე, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი შაშიაშვილი, დავით მუჯირი, ლაშა ჯაკობია, გოგიტა გოგუა, ალეკო ამისულაშვილი, გიორგი გაბიდაური, დავით ჩალაძე, ზურაბ იონანიძე, ზურაბ მენთეშაშვილი, კახა ცხადაძე, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე, კახა კაჭარავა, რეზო არველაძე, დიმიტრი კუდინოვი, გია ჯიშკარიანი, გიორგი დარასელია, კახა გოგიჩაიშვილი, ავტოგოლი.

დიდი ანგარიშით მოგება — 10

დიდი ანგარიშით წაგება — 16

### ოფიციალურ მატჩებში

| | |
|---|---|
| სულ: | 72 +19 =12 -41, ბურთები 81:115 |
| შინ: | 37 +13 =10 -14, ბურთები 48:46 |
| სტუმრად: | 35 +6 =2 -27, ბურთები 33:69 |

დიდი ანგარიშით მოგება — 5

დიდი ანგარიშით წაგება — 9

იგებდა და ვერ მოიგო — 9

იგებდა და წააგო — 6

აგებდა და არ წააგო — 6

აგებდა და მოიგო — 1



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრენბურთი



ნინო მლებრიშვილს ნელი დათუკაშვილი ველარ დაეხმარება

# საქა და რთველო ესტონეთში ერთად იქნებიან

საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები 5 იანვარს ესტონეთში გაემგზავრა და 9-11 იანვარს ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს ითამაშებს. ნინო მლებრიშვილის გაწვრთნილებს მეტოქეობას მასპინძლების, მოლდოვას და დანიის გუნდები გაუწევენ. მომდევნო ეტაპზე მხოლოდ ერთი ნაკრები გადის. ახალი, ცუდი ამბავი ის არის, რომ ნაკრების კაპიტანმა ნელი დათუკაშვილმა ბოლო ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ვერ ითამაშებს. კომპენსაციად გარკვეულწილად შეიძლება ჩაითვალოს საქა-რთველოს თამაში. ორივე ბრაზილიელს მოედანზე ერთად ყოფნის უფლება ექნება. ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო ფედერაციამ არც თუ დიდი ხნის წინ მიიღო. **ნინო მლებრიშვილს** ესტონეთში წასვლამდე ვესაუბრეთ.

— 5 იანვარს უკვე ტალინში ვიქნებით. პირველი მატჩი 9 იანვარს მასპინძლებთან გვაქვს და მანამდე ხუთი ვარჯიშის ჩატარებას ვასწრებთ. ბრაზილიელები, საქა და რთველოც თავიდანვე შემოგვიერთდებიან.

— ნაკრები 16 დეკემბრიდან მომზადებას აზერბაიჯანში აპირებდა, თუმც მერე გეგმა შეიცვალა, რატომ?

— თურქეთში მოთამაშე ლეგიონერებს თამაშები ჰქონდათ და ვერ ახერხებდნენ ჩამოსვლას. ამიტომ გადავწყვიტეთ რომ შეკრება თბილისში გაგვევლო. 23 დეკემბრიდან ინტენსიურად ვემზადებით. ერთი ეგაა, კაპიტანმა ნელი დათუკაშვილმა ტრავმა მიიღო და სამწუხაროდ ველარ დაგვეხმარება. მისი არყოფნა სერიოზული დანაკლისია.

— პრობლემაა შეთამაშებაც. ამხანაგური მატჩის ჩატარება უპრიანი იქნებოდა, მაგრამ...

— ფედერაციას სურს, რომ ტალინში ერთ-ერთ იქაურ გუნდს ვეთამაშოთ. იმედია, ეს იდეა განხორციელდება, რაც ძალიან წაგვადგება.

— მეტოქეების მატჩების ვიდეოფირი თუ ნახეთ?

— მოლდოვეთის და ესტონეთის ნაკრების თამაშს ვუყურეთ. დანიისა ვერ მოხერხდა. შეიძლება ითქვას, ერთი დონის გუნდები ვართ, თუმც სერიოზული ბრძოლა მოგვიწევს ჯგუფიდან გასასვლელად. იმედი კი გვაქვს და, ვნახოთ.

— ბრაზილიელებს მოედანზე ერთდროულად თამაშის უფლება ექნებათ...

— მათი წყვილი სერიოზული ძალაა და ძალიან გვეიმედება. გამოცდილები არიან და წესით ამან მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოახდინოს ჩვენი თამაშის ხარისხზე.

**ლექსო მაისურაძე**

ჩოგბურთი

# სოფო შაფათავა მწვანე კონტინენტზე წავიდა



**ქართველი** ჩოგბურთელი სოფო შაფათავა ავსტრალიაში გაემგზავრა.

ახალგაზრდა მეჩოგნე ავსტრალიის ღია პირველობაზე ითამაშებს და ოლიმპიადისთვის საჭირო ქულების დაგროვებას ეცდება.

სოფო საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდის ძალებს და ძირითად ბადეში გასვლას შეეცდება. ისიც ვთქვათ, რომ შაფათავა პირველი ქართველია ავსტრალიის ღია პირველობაზე რომ ითამაშებს ლეილა მესხის შემდეგ.

მწვანე კონტინენტზე მისი წასვლის ხარჯებს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი ფარავს. სეოკ-ის მიზანია ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოლონ. ამჯერად არჩევანი სოფოზე გაკეთდა, მერე კი სხვებსაც მიეცემათ შანსი.

**ლექსო მაისურაძე**

ძიუდო

# ქართული ძიუდო თბილისში იწყება

**საქართველოს** ძიუდოისტთა ნაკრები გრძელ სეზონს თბილისის მსოფლიოს თასით გახსნის. 24-25 იანვარს ჩვენ დედაქალაქს სახელიანი ძიუდოისტების დიდი ამალა ეწვევა და მაყურებელს ლამაზ სანახაობას აჩვენებს. შოთა ხაბარელის გაწვრთნილებმა მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელ ეტაპზე ერთი შეკრება უკვე მოიარეს — ბორჯომს სტუმრობდნენ.

სპორტის სასახლის ტატამზე გასვლამდე ხაბარელის კრებული თბილისში ივარჯიშებს. შეგახსენებთ, რომ ქართველებს მასპინძლის სტატუსის გამოყენება შეუძლიათ, რაც ოთხი ძიუდოისტის გამოყვანას გულისხმობს.

სანაკრებო შემადგენლობა გარკვეულწილად ჩამოყალიბებულია, თუნდაც საქართველოს ჩემპიონატზე თავგამოჩენილი და ნაკრების პირველი ნომრების გათვალისწინებით, თუმც საბოლოო სიის ჩამოწერა ჯერ ვერ მოხერხდა. ნაკრების შემადგენლობას შოთა ხაბარელი მალე დაასახელებს.

საინტერესოა, რომ აქამდე მსოფლიოს თასზე მხოლოდ მასპინძელს თუ შეეძლო ოთხი ძიუდოისტის გამოყვანა, ახლა იგივეს გაკეთება ყველა ნაკრებს შეუძლია. ასე რომ, თვის მიწურულს სპორტის სასახლეში გულშემატკივარს ლამაზი სანახაობა ელის.

**ნიკა კოპაძე**



# ლევან ახვლედიანს მესამედ მიულოცეს



**სპორტის** დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტად ლევან ახვლედიანი მესამე ვადით აირჩიეს. 21 ხმის მიცემის მქონე სუბიექტიდან ახვლედიანს მხარი 20-მა დაუჭირა და მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი. ისიც ვთქვათ, რომ მას კონკურენტი არ ჰყოლია — კანდიდატად დარეგისტრირება არავის მოუსურვებია.

თავად ახვლედიანმა კი გაპრეზიდენტების შემდეგ ეს გვითხრა — ფრენბურთის ფედერაციის მიერ გაწეული სამუშაო წარმატებულად შეფასდა. ჩვენმა პლაჟბურთელებმა პეკინის ოლიმპიადაზე კარგად ითამაშეს. სხვათა შორის, გასაკვირია, რომ ჟურნალისტებმა გეორ და გია სათამაშო სახეობებში არ გამოარჩიეს. ევროპიდან ერთადერთი გუნდი ვიყავით, ოთხეულში რომ მოვხვდით. ამის გაკეთება მხოლოდ ამერიკელებმა, ბრაზილიელებმა და ჩინელებმა შეძლეს. ეს არ იყო პატარა ამბავი. თუმცა იმის მიუხედავად, რომ ბევრი რამ გაკეთდა, კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი და მომავალ ოთხ წელში ამაზე ვიმუშავებთ. უნდა ჩამოყალიბდეს ახალგაზრდული ნაკრებები. მსოფლიოს ჩემპიონატზე პლაჟბურთელების წარმატებით გამოსვლას ველით. ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე კი მედლებისთვის იბრძოლებენ. ამას ბევრი პესიმისტურად უყურებდა. თუმცა პეკინში გამოჩნდა, რომ ამის გაკეთება ჩვენ პლაჟბურთელებს შეუძლიათ".

**ნიკა კოპაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ოჯეი სიმპსონი ანუ ძალიან ამერიკული ამბავი ანჰეფი ენდით




*ქურდობა, ძარცვა, სასტუმროს მოხელეებზე ძალადობა, იარაღით დამუქრება, მძევლების აყვანა, მძევლების იძულება, პოლიციისთვის სიმართლის დამალვა, გამოძიების მცდარ კვალზე დაყენება... ოჯეი სიმპსონმა მკვლელობის გარდა თითქმის ყველაფერი ჩაიდინა, 2007 წლის ერთ ბნელ საღამოს ლას ვეგასის კაზინო-სასტუმრო-ლომბარდიდან საკუთარი (როგორც თავად ამბობს) სპორტული ჯილდოები რომ გამოეტანა. სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდება. ნაფიცმა მსაჯულებმა სიმპსონი ერთსულოვნად სცნეს დამნაშავედ, მაგრამ ჯერჯერობით არ დადგენილა სასჯელის ვადა. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მუხლი ჯამში 33 წელს კრებს. სულ ცოტა, 9 წელს მაინც მიუსჯიან. შეიძლება, მეტიც მისცენ... და ადვოკატის გარდა ბევრიც არავინ გამოესარჩლება იმ კაცს, რომელსაც 13 წლის წინ სულ სხვა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნახევარი ამერიკა ექომაგებოდა, მეორე ნახევარი კი უკიდურესი ზიზღით აძაგებდა...*

ლეგენდარული სპორტსმენი ოჯეი სიმპსონი ფერადკანიანია. ჩვენში ხალხს მასზე ბევრიც არაფერი სმენია. გასაგებია, რატომაც: განა, ამერიკული ფეხბურთის ბევრ მოთამაშეს ჩამოთვლით? მით უმეტეს, ის 70-იან წლებში ვარსკვლავობდა... თანაც 1995 წელს ყოფილი ცოლისა და მისი ბოიფრენდის მკვლელობისთვის მთელი ამერიკა რომ ასამართლებდა, მაშინ ჩვენს ქვეყანაში ისეთები ხდებოდა, სიმპსონისთვის ნაღდად არავის ეცალა. მაგრამ, აბა, შტატებში იკითხეთ...

## მოლაყბე ფორესტ გამპი

მაინც რა კაცია ეს ოჯეი სიმპსონი? მისი თუნდაც კონტურული პორტრეტის მოხაზვაში სპორტულ ჟურნალისტს კი არა, კალამბასრ მწერალსაც ჯაფა დაადგებოდა. ფსიქოლოგიის პროფესორი ალბათ უკეთ გაართმევდა თავს ამ საქმეს.

მაინც ვცადოთ:

მისი ცხოვრება ამერიკული მთების ატრაქციონს ჰგავს: მაღლა, დაბლა, უფრო მაღლა, უფრო დაბლა...

დაიბადა 1947 წლის 9 ივლისს ნიუ ორლეანის მახლობლად და ფეხები იმდენად სუსტი ჰქონდა, რომ რკინის ბიჯგებს ატარებდა. ხუთი წლისამ მათგან თავი გაითავისუფლა და ისე სწრაფად გაიქცა, რომ თავი მალე ამერიკულ ფეხბურთში ამოჰყო. რობერტ ზემეკისის უცნობილესი ფორესტ გამპის პროტოტიპი გახლავთ, მაგრამ ზემეკისს რომ სცოდნოდა, მისი შთაგონების წყარო რა ამბებს დაატრიალებდა ფილმის გამოსვლიდან რამდენიმე თვეში, ალბათ უარს იტყოდა ამერიკული კინოისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო სურათის შექმნაზე. ფორესტი აზროვნებაშეზღუდული, დაკომპლექსებული სოფელელია, ოჯეი კი, პირიქით, თავდაჯერებული და კომუნიკაბელური სპორტსმენი გახლდათ, ტელესტუდიათა ხშირი სტუმარი, კაცი, რომელიც ფულს აკეთებს და რომლითაც ფულს აკეთებენ.

## სპორტის ლეგენდა

უნივერსიტეტში ის სტუდენტური ლიგის საუკეთესო მოთამაშე შეიქნა და სარეკორდო რაოდენობით აგროვებდა იარდებს და თაჩდაუნებს. გაიბრწყინა თამაშში, რომელიც ამერიკული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დაუვიწყარად მოინათლა. ნფლ-ის (ამერიკულ ფეხბურთში იგივეა, რაც კალათბურთში ნბა) სუსტი გუნდები შეგნებულად აგებდნენ, დრაფტზე სიმპსონი რომ შეხვედროდათ. ნფლ-ში მისი ნიჭი კიდევ უფრო გაიფურჩქნა. მის საარაკო სისწრაფესა და მოხერხებაზე ლეგენდები შეიქმნა. 70-იანი წლების ბოლოს მოთამაშის კარიერა რომ დაასრულა, ბურთი 11 ათასზე მეტი იარდით ჰქონდა წაწეული, რაც ლიგის ისტორიაში მეორე საუკეთესო შედეგი იყო. 1985 წელს ფეხბურთის დიდების დარბაზში მიიღეს. ამავდროულად, ის კარგი კინომსახიობიც გახლდათ, თამაშობდა მაღალი რეიტინგის სერიალებში, გადაიღეს „შიშველ პისტოლეტში“, ჰქონდა ბიზნესი... მოკლედ, რეიგანის ეპოქის ერთ-ერთი უცნობილესი ამერიკელი გახლდათ.

## მაგრამ ოჯახი?

სიმპსონმა 20 წლისამ შეირთო მარგერიტ უიტლი, რომლისგანაც სამი შვილი ეყოლა. ყველაზე უმცროსი, აარენი მხოლოდ ერთი წლისა იყო, 1979 წელს საკუთარ ეზოში, აუზში რომ დაიხრჩო. ოჯეი და მარგერიტი მალევე გაშორდნენ ერთმანეთს.

1985 წელს მეორე ცოლი, 12 წლით უმცროსი თეთრკანიანი ლამაზმანი ნიკოლ ბრაუნი მოიყვანა. ეყოლათ ორი შვილი, მაგრამ სიმპსონის ეს ოჯახიც არ ყოფილა შინაური იდილიის მაგალითი. ცოლ-ქმარი ხშირად ჩხუბობდა, 1992 წელს ოფიციალურად გაშორდნენ და მილიონერ სიმპსონს გვარიანი ალიმენტი დაეკისრა. აქედან დაიწყო კოშმარული ვარდნა. ოღონდ ოჯეი სიმპსონისთვის ეს არაა სიზმარი. მთელი ეს წლები ის ცხადში ეშვება უფსკრულში.

## ორმაგი მკვლელობა

1994 წლის 12 ივნისს ოდესღაც ოჯეის, მერე კი მისი ნაცოლარის კერძო სახლის ეზოში იპოვეს სისხლის გუბეში მცურავი ორი ადამიანის გვამი. ვიღაცას საშინლად აეკუწა 35 წლის ნიკოლ ბრაუნ-სიმპსონი და მისი 25 წლის ბოიფრენდი რონალდ გოლდმანი. გამოძიების ძაფი ყოფილი ფეხბურთელისკენ მიდიოდა. ერთი შეხედვითაც ჩანდა, მკვლელი ვინ იყო. მალე დაიწყო ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული სასამართლო პროცესი, რომელმაც მთელი ამერიკა მოიცვა. ერთი წლის თავზე სიმპსონი უდანაშაულოდ სცნეს.

yahoo.com-ის ანალიტიკოს დან ვეტცელის გასული კვირის სტატიიდან:

*„ყველას გვახსოვს 1995 წლის ის დღე, როდესაც ოჯეი სიმპსონისთვის ვერდიქტი გამოჰქონდათ — გვახსოვს, სად ვიყავით, ვისთან ერთად ვიყავით და რას ვაკეთებდით, როცა საბოლოო სხდომას ვუყურებდით. მთელი ქვეყანა პარალიზებული იყო. მუშაობა შეწყდა, ტელევიზიები დაუსრულებლად ანახებდნენ ემოციურ შოკში ჩავარდნილ უცხო ხალხს, რომლებსაც სიტყვის თქმაც უჭირდათ. პროცესის საბოლოო შედეგი სკოლებშიც კი გამოაცხადეს ინტერკომით. გვახსოვს იმ კლერკის სახე, რომელმაც წაიკითხა ვერდიქტი — „უდანაშაულოა მკვლელობაში!“ სიმპსონის ადვოკატმა, სიხარულისგან შეშლილმა ჯონი კოკრანმა მუშტები აღმართა, ასევე სიხარულისგან გაოგნებულებმა მისმა დამხმარეებმა კი პირები დააფჩინეს. მათ არ სჯეროდათ, რომ სიმპსონი გამართლდა. და აი, სწორედ აქ მიხვდა ყველა, რომ ის დამნაშავე იყო.*

*თავად ოჯეიმ ძუნწად, მაგრამ შვებით გაიღიმა და ჩუმად გადაიხადა მადლობა. რონ გოლდმანის ახლობლები კი სიმწრისგან ღმუოდნენ. ეს იყო 90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და დასამახსოვრებელი მოვლენა. კამერები გარეშე ხალხს აზრს ეკითხებოდნენ. ძნელი შესამჩნევი არ იყო, რომ ქვეყანა ორად გაიხლიჩა. თეთრები ზღვარგადასული ზიზღით საუბრობდნენ, შავები ზღვარგადასულად ზეიმობდნენ. ეს იყო ამერიკის პირველი რეალური შოუ, იდეალური კონტენტი ტელევიზიებისთვის, რომელიც არავის ტოვებდა გულგრილს. იმ პროცესის ცქრით დაინახვდი ამერიკული სასამართლოს არსს, ივრძნობდი ამერიკული ცხოვრების წესის ყველა ნაკლს და უპირატესობას...“*

## მშვიდობით, სიმშვიდევ!

მოკლედ, ოჯეი ელექტროსკამს გადაურჩა, მაგრამ ამ წუმპედან მშრალი ვერ ამოვიდა. გოლდმანის ახლობლები არ შეეგუენენ განაჩენს და 1997 წელს ახალი პროცესი ააგორეს, ამ ჯერზე სამოქალაქო სასამართლოში... და სიმპსონმა ეს პროცესი წააგო. გამოვიდა, რომ მას არ ჩაუდენია მკვლელობა, მაგრამ მაინც დამნაშავე იყო. აბსურდია, მაგრამ ფაქტია. მოკლული ბიჭის ოჯახისთვის მორალური ზარალის ასანაზღაურებლად მას 35,5 მილიონის გადახდა დაეკისრა, რომელიც ნაწილობრივ გადაიხადა, რაკი სრულად არ ჰქონდა.

ლეგენდარული ფეხბურთელი, კინოვარსკვლავი, წარმატებული ბიზნესმენი და, უბრალოდ, ყველასთვის ნაცნობი, საყვარელი ტელესახე ფსკერზე დაეშვა. ნფლ-ის 22-ათასიანი პენსიით ცხოვრების ძველ სიამოვნებებს ვერ გამოედევნებოდა. წიგნიც კი დაწერა სათაურით „ოჯეი სიმპსონი: მე რომ ეს გამეკეთებინა. როგორ მოხდა ყოველივე“. მაგრამ ამან კიდევ უფრო ღრმა ტალახში ჩააგდო. გოლდმანების ოჯახი სულთამხუთავივით სდევნიდა და იქიდან ამოსვლის საშუალებას არ აძლევდა.

წიგნი კარგად კი წავიდა, მაგრამ მისი რეალიზება მალე შეჩერდა — ისევ ჩიოდნენ გოლდმანები. ვინაიდან სიმპსონმა სრულად ვერ დაფარა 35-მილიონიანი კომპენსაცია, წიგნზე უფლებები გოლდმანებს დარჩათ, მათ კი თხზულება ამერიკულად რომ ვთქვათ, „სხვანაირად შეფუთეს“. სიმპსონის მონათხრობს დაურთეს თავიანთი კომენტარები, სათაური კი შეცვალეს და დააწერეს: „მე ეს გავაკეთე: მკვლელის აღიარება“.

სიმპსონი განადგურებული იყო. მას ყოფილმა პირადმა მენეჯერმა და მეგობარმა მაიკ ჯილბერტმაც კი უგანა. ცოტა ხნის წინ ამანაც დაწერა წიგნი სათაურით: „როგორ დავეხმარე ოჯეი სიმპსონს მკვლელობის დაფარვაში.“ ერთგან ის წერს — „ოჯეი მთელი კვირა სვამდა ლუდს და ხმარობდა ნარკოტიკებს. ის არ იყო ფხიზელი, როდესაც ნიკოლთან შესახვედრად წავიდა. მაგრამ მერწმუნეთ, არაფერიც არ მოხდებოდა, ნიკოლი ოჯეის ეზოდან გასაგდებად დანით რომ არ გამოვარდნილიყო და მისთვის ყველაფერი ადამიანურად აეხსნა.“

ლას ვეგასის კაზინოში შევარდნის საქმეზე ჯილბერტის წიგნიც სალაპარაკო გახდა, თუმც აქ სიმპსონს ძველი ცოდვა აღარ გაუხსენეს, ახალიც საკმაოდ მძიმე იყო 61 წლის გათელილი კაცის საბოლოოდ მოსატეხად.

## ფსკერი

სიმპსონს კიდევ ორჯერ ასასამართლებდნენ, თითქოსდა სულ სხვა მიქარვების გამო, მაგრამ რეალურად ყოველივე ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებია. 1999 წელს მას გადასახადების დამალვა დაუმტკიცდა — კალიფორნიის ბიუჯეტისთვის, სულ ცოტა, 1,4 მილიონი ემართა. სამუდამოდ კალიფორნიიდან ფლორიდაში გაიქცა, მაგრამ ცუდ აურას ვერც იქ დააღწია თავი. 2004 წელს დაუმტკიცდა სატელიტური არხების უკანონოდ ხმარება და კაბელური კომპანიისთვის 24 ათასის გადახდა დაეკისრა.

არც ეს თანხა აღმოაჩნდა. საერთოდ აღარაფერი ებადა. ჯილდოები ლომბარდში ჰქონდა დაგირავებული და კარგა ხანია, მას აღარ ეკუთვნოდა. მაგრამ ამ ჯილდოების დასაბრუნებლად ის ლას ვეგასში ჩავიდა და იარაღგამზადებული სამ თანამზრახველთან ერთად ღამით შევიდა კაზინოში...

ოჯეი სიმპსონის ამბავი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ეჭვიც კი აღარავის ეპარება, რომ ცხოვრებას ციხეში გალევს. „არავისთვის არაფრის მოპარვა და წართმევა არ მინდოდა. ეს იყო სისულელეზე მეტი“ — ჩიოდა ის ლას ვეგასის სასამართლოზე, მაგრამ 13 წლის წინანდელისგან განსხვავებით, არავინ გამოეტირა. ტელევიზიებისთვის მისი პროცესის გაშუქება არარეიტინგული და წამგებიანიც კი გამოდგა.






**ირაკლი ფირაშვილი**

# გულშემატკივრის მეგზური: 2009

„სარბიელის" ეს გვერდები მთელი წელი არ მოძველდება, რაკი აქ წლის უმნიშვნელოვანეს სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარს გთავაზობთ.
აქ ნახავთ ზამთრის ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატების განრიგს, რომელიც იანვარ-მარტში გაიმართება. ზაფხულში მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატს გამოვარჩევთ. შემოდგომაზე: კალათბურთისა და ფრენბურთის მსოფლიოს ჩემპიონატებს. კალენდარში, ცხადია, შეტანილი გვაქვს ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების დღეებიც.
ერთი შენიშვნაც: ზოგიერთი შეჯიბრის ჩატარების ზუსტი თარიღი ჯერაც დაუდგენელია, რისი მიზეზიც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობაა...

## იანვარი

14-18 იანვარი
**ბობსლეი, სკელეტონი**
*ევროპის ჩემპიონატი.*
*სენტ-მორიცი (შვეიცარია)*
კონტინენტური პირველობა ამავდროულად მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპიცაა.

16 იანვარი-1 თებერვალი
**ხელბურთი**
*ევროპის ჩემპიონატი. კაცები.*
*ზაგრები, ზადარი, ოსიეკი,*
*სპლიტი, ვარაჟდინი, პორეჩი*
*(ხორვატია)*
მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიაა, პეკინის ოლიმპიადა კი საფრანგეთმა მოიგო. ჩემპიონატის მთავარი სენსაცია კი ისლანდიის არყოფნაა, რომელმაც შესარჩევ პლეიოფში მაკედონიასთან წააგო. არადა, ისლანდიელები ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონები არიან.

17-24 იანვარი
**სნოუბორდი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*კანვონი (ს. კორეა)*
გათამაშდება მედლების ცხრა კომპლექტი: ხუთი კაცებში და ოთხი ქალებში.

?-?
**ბურთიანი ჰოკეი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ვესტეროსი (შვედეთი)*

19 იანვარი-1 თებერვალი
**ჩოგბურთი**
*ავსტრალიის ღია პირველობა.*
*მელბურნი (ავსტრალია)*
შეჯიბრი, რომელშიც ქართველი სოფო შაფათავაც მიიღებს მონაწილეობას, ჰარდ-საფარზე ტარდება.

17-18 იანვარი
**ციგურაობა**
*მსოფლიოს ჩემპიონატი*
*სპრინტში. მოსკოვი (რუსეთი)*

19-25 იანვარი
**ფიგურული სრიალი**
*ევროპის ჩემპიონატი.*
*ჰელსინკი (ფინეთი)*
ქართველი მოციგურავე ელენე გედევანიშვილი, რომლის საუკეთესო შედეგიც მეხუთე ადგილია, ევროპულ რეიტინგში ამჟამად მერვე ადგილზეა.

24-25 იანვარი
**ძიუდო**
*მსოფლიოს თასის ეტაპი.*
*თბილისი (საქართველო)*
შეჯიბრს სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

## თებერვალი

3-15 თებერვალი
**სამთო თხილამურობა**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ვალ დიზერი (საფრანგეთი)*
შეჯიბრებები შემდეგ სახეობებში ჩატარდება: სლალომი, სწრაფდაშვება, გიგანტური სლალომი, სუპერგიგანტი, სუპერკომბინაცია, გუნდური ტურნირი.

6-8 თებერვალი
**ციგურაობა**
*მსოფლიოს ჩემპიონატი*
*კლასიკურ მრავალჭიდში.*
*ჰამარი (ნორვეგია)*

6-8 თებერვალი
**ციგაობა**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ლეიკ-პლესიდი (აშშ)*

14-22 თებერვალი
**ბიატლონი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*პიონგჩანგი (ს. კორეა)*
მსოფლიოს ჩემპიონატს პირველად უმასპინძლებს აზიის კონტინენტი. გათამაშდება მედლების 11 კომპლექტი: სპრინტი, პურსიდი, ინდივიდუალური რბოლა, მას-სტარტი, კაცთა ესტაფეტა, ქალთა ესტაფეტა, შერეული ესტაფეტა. ფავორიტებად ტრადიციულად ნორვეგიელი, გერმანელი და რუსი სპორტსმენები ითვლებიან.

18 თებერვალი-1 მარტი
**თხილამურობა, ტრამპლინიდან ხტომა, ორჭიდი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ლიბერეცი (ჩეხეთი)*
მსოფლიოს ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და სამ დისციპლინას აერთიანებს.

27 თებერვალი-1 მარტი
**ბობსლეი, სკელეტონი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ლეიკ-პლესიდი (აშშ)*

11 თებერვალი
**ფეხბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატის*
*შესარჩევი ტური*
ირლანდია — საქართველო

## მარტი

1-8 მარტი
**ფრისტაილი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ინავაშირო (იაპონია)*

6-8 მარტი
**შორტ-ტრეკი**
*მსოფლიოს ინდივიდუალური*
*ჩემპიონატი. ვენა (ავსტრია)*

14-15 მარტი
**შორტ-ტრეკი**
*მსოფლიოს გუნდური*
*ჩემპიონატი. ჰერენვენი*
*(ჰოლანდია)*

6-8 მარტი
**მძლეოსნობა**
*ევროპის ჩემპიონატი*
*დარბაზში. ტურინი (იტალია)*
ოლიმპიური თამაშების ბევრმა მონაწილემ წინასწარ განაცხადა უარი ამ ნაკლებპრესტიჟულ შეჯიბრში მონაწილეობაზე, მათ შორის, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ელენა ისინბაევამ.

12-15 მარტი
**ციგურაობა**
*მსოფლიოს ჩემპიონატი*
*ცალკეულ დისტანციებზე.*
*რიჩმონდი (კანადა)*

28 მარტი
**ფეხბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატის*
*შესარჩევი ტური*
კვიპროსი — საქართველო

23-29 მარტი
**ფიგურული სრიალი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ლოს ანჯელესი (აშშ)*
ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე მსოფლიოს ჩემპიონატს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწორედ ლოს ანჯელესში გაირკვევა, რომელ ქვეყანას რამდენი სპორტსმენის წარგზავნა შეეძლება ვანკუვერის ოლიმპიადაზე.
ელენე გედევანიშვილი მსოფლიო რეიტინგში 26-ე ადგილზეა.

28-29 მარტი
**ფრენბურთი**
*ჩემპიონთა ლიგის ოთხთა*
*ფინალი. ქალები*
ოთხთა ფინალის ჩატარების ადგილი თებერვალში, ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ გაირკვევა.

29 მარტი
**ფორმულა 1**
*მსოფლიოს ჩემპიონატის I*
*ეტაპი. ავსტრალიის გრან-პრი.*
*მელბურნი (ავსტრალია)*
სულ ჩატარდება 17 ეტაპი. შარშან მსოფლიოს ჩემპიონი ლუის ჰემილტონი გახდა, კონსტრუქტორთა თასი „ფერარიმ" მოიგო, რომლის ბოლიდებითაც ფელიპე მასა და კიმი რაიკონენი გამოდიან.

29 მარტი-5 აპრილი
**სპორტული ტანვარჯიში**
*ევროპის ჩემპიონატი.*
*მილანი (იტალია)*

## აპრილი

1 აპრილი
**ფეხბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატის*
*შესარჩევი ტური*
საქართველო — ჩერნოგორია

3-5 აპრილი
**კალათბურთი**
*ევროლიგის ოთხთა ფინალი.*
*ქალები*
ქალთა ევროლიგა სკანდალს ვერ ასცდა: გათამაშების მსვლელობისას რუსულმა ცსკა-მ ფინანსური პრობლემების გამო შემდგომ გამოსვლაზე უარი თქვა. შემდეგ კლუბმა სპონსორი იშოვა და ფიბას შეჯიბრში დაბრუნება სთხოვა. ფიბამ რუსების თხოვნა დააკმაყოფილა, რამაც სხვა კლუბების საფუძვლიანი დასაბუთებული პროტესტი გამოიწვია. ოთხთა ფინალის ჩატარების ადგილი ჯერ უცნობია.

4-5 აპრილი
**ფრენბურთი**
*ჩემპიონთა ლიგის ოთხთა*
*ფინალი. პრაღა (ჩეხეთი)*
მოქმედი ჩემპიონია რუსული „დინამო ტტგ", რომელიც ამ სეზონში „ზენიტის" სახელით გამოდის.

22-26 აპრილი
**ძიუდო**
*ევროპის ჩემპიონატი.*
*თბილისი (საქართველო)*
ჩემპიონატი ქალთა და კაცთა შორის ჩატარდება და სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

24 აპრილი-10 მაისი
**ჰოკეი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ციურიხი, ბერნი (შვეიცარია)*
მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი რუსეთის ნაკრებია, რომელმაც ტიტული 14-წლიანი უქმობის შემდეგ მოიპოვა.

28 აპრილი-5 მაისი
**მაგიდის ჩოგბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*იოკოჰამა (იაპონია)*

## მაისი

1-3 მაისი
**კალათბურთი**
*ევროლიგა-ულების ოთხთა*
*ფინალი. კაცები. ბერლინი*
*(გერმანია)*
მოქმედი ჩემპიონი რუსული ცსკა-ა.

9-31 მაისი
**ველოსპორტი**
*ჯირო დიტალია*
სპორტული სამყარო მოუთმენლად ელოდება 92-ე ჯიროს, რაკიღა დიდ სპორტს უბრუნდება ტურ დე ფრანსის შვიდგზის გამარჯვებული, ლეგენდარული ლენს არმსტრონგი. ამერიკელმა, რომელმაც კარიერა სამი წლის წინ დაასრულა, უკვე განაცხადა, რომ ჯიროშიც მიიღებს მონაწილეობას, რომელშიც ხვავიანი კარიერის განმავლობაში არასდროს გამოსულა.
სტარტი ვენეციაშია, ფინიში კი რომში.

20 მაისი
**ფეხბურთი**
*უეფას თასის ფინალი.*
*სტამბოლი (თურქეთი)*

27 მაისი
**ფეხბურთი**
*ჩემპიონთა ლიგის ფინალი.*
*რომი (იტალია)*

25 მაისი-8 ივნისი
**ჩოგბურთი**
*როლან გაროსი.*
*პარიზი (საფრანგეთი)*
ერთ-ერთი სლემტურნირი. გრუნტის საფარიან ტურნირებში მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად ითვლება. ბოლო ოთხი სეზონია, როლან გაროსს ესპანელი რაფაელ ნადალი იგებს.

## ივნისი

7-20 ივნისი
**კალათბურთი**
*ევროპის ჩემპიონატი.*
*ქალები. ლატვია*
ბოლო ათ წელიწადში პირველად კონტინენტის პირველობა შემოდ-



**ელენე გედევანიშვილს იანვარში ევროპის, მარტში კი მსოფლიოს ჩემპიონატი ელის**

# წლის სპორტული კალენდარი

გომის ნაცვლად ზაფხულში ტარდება. მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო ჩემპიონატის ორგანიზატორებს პრობლემები შეექმნათ, მაგრამ ლატვიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ პასუხისმგებლობას იღებს ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებაზე.

22 ივნისი-6 ივლისი
**ჩოგბურთი**
*უიმბლდონი.*
*ლონდონი (ინგლისი)*

დიდი სლემის ტურნირთაგან უძველესი. ტარდება ბალახის საფარზე. სხვა სამი სლემტურნირისგან განსხვავებით, პირველ და მეორე კვირას შორის კვირადღე უქმეა. ორგანიზატორთა მუდმივი პრობლემა უამინდობაა, რაკი ამ პერიოდში ლონდონში ხშირად წვიმს, რაც გრაფიკის ცვლილებებს იწვევს.

25 ივნისი-5 ივლისი
**პლაჟის ფრენბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*სტავანგერი (ნორვეგია)*

ჩვენ გეორ-გიას და საქა-რთველოს კარგი გამოსვლის იმედი გვაქვს.

### ივლისი

4-26 ივლისი
**ველოსპორტი**
*ტურ დე ფრანსი*

ჯიროს მსგავსად, აქაც მთავარი ინტრიგა ლენს არმსტრონგის დაბრუნებაა. „დიდი მარყუჟი" სტარტს მონაკოში აიღებს, გზად იტალიაში, შვეიცარიაში, ანდორასა და ესპანეთში შეივლის. საერთო დისტანცია 3445 კმ-ია.

18 ივლისი-2 აგვისტო
**საწყლოსნო სახეობები**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*რომი (იტალია)*

მსოფლიოს ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და რამდენიმე სახეობას აერთიანებს: ცურვა ღია აუზში, ცურვა დახურულ აუზში, სინქრონული ცურვა და წყალში ხტომა.

22-26 ივლისი
**ფრენბურთი**
*მსოფლიო ლიგის ფინალური ტურნირი. ბელგრადი (სერბეთი)*

უმსხვილესი კომერციული ტურნირია და ექვსი გუნდი მიიღებს მონაწილეობას: ოთხი გუნდი შესარჩევი ეტაპიდან, მასპინძელი სერბეთი და ერთიც „ველური ბარათით".

### აგვისტო

15-23 აგვისტო
**მძლეოსნობა**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ბერლინი (გერმანია)*

ჩემპიონატი პეკინის ოლიმპიადის დროს დოპინგზე ჩავარდნილი რუსი ქალი მძლეოსნების გარეშე ჩაივლის. თავად რუსებმა დოპინგის მიღებაში მხილებულებს 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, მაგრამ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია სასჯელის კიდევ უფრო გამკაცრებას აპირებს.

19-23 აგვისტო
**ფრენბურთი**
*გრან-პრის ფინალური ტურნირი. ტოკიო (იაპონია)*

ქალთა კომერციული ტურნირია, რომელშიც 12 ნაკრები თამაშობს.

21 აგვისტო-5 სექტემბერი
**კრივი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*მილანი (იტალია)*

იმედია, ლივერპულში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის მსგავსი რომ აღარ განმეორდება და ქართველ მოკრივეებს ვიზებს მისცემენ.

29 აგვისტო-20 სექტემბერი
**ველოსპორტი**
*ვუელტა ესპანია*

ამ სეზონში ვუელტა... ჰოლანდიაში დაიწყება, გერმანიას და ბელგიას გაივლის და მხოლოდ მეხუთე ეტაპიდან გადავა ესპანეთში.

31 აგვისტო-14 სექტემბერი
**ჩოგბურთი**
*USA-ოუფენი.*
*ნიუ იორკი (აშშ)*

ამერიკის ღია პირველობის წინ ჩრდილოეთ ამერიკაში იუ ეს ოუფენის სერიის რამდენიმე ტურნირი ტარდება და მათ გამარჯვებულებს ცალკე სარეიტინგო ქულები ეწერებათ. თუ შემდგომში ეს ჩოგბურთელები იუ ეს ოუფენზეც მიაღწევენ წარმატებას, საპრიზო ფონდიდან მომატებულ ჰონორარებს მიიღებენ.

### სექტემბერი

3-13 სექტემბერი
**ფრენბურთი**
*ევროპის ჩემპიონატი. კაცები.*
*იზმირი, სტამბოლი (თურქეთი)*

პირველი ეტაპის მერე ორი ექვსგუნდა ჯგუფი შედგება, მერე კი საუკეთესოები პლეი ოფში ითამაშებენ.

25 სექტემბერი-4 ოქტომბერი
**ფრენბურთი**
*ევროპის ჩემპიონატი. ქალები.*
*ლოძი, ვროცლავი, ბიდგოშჩი, კატოვიცე (პოლონეთი)*

5 სექტემბერი
**ფეხბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტური*
საქართველო — იტალია

7-20 სექტემბერი
**კალათბურთი**
*ევროპის ჩემპიონატი. კაცები.*
*ვარშავა, პოზნანი, გდანსკი, ვროცლავი, ბიდგოშჩი, ლოძი, კატოვიცე (პოლონეთი)*

გუნდები ოთხ ჯგუფში არიან გადანაწილებული. A ჯგუფი: მაკედონია, ხორვატია, საბერძნეთი, ისრაელი; B ჯგუფი: რუსეთი, ლატვია, გერმანია, მეოთხე გუნდი ჯერ უცნობია; C ჯგუფი: ესპანეთი, სერბეთი, სლოვენია, დიდი ბრიტანეთი; D ჯგუფი: თურქეთი, ლიტვა, პოლონეთი, ბულგარეთი. ჯგუფებიდან სამ-სამი საუკეთესო გადის. ფინალი კატოვიცეში ჩატარდება.

9-13 სექტემბერი
**მხატვრული ტანვარჯიში**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*მიე (იაპონია)*

30 სექტემბერი-8 ოქტომბერი
**ფარიკაობა**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ანთალია (თურქეთი)*

### ოქტომბერი

1-10 ოქტომბერი
**სპორტული ტანვარჯიში**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ლონდონი (ინგლისი)*

10 ოქტომბერი
**ფეხბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტური*
ჩერნოგორია — საქართველო.



სოფო შაფათავა პირველი ქართველია ლეილა მესხის შემდეგ, ავსტრალიის ღია პირველობაზე რომ ითამაშებს

14 ოქტომბერი
**ფეხბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტური*
ბულგარეთი — საქართველო

27 ოქტომბერი-1 ნოემბერი
**ჩოგბურთი**
*WTA-ს ჩემპიონატი.*
*დოჰა (ყატარი)*

სეზონის შემაჯამებელ ტურნირში მსოფლიოს რეიტინგში რვა საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მონაწილეობს.

### ნოემბერი

7-8 ნოემბერი
**ჩოგბურთი**
*ფედერაციის თასის ფინალი.*
*ქალები*

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდებიან: რუსეთი — ჩინეთი, იტალია — საფრანგეთი, არგენტინა — აშშ, ჩეხეთი — ესპანეთი. ნახევარფინალები 25-26 აპრილს გაიმართება.

22-30 ნოემბერი
**ჩოგბურთი**
*მასტერს კაპი.*
*ლონდონი (ინგლისი)*

წლის შემაჯამებელ ტურნირზე მსოფლიოს რვა საუკეთესო კაცი ჩოგბურთელი შეიკრიბება. ბოლო ოთხი წელი მასტერს კაპს შანხაი მასპინძლობდა.

14 ნოემბერი
**ფეხბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პლეი ოფი.*
*პირველი მატჩები*

ევროპის ზონის რვა საუკეთესო მეორეადგილოსანი პლეი ოფში მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხ საგზურს გაითამაშებს.

18 ნოემბერი
**ფეხბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პლეი ოფი.*
*საპასუხო მატჩები*

28 ნოემბერი-13 დეკემბერი
**ხელბურთი**
*მსოფლიოს ჩემპიონატი.*
*ჩინეთი*

### დეკემბერი

4-6 დეკემბერი
**ჩოგბურთი**
*დევისის თასის ფინალი*

მერვედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: არგენტინა — ჰოლანდია, საფრანგეთი — ჩეხეთი, აშშ — შვეიცარია, ხორვატია — ჩილე, ისრაელი — შვედეთი, რუმინეთი — რუსეთი; ავსტრია — გერმანია, სერბეთი — ესპანეთი. მერვედფინალები 6-8 მარტს ჩატარდება. მეოთხედფინალი — 10-12 ივლისს, ნახევარფინალი — 18-20 სექტემბერს.



წლეულს თბილისი ძიუდოში ორ დიდ ტურნირს უმასპინძლებს



ოლიმპიური ჩემპიონ-პრიზიორები: ირაკლი ცირეკიძე, ოთარ თუშიშვილი, რევაზ მინდორაშვილი, [illegible] კვირკველია და გიორგი გოგშელიძე



სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი ირაკლი ცირეკიძე

# ირაკლი ცირეკიძე მესამედ ითქვა

**საქართველოს** ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის დარად წელი სპორტის დეპარტამენტმაც შეაჯამა და საუკეთესო სპორტსმენად ირაკლი ცირეკიძე დაასახელა.

დეპარტამენტთან ერთად საზეიმო ღონისძიებას ორგანიზება კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრომაც გაუწია. საღამოს კი რუსთაველის თეატრმა უმასპინძლა.

საკმაოდ მრავალფეროვან დაჯილდოების ცერემონიას მსახიობები ია სუხიტაშვილი და ლევან ხურცია უძღვებოდნენ. დარბაზში შეკრებილი ვეტერანი თუ მოქმედი სპორტსმენებსთვის და გულშემატკივრებისთვის რამდენიმე მომღერალმა იმღერა. ქართული ცეკვა და ხორუმი კი ანსამბლმა „რუსთავმა“ შემოგვთავაზა.

საუკეთესოები ოთხ ნომინაციაში დაასახელეს. ფედერაციებში ყველას ამჯობინეს ჭიდაობისა. მოჭიდავეთა პრეზიდენტ კახა გეწაძეს პრიზი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა გადასცა.

საუკეთესო მწვრთნელად თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცი ზაზა თურმანიძე დასახელდა, რომელიც დავით ნამგალაურმა დააჯილდოვა.

საუკეთესო გუნდის წოდება სავსებით სამართლიანად ერგო ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებს. მათ პრიზი გიორგი ასანიძისგან მიიღეს.

ბოლო ნომინაცია, წლის სპორტსმენის იყო და თუ ვის გადასცემდნენ ამ ჯილდოს ძნელი გამოსაცნობი ალბათ არავისვის ყოფილა, ირაკლი ცირეკიძე სპორტის დეპარტამენტის რჩეულიც გახდა. ამრიგად სეოკ-ის და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის შემდეგ ცირეკიძე სამგზის საუკეთესო გახდა.

**ნიკა ბოკაძე**

***ნუგზარ სუარიძის ფოტოები***



ზაზა თურმანიძე



ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები



არაბთა გაერთიანებული საამიროები. აბუ დაბი. 1-3 იანვარი. ჰარდი




# ფედერერის ახალი თავსატკივარი

## მიურეიმ პირველ-მეორე ერთმანეთს მაიყოლა

**მეოთხედფინალი. 1 იანვარი**

ენდი მიურეი (ბრიტანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:2 6:2
ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — ენდი როდიკი (აშშ) 6:4 6:4

**ნახევარფინალი. 2 იანვარი**

ენდი მიურეი (ბრიტანეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 4:6 6:2 7:6
რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:2 6:3

**ფინალი. 3 იანვარი**

ენდი მიურეი (ბრიტანეთი) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 6:4 5:7 6:3

**საჩოგბურთო** სეზონი ჯერ ხეირიანად არც დაწყებულა და როჯერ ფედერერის თავზე უკვე იქუფრება შავი ღრუბელი. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა წლეულს ბევრი რამ უნდა დაიბრუნოს, პირველ რიგში სწორედ პირველი ჩოგანის სტატუსი, რომელიც მოულოდნელმა რაფაელ ნადალმა ხუთწლიანი პყრობის შემდეგ ზაფხულში ააცალა. მაგრამ როგორ უნდა შეძლოს ეს „მხიარულმა როჯერმა", როცა ნადალთან კი არა 21 წლის ენდი მიურეისთანაც ვერ ფლობს კორტზე სიტუაციას? დაბერებაზე საუბარი ნაადრევია, შვეიცარიელი ჯერ მხოლოდ 27 წლისაა, მაგრამ აქ საქმე ალბათ უფრო ფსიქოლოგიურ გადაღლას ეხება.

ფედერერს არასდროს გამოსდიოდა მიურეისთან ისევე ლაღად თამაში, როგორც სხვებთან. გასულ სეზონში მასთან ზედიზედ სამჯერ წააგო და ბოლოს ამერიკის ღია პირველობის ფინალშიღა მოიოხა გული, მაგრამ აი, ისევ იჩინა თავი ძველმა სენმა. ექსპირველმა ჩოგანმა 2 იანვარსაც დაუთმო ექვსი წლით უმცროს შოტლანდიელს.

აბუ დაბიში შემდგარ კომერციულ ტურნირზე, რომელსაც ორგანიზატორებმა მყვირალა სახელი დაანათლეს — „კაპიტალა ვოლდ ტენის ჩემპიონშიპ". ეს ტურნირი არ შედის ეიტიპი-ს სერიაში და შესაბამისად მისი შედეგებიც არ მოქმედებს საკვალიფიკაციო ბარომეტრზე. მაგრამ რაკი შეიხები დიდძალ ფულს გამოღიან, თითქმის ყველა მიწვეული სუპერვარსკვლავი ახლ წელს არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქში შეხვდა და მხოლოდ მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა იუარა სპარსეთის ყურეში ჩასვლა.

არაბებმა ექვსი რჩეული ჩოგბურთელი შეკრიბეს და ტურნირი პირდაპირ მეოთხედფინალიდან დაიწყეს. პირველ და მეორე ნომრებს — ნადალსა და ფედერერს 1 იანვარს დასვენება ერგოთ და მათთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად მიურეი ჯეიმს ბლეიკს შეეტოქა, ნიკოლაი დავიდენკო კი ენდი როდიკს. არ ვიცი, ცუდი კარმის ბრალია თუ რა, მაგრამ ამერიკელებს მაინც და მაინც არ უმართლებთ ამ რეგიონში. ბლეიკმაც და როდიკმაც წააგეს და პლაჟებზე სასეირნოდ გასწიეს.

2 იანვარს ნახევარფინალში მიურეისთან შეხვედრა ნერვების ნამდვილი გამოცდა იყო ფედერერისთვის და მან ეს გამოცდა აგერ მერამდენედ ჩააფლავა. მატჩის დასაწყისი მისთვის ცუდს არას მოასწავლებდა — ფედერერმა თამაში მოგებული მოწოდებით გახსნა, შემდეგ მეტოქესაც აართვა გეიმი, ამას ისევ თავის მოწოდების მოგება მიაყოლა და 3:0 დაწინაურებულმა რომ დაიმშვიდა თავი, აი იქ უყელა სქოთის ჩოგანმა. მიურეიმ 3:3 გაუთანაბრა და მართალია, ის სეტი მაინც შვეიცარიელმა მოიგო, მეორეში აშკარად გამოჩნდა, რომ ფედერერი ვერ იყო ამ მატჩის ჩარხის შემობრუნებელი. მიურეიმ მას ზედიზე ორჯერ აართვა მოწოდება და 4:0 გაიჭრა. საბოლოოდ სეტი 6:2 ჩამთავრდა და ანგარიში გაყაიმდა.

მესამეშიც მიურეის თამაში მიდიოდა. სქოთი ჯეელი 4:1 დაწინაურდა. მერეღა შეძლო ფედერერმა კონცენტრირება, საპასუხო ბრეიკით თავი გადაირჩინა და 6:6 გაათანაბრა, მაგრამ ტაიბრეიკში მაინც დახარა ჩოგანი.

„ეს სეზონის დასაწყისია და ჩვენი შეხვედრა ჯერ ბევრს არაფერს ნიშნავს. მაგრამ მაინც ყოველთვის სასიამოვნოა როჯერის ძლევა — კმაყოფილობდა მიურეი ნამატჩევს — შარშან რამდენჯერმე ვაჯობე, მაგრამ ნიუ იორკში სრულად დამიბრუნა ხურდა. მაგ იმედით ვხვდები ახალ სეზონს, რომ დიდი სლემის ტურნირზე გადავაწყდები და იქაც დავამარცხებ."

მიურეი აშკარად მძლავრ ფორმაშია და ეს 3 იანვარს რაფაელ ნადალთან ფინალშიც გამოჩნდა. მანამდე რაფამ ნახევარფინალში შანსი არ დაუტოვა დავიდენკოს, ალბათ ფინალშიც გამარჯვებას გეგმავდა და შეიხების გამოსული საპრიზოს მსუყე ნაწილს წინასწარ სვამდა თავის ანგარიშზე, მაგრამ ვერ მიერთვა. მიურეი დაღლილი კი იყო, მაგრამ კიდევ ერთ სამსეტიან ჩოგნობას გაუძლო და ორი წლით უფროსი ფავორიტი დაამარცხა. არადა, შეხლა ძალზე დაძაბული გამოვიდა. პირველი და მეოთხე ჩოგნები ერთმანეთს თითქმის სამი საათი ტანჯავდნენ.

მიურეი ფედერერსა და ნადალს კიდევ არაერთხელ გადაეყრება ეიტიპი-ს ტურნირებზე, თანაც სულ მალე. იქვე, სპარსეთის ყურეში, ყატარულ დოჰაში გუშინ საშუალო ტურნირი დაიწყო და ყველა იქაა ჩასული.

**ვანო კობიაშვილი**

# კორტსმიღმა მაფია დგას


მაიკლ ფრანცეზე

**„ჩოგბურთს** სერიოზული საფრთხე ემუქრება მაფიისგან" — აცხადებს ვინმე მაიკლ ფრანცეზე. ეს კაცი „წინა ცხოვრებაში" მაფიოზი ყოფილა, კოლომბოს ოჯახის თავი იყო და 10 წელი მოიხადა ციხეში, შემდეგ კი ჭკუას მოუხმო და წესიერი ცხოვრება დაიწყო.

ამ ცხოვრებაში მან ასეთი ადგილი იპოვა — გახდა ექსპერტი კორუფციის და მაფიის საკითხებში. თანაც ის კონსულტირებას უწევს სპორტსმენებს სპორტულ რეკეტთან დაკავშირებით, უხსნის მაფიის მეთოდებს და ყველა ამ სიკეთესთან ერთად პრესაშიც არ ერიდება მჭახე განცხადებებს.

„დამიჯერეთ, ჩოგბურთში არანაკლებ ხშირია თამაშის ჩაწყობა და შედეგის „გაკეთება", ვიდრე სხვა სახეობებში — ავტორიტეტულად აცხადებს ფრანცეზე — მე რომ ისევ „საქმეში" ვყოფილიყავი, პირველ რიგში სამიზნედ ჩოგბურთს მოვინიშნავდი. ამ სპორტში ხომ ყველაზე იოლია შედეგზე ზემოქმედება. საკმარისია მხოლოდ ერთი კაცის „დამუშავება". არალეგალურ საბუქმეკერო კანტორებს ან თუნდაც კონკრეტულ კრიმინალებს შეუძლიათ, დიდი ზეგავლენა მოახდინონ მოთამაშეებზე და რომელიმე „საჭირო" მატჩის წაგება აიძულონ. ჩოგბურთელები ასეთი იძულებებისგან ჩვენს დროშიც არ არიან დაზღვეულები."

ფრანცეზემ მაგალითად მოიყვანა რუსი ნიკოლაი დავიდენკო, რომელსაც 2007 წელს თამაშის შეგნებულ წაგებაში ედებოდა ბრალი. მაშინ მან პოლონურ სოპოტში, ეიტიპი-ს ეგიდით ჩატარებულ საშუალო ტურნირში ტრავმა მოიმიზეზა და ნაადრევად დაასრულა მატჩი ნაკლებად ცნობილ არგენტინელ მარტინ ვასალო-არგუელოსთან. საბუქმეკერო კანტორამ „ბეთფაირმა" გააუქმა ამ თამაშზე ფსონები, რადგან დაწყებამდე მცირე ხნით ადრე უცნობი კლიენტი დიდძალ ფულს ჩავიდა დავიდენკოს წაგებაზე. შემთხვევას იკვლევდა ეიტიპი, თუმც დავიდენკოს ბრალეულობა არ დამტკიცდა და რუსი გაამართლეს.

ფრანცეზე კი გვარწმუნებს — ეს შემთხვევა მოთამაშეთა დამუშავების კლასიკური მაგალითია, ძალიან ძნელია კვალის მიგნება, თუ თამაშის ჩამგდები ჩოგბურთელი თავად არ აღიარებს მასზე რეკეტს და ამიტომ უნდა გაფრთხილდნენ სპორტსმენებიო.

„არაერთი ჩოგბურთელი შემხვედრია და შემოუჩივლია, რომ ამგვარ პრობლემას აწყდება. არავის სიამოვნებს შეგნებულად წაგება, მაგრამ მათ იძულებულს ხდიან. ამასთან, ისინი თავს იკავებენ რეკეტირების კონკრეტული შემთხვევების დასახელებისგან. მიმუშავია ნბა-სთან, ბეისბოლის ლიგასთან, [illegible]ერ სპორტში... გაცილებით ბევრგან აწყდებიან ამ სენს, ვიდრე ჩვეულებრივი, გაუცნობიერებელი მოქალაქე წარმოიდგენს — განაგრძობს ყოფილი მაფიოზი — მეფსონეობა სერიოზული, ძალიან კარგად შეფუთული ბიზნესია და ძალზე ძნელია მასთან ბრძოლა. შეიძლება თითქმის მთლიანად აღკვეთო მაგალითად ძაღლების უკანონო ჩხუბი. თუ მოინდომებ, სპორტიდან დოპინგის გაქრობაც შესაძლებელია, მაგრამ კაცობრიობა ბოლომდე ვერასდროს ამოძირკვავს თამაშების ჩაწყობას."

**ირაკლი ფირაშვილი**





რობი მაკიუენი რუსებს მიეკედლა

# რუსები კატიუშას უშვებენ

**ველოსპორტში** ახალი, ფინანსურად წელმაგარი გუნდი შეიქმნა, რომელიც დიდ გზაზე 2009 წელს გამოვა და მონაწილეობას მიიღებს ყველა დიდ საგზატკეცილო ველოტურში. გუნდი რუსებისაა და მას „კატიუშა" ჰქვია. დეკემბრის ბოლოს მოსკოვში „წითელ მოედანზე" პრეზენტაციაც მოუწყვეს, ხოლო იანვარში ესპანურ კალპეში გეგმავენ საწვრთნელ შეკრებას.

„კატიუშას" წლიური ბიუჯეტი 15 მილიონ დოლარს შეადგენს. რუსეთში შეიქმნა ველოსპორტის განვითარების პროგრამა და ამ საქმისთვის 30 მილიონი გამოიყო, რომლის ზუსტად ნახევარი ახალი გუნდის ბიუჯეტში ჩაირიცხა. როგორც ჩანს, რუსები შეაგულიანა ყაზახთა მაგალითმა, რომელებიც თავიანთი „ასტანათი" მსოფლიო გზებზე გაბატონდნენ და პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი რბოლა მოიგეს.

თუმცა რუსები ჯერ ბატონობას ვერ დაგეგმავენ. 15 მილიონი დიდი ფულია, მაგრამ არა საკმარისი. თუმც მათ უკვე გადაიბირეს რამდენიმე სახელოვანი მრბოლი და ვთქვათ, ტურ დე ფრანსზე გარკვეული ეტაპების მოსაგებად იბრძოლებენ.

„კატიუშაში" სულ ახლახან ჩაირიცხა ვეტერანი ავსტრალიელი სპრინტერი რობი მაკიუენი, რომელსაც ტურზე ათეულობით სპრინტერული ეტაპი აქვს მოგებული და სამჯერ საუკეთესო სპრინტერიც შეიქნა. თუმც მაკიუენი წლევანდელ ტურს 37 წლისა შეხვდება და ფინიშზე სხვათა ჩამოტოვება უფრო გაუჭირდება, ვიდრე თავის საუკეთესო წლებში. მაკიუენს კომპანიონობას გაუწევენ რუსი ინდივიდუალისტი ვლადიმირ კარპეცი, იტალიელები — ფილიპე პოცატო, დანილო ნაპოლიტანო და ბელგიელი გერტ სტეეგმანსი.

**ვანო კობიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2008 წლის 10 ამბავი ქართულ




## ოლიმპიური ჩემპიონები

რა იყო 2008 წლის მთავარი სპორტული მოვლენა, საფიქრალი და საკამათო არ უნდა იყოს. სამმა ქართველმა სპორტსმენმა ოლიმპიური ოქრო მოიგო, რაც არნახული შედეგია დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში.

ისიც ბუნებრივია, რომ სწორედ ოლიმპიური ჩემპიონები: ირაკლი ცირეკიძე, მანუჩარ კვირკველია და რევაზ მინდორაშვილი დასახელდნენ წლის საუკეთესო სპორტსმენებად ყველა გამოკითხვაში.

როგორც წლის მოვლენას, ჩვენ სამი ოლიმპიური ჩემპიონის ყოლას ვასახელებთ და ამ სამიდან რომელიმეს არ გამოვარჩევთ.

## ჰექტორ რაულ კუპერი მწვრთნელად

ვფიქრობთ, არც ეს უნდა იყოს საკამათო — ფეხბურთს განსაკუთრებული ხიბლი აქვს და, ალბათ, არც ერთი სამწვრთნელო თემა არ იწვევს ისეთ ინტერესს, როგორსაც ეს: ვინ დაინიშნება საფეხბურთო ნაკრების თავკაცად.

2008 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მეთხუთმეტედ მოუხდა ეროვნული ნაკრებისთვის ახალი მწვრთნელის დანიშვნა, რასაც ტრადიციულად უძღოდა ბჭობა: ვინ?

ისიც ვთქვათ, რომ ეს ამბავი არნახულად გაიჭიმა, ათასი ვინმე დასახელდა, მათ შორის, ფავორიტებად ბრანკო ივანკოვიჩი და ფოლკერ ფინკე ითვლებოდნენ, ბოლოს კი ჰექტორ რაულ კუპერი ითქვა.

სხვათა შორის, „სარბიელმა“ ფედერაციის ოფიციალურ განცხადებამდე აცნობა მკითხველს, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს სწორედ ამ არგენტინელს ჩააბარებდნენ.





## ლელოების ერთა თასი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მეორედ მოიგო ევროპის ერთა თასი, გადამწყვეტ შეხვედრაში თბილისში დაამარცხა ესპანეთის ნაკრები. თუმცა 2008 წლის სარაგბო ამბების გახსენებისას ესპანეთთან ნახსენებ მატჩზე მეტად სხვა მატჩი გვახსენდება და მომავალშიც გაგვახსენდება: ეს იყო კრასნოიარსკული ბრძოლა რუსეთთან. შუაგულ ციმბირში, თოვლსა და ყინვაში „ლელოებმა“ „დათვები“ დასცეს და არც გაწევ-გამოწევაში დაიჯაბნენ.

## ოლიმპიური იმედგაცრუებანი



სამი ოქრო ოლიმპიურ თამაშებზე — ეს უკვე ვთქვით, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ მეტიც შეგვეძლო. ეს ის შემთხვევა არ არის, მადა ჭამაში რომ მოდის. მართლა შეგვეძლო.

ამ იმედგაცრუებათაგან კი, ჩვენი აზრით, გიორგი გოგშელიძის მესამეობა იყო. არ დაგავიწყდებოდათ, რაც დამართა ნახევარფინალში მეტოქემ გიორგის თვალზე და როგორ უმტყუნა „გოგშელას“ ნერვებმა... ან ზაზა კედელაშვილის ამბავი: რომ ეგონა, თბილისში უნდა დაბრუნებულიყო, დარბაზში უხმეს... ან რამაზ ნოზაძე, რომლისგანაც ასევე ველოდით მედალს.

## 12 წლის შემდეგ

იყო დრო, ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტულისთვის არათუ ერთი ქვეყნის და ერთი ქალაქის, ერთ უბანში მცხოვრები ქალები იბრძოდნენ. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და საჭადრაკო გვირგვინი სხვებმა წაიღეს და დაიდგეს, ეგ კი არა, საჭადრაკო ოლიმპიადის მოგებაც სანატრელი გვქონდა.

ბოლო გამარჯვებიდან 12 წლის თავზე კი ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა ისევ იმარჯვეს! ეს არ ყოფილა იოლი გამარჯვება. საქმე კოეფიციენტების დათვლაზე მიდგა და ჩვენმა ქალებმა სასტუმროშიდა შეიტყვეს, რომ ჩემპიონები იყვნენ.

ჩამოვთვალოთ: მაია ჩიბურდანიძე, მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფო ხუხაშვილი და მათი კაპიტანი ნინო გურიელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტში (სარბიელის ვერსია)



## ახალი პრეზიდენტი

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ახალი პრეზიდენტი ჰყავს: გია ნაცვლიშვილი.

საერთოდ, საქართველოში სპორტული ფედერაციების არჩევნები მოსაწყენი ღონისძიებებია, რაკი პრეზიდენტის სავარძლისთვის ერთზე მეტი პრეტენდენტი იშვიათად გამოჩნდება-ხოლმე.

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნები უალტერნატივო არ ყოფილა, თუმცა მისი შედეგი სავსებით პროგნოზირებადი გახლდათ. გია ნაცვლიშვილმა სოლიდური წინასაარჩევნო კამპანია ჩაატარა. სხვა კანდიდატებმა კი პასიურობა გამოიჩინეს.

გია ნაცვლიშვილი პრეზიდენტად ხმათა 77 პროცენტით აირჩიეს, თავად კი თქვა, თუ დაპირებებს 100 პროცენტით არ შევასრულებ, პასუხი მომთხოვეთო.

დაპირება კი ნაცვლიშვილმა მსუყე მოგვცა. მოკლედ რომ ვთქვათ, ლონდონის ოლიმპიადაზე გაცილებით უკეთესი შედეგის ჩვენებას გვპირდება, ვიდრე საქართველოს პეკინის ოლიმპიადაზე ჰქონდა.

პირველი დაპირება ახალმა პრეზიდენტმა უკვე შეასრულა: სპორტის დასახმარებლად ბიზნესმენებისგან ერთი მილიონი დოლარი შეაგროვა.

## უმაღლესი ლიგა უამეროდ

საქართველოს თასის ბოლო სამი ფინალის მონაწილე და ორგზის გამარჯვებული უმაღლესი ლიგიდან დაქვეითდა. ამასთანავე „ამერი" ის გუნდია, რომელიც უეფას თასზე ტოლ-სწორად ეთამაშა ევროპულ კლუბებს.

„ამერის" დაქვეითება კი წლის უმთავრეს მოვლენათა შორის ორი მიზეზის გამო შევიტანეთ: ერთი, რომ ეს იძულებითი გადაწყვეტილება იყო და მეორეც ის, რომ „ამერის" პრობლემების განზოგადება შეიძლება.

ფინანსური და საკადრო პრობლემები, რამაც კლუბის ხელმძღვანელობა აიძულა, ნებაყოფლობით დაქვეითებულიყო პირველ ლიგაში, ქართული საკლუბო ფეხბურთის მუდმივი პრობლემაა და პრაქტიკულად ყოველწლიურად აწყდება, სულ მცირე, ერთი ქართული კლუბი. ბოლო წლებში ათამდე კლუბი დაიშალა ან უმაღლეს ლიგაში გამოსვლა ველარ შეძლო. „ამერი" კი, რომელიც გამორჩეული გახლდათ მყარი ფინანსური მდგომარეობით და ინფრასტრუქტურით, მკაფიო მაგალითია საიმისოდ, რომ საკლუბო ფეხბურთი ჩვენში ღრმა კრიზისს განიცდის.





## სად დაიკარგა ხელბურთი?

ყველაფერი კარგად დაიწყო: საქართველოს ხელბურთის ნაკრებმა „ჩელენჯ ტროფი" მოიგო — ნაკლებ პრესტიჟული, მაგრამ მაინც ევროპული სანაკრებო შეჯიბრი. მერე კი ყველაფერი ისე გაგრძელდა, მტერს არ უსურვებ...

ხელბურთის ფედერაციამ 2008 წელს სამი პრეზიდენტი გამოიცვალა, ნაკრები შესარჩევი ციკლიდან ნებაყოფლობით მოკვეთა, ეროვნული ჩემპიონატი ჩაიშალა, რაკი გუნდებმა 1000-1000 ლარიც ვერ შეაგროვეს, სამონაწილეო თანხა რომ შეეტანათ.

მოკლედ, პროფესიული ხელბურთი საქართველოში აღარ არსებობს და თუ ვინმეს საპირისპირო აზრი აქვს, ვიკამათოთ...

## მარადონა თბილისში



დიეგო მარადონას და მისი მეგობრების სტუმრობა თბილისში, ბრწყინვალე ნიმუშია იმის საჩვენებლად, თუ როგორ არ უნდა ჩამოიყვანო მარადონა...

სანამ მარადონას თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში არ დაჯდა და დიეგომ სასაზღვრო კონტროლი არ გაიარა, მგონი, თავად ორგანიზატორებსაც არ სჯეროდათ, რომ ჩამოვიდოდა. არ ვიცით, ამას რა დავარქვათ... ვერც იმას მოვუძებნით სახელს, რომ სტადიონზე არ იყო სარეკლამო ბანერები; რომ ბილეთებს უსაშველოდ დიდი ფასი ედო; რომ დიეგოს სათამაშოდ გამოსვლა 45 წუთით დაგვიანდა, რაკი ფული დაუგვიანეს, ხალხს კი გამოუცხადეს, ფეხბურთელები საცობში მოჰყვნენო...

მოკლედ, მარადონას თბილისში ჩამოსვლა მოვლენა იყო. გარკვეული თვალსაზრისით — ანტიმოვლენაც.

## მასალები პროკურატურაშია




გაზაფხულზე ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ შეურიგებელ ბრძოლას იწყებდა საქართველოს ჩემპიონატში გარიგებული თამაშების წინააღმდეგ. სპორტულ პრესაში რამდენჯერმე დაიწერა, რომ ამა თუ იმ მატჩს საეჭვო სუნი ასდიოდა. „სარბიელმა" საერთოდაც წერილების ციკლი მიუძღვნა ეროვნულ ჩემპიონატში გარიგებული თამაშების თემას.

აჟიოტაჟს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა მოჰყვა, რომელზეც გადაწყდა, ფედერაციას გენერალური პროკურატურისთვის მიემართა, რომელიც საეჭვო მატჩების ნუსხას გადახედავდა, გამოძიებას ჩაატარებდა და პასუხს იტყოდა.

შემდეგ კი მოხდა ის, რაც ხშირად ხდება ხოლმე: ზარ-ზეიმით გამოცხადებული ბრძოლის დაწყება ისე უხმაუროდ და უშედეგოდ დასრულდა, თითქოს პრობლემა არც არსებულიყო.

არადა, საქმე ბოლომდე რომ მისულიყო, ეს ამბავი ჩვენს ათეულში გაცილებით მაღალ ადგილს დაიკავებდა.

# HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**5 იანვარი**

1941 ინდოელი მოკრიკეტე მანსურ ალი ხანი
1954 ამერიკელი კალათბურთელი ალექს ინგლიში
1960 შვედი ფეხბურთელი გლენ შტრომბერგი
1965 უელსელი ფეხბურთელი ვინი ჯონსი
1968 პოლონელი მოკრივე ენდრიუ გოლოტა
1976 ესპანელი ფეხბურთელი დიეგო ტრისტანი
1982 ხორვატი მოთხილამურე იანიცა კოსტელიჩი

**6 იანვარი**

1926 კუბელი მოკრივე ხერარდო გავილანი
1939 ავსტრალიელი მოცურავე მიურეი როუზი
1943 ინგლისელი ფეხბურთის მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი
1959 ინდოელი მოკრიკეტე კაპილ დევი
1964 გერმანელი მოკრივე ჰენრი მასკე
1976 ხლოვაკი ჰოკეისტი რიჩარდ ზედნიკი
1980 ბელგიელი ფეხბურთელი სტიდ მალბრანკი
1982 ამერიკელი კალათბურთელი ჯილბერტ არენასი
1986 ირლანდიელი ფეხბურთელი პოლ მაკშეინი

**7 იანვარი**

1942 რუსი ძალოსანი ვასილი ალექსეევი
1957 პუერტორიკოელი მოკრივე ხულიან სოლისი
1985 ბრიტანელი ავტომრბოლელი ლუის ჰემილტონი
1990 ქართველი ფიგურული მოციგურავე ელენე გედევანიშვილი

**8 იანვარი**

1934 ფრანგიველომრბოლელი ჟაკ ანკეტილი
1961 ამერიკელი სპრინტერი კელვინ სმიტი
1971 შვეიცარიელი ფეხბურთელი პასკალ ციუბერბიულერი
1978 ჰონკონგელი სნუკერისტი მარკო ფუ
1979 სამხრეთკორეელი ფეხბურთელი სეოლ კი-ჰეონი
1979 რუმინელი ფეხბურთელი ადრიან მუტუ
1979 ხორვატი ფეხბურთელი სტიპე პლეტიკოსა
1982 ნიგერიელი ფეხბურთელი ჯონ უტაკა
1986 ესპანელი ფეხბურთელი დავიდ სილვა

**9 იანვარი**

1951 ამერიკელი კალათბურთელი ეჰელ კარი
1965 ამერიკელი კალათბურთელი მაქსი ბოგსი
1967 არგენტინელი ფეხბურთელი კლაუდიო კანიჯა
1978 იტალიელი ფეხბურთელი ჯენარო გატუზო
1981 პოლონელი ფეხბურთელი ეუზებიუშ სმოლარეკი
1987 ბრაზილიელი ფეხბურთელი ლუკაშ ლეივა
1989 ჰოლანდიელი ჩოგბურთელი მიხაელა კრაიჩეკი
1989 ამერიკელი კალათბურთელი მაიკლ ბისლი

**10 იანვარი**

1921 ამერიკელი ავტომრბოლელი როჯერ უორდი
1948 ფრანგი ველომრბოლელი ბერნარ ტევენე
1949 ამერიკელი მოკრივე ჯორჯ ფორმენი
1953 ამერიკელი ავტომრბოლელი ბობი რეჰალი
1972 ნორვეგიელი მოთხილამურე ტომას ალსგაარდი
1973 ამერიკელი კალათბურთელი გლენ რობინსონი
1974 ფრანგი ფეხბურთელი სტივ მარლე

**11 იანვარი**

1941 ბრაზილიელი ფეხბურთელი ჟერსონი
1957 ინგლისელი ფეხბურთელი ბრაიან რობსონი
1963 ამერიკელი მოცურავე ტრეისი კოლკინსი
1974 გერმანელი ფეხბურთელი იენს ნოვოტნი
1976 ბერძენი კალათბურთელი ეფტიმოს რენციასი
1978 ინგლისელი ფეხბურთელი ემილ ჰესკი
1983 გერმანელი ავტომრბოლელი ადრიან სუტილი
1985 იაპონელი ავტომრბოლელი კაზუკი ნაკაჯიმა



1965 წლის 9 იანვარს დაიბადა ამერიკელი კალათბურთელი ტაირონ „მაგსი" ბოგსი, ნბა-ს ისტორიაში ყველაზე დაბალი მოთამაშე (161 სანტიმეტრი)



# ბერნი ეკლსტოუნი: კრიზისი ვერას დაგვაკლებს

**მსოფლიოში** ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, ბევრი საწარმო და კორპორაცია გაკოტრების პირასაა, სხვები შტატების შემცირებით ცდილობენ გადარჩენას. ფორმულა 1-ის მმართველი და ფაქტობრივი მეპატრონე ბერნი ეკლსტოუნი კი მშვიდადაა და დარწმუნებულია, რომ მის იმპერიას ეს გლობალური პრობლემა ნაკლებად შეეხება.

ფორმულამ უკვე დაკარგა 11-დან ერთი საჯინიბო. „ჰონდა" დაიხურა და მისი პატრონების მცდელობის მიუხედავად, ალბათ არც ახლო მომავალში გაიხსნება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ცდილობს თავის გადარჩენას და სავარაუდო სპონსორებთან მოლაპარაკებაში ეკლსტოუნიც აქტიურად ეხმარება.

„ყველასთვის ნათელია, რომ ეკონომიკური კრიზისი ყველას შეეხო და მათ შორის ავტოინდუსტრიასაც, მაგრამ „ჰონდას" შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, ჩვენს ბიზნესს სერიოზულ ზიანს ვერ მიაყენებს. ჩვენი სპორტი კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ სპორტულ შეკრებად და არა მგონია, ხალხმა იკლოს ჩვენს შეჯიბრზე. 17 რბოლაზე თითქმის ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. ამასთან ჩვენ ამ კრიზისისას გავაფორმეთ ხელშეკრულება ორ მსხვილ სპონსორთან — „ელჯი"-სა და „დიეიჩელ"-თან. ჩვენ არ დავიკარგებით" — აი, ასეთი ოპტიმისტური განცხადება გააკეთა 78 წლის ბრიტანელმა მილიარდერმა სერბეთში ვიზიტისას.

ცხადია, თავად იცის თავისი საქმე, მაგრამ გარედან მაინც ისე ჩანს, რომ სამეფო ფორმულა პოზიციებს თმობს. „ჰონდას" თამაშიდან გასვლის გარდა დანაკლისია რბოლათა ოდენობაშიც. 2008 წელს დიდმა ცირკმა 18 რბოლა გამართა, 2009 წლის კალენდარში კი მხოლოდ 17 ჩაჯდა. წლეულს არ გათამაშდება ორი უძველესი დიდი პრიზი — საფრანგეთისა და კანადის. არადა, საფრანგეთი 1955 წლიდან არ დარჩენილა თამაშგარეში, კანადა კი 33 წელიწადში მხოლოდ ერთხელ, 1987 წელს ამოვარდა კალენდრიდან.

მაგრამ ეკლსტოუნი „მანი კურისა" და „ჟილ ვილნევის" ამოვარდნას ადგილობრივ პრობლემებს მიაწერს და არა გლობალურ სიდუხჭირეს. შარშან ფრანგებს იმედი მისცა, თქვენი პრობლემა მოკლევადიანია, მთავარია, ტრიბუნებზე ხალხი მოიზიდოთ და თქვენი ადგილი სხვათა გვერდით ყოველთვის გამოვნახავო.

სამაგიეროდ, კალენდარში ჩაჯდა აბუ დაბის დიდი პრიზი, რომელიც ახლადაგებულ სუპერტრასაზე 1 ნოემბერს პირველად გაიმართება და სეზონის დამაგვირგვინებელი რბოლა იქნება. არაბთა გაერთიანებული საემიროების დარად, ნავთობზე მცურავი ბაჰრეინი 2004 წლიდან მასპინძლობს ეკლსტოუნის ამქარს, ახლა კი ბერნიმ სპარსეთის ყურის რუკაზე მეორე დროშა დაასო.

**ვანო ქობიაშვილი**

## ფორმულა 1-ის 2009 წლის ჩემპიონატის კალენდარი

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიის დიდი პრიზი | მელბურნი | 29 მარტი |
| 2 მალაიზიის დიდი პრიზი | კუალა ლუმპური | 5 აპრილი |
| 3 ჩინეთის დიდი პრიზი | შანხაი | 19 აპრილი |
| 4 ბაჰრეინის დიდი პრიზი | მანამა | 26 აპრილი |
| 5 ესპანეთის დიდი პრიზი | ბარსელონა | 10 მაისი |
| 6 მონაკოს დიდი პრიზი | მონტე კარლო | 24 მაისი |
| 7 თურქეთის დიდი პრიზი | სტამბოლი | 7 ივნისი |
| 8 ბრიტანეთის დიდი პრიზი | სილვერსტოუნი | 21 ივნისი |
| 9 გერმანიის დიდი პრიზი | ნიურბურგი | 12 ივლისი |
| 10 უნგრეთის დიდი პრიზი | ბუდაპეშტი | 26 ივლისი |
| 11 ევროპის დიდი პრიზი | ვალენსია | 23 აგვისტო |
| 12 ბელგიის დიდი პრიზი | სპა | 30 აგვისტო |
| 13 იტალიის დიდი პრიზი | მონცა | 13 სექტემბერი |
| 14 სინგაპურის დიდი პრიზი | სინგაპური | 27 სექტემბერი |
| 15 იაპონიის დიდი პრიზი | სუძუკა | 4 ოქტომბერი |
| 16 ბრაზილიის დიდი პრიზი | სან პაულუ | 18 ოქტომბერი |
| 17 აბუ დაბის დიდი პრიზი | აბუ დაბი | 1 ნოემბერი |



# ალონსოც გაწითლდება

**„ლა გაძეტა დელო სპორტი"** იტყობინება, რომ 2011 წლიდან ფერნანდო ალონსო „ფერარიში" გადაბარგდება. იტალიელები და ესპანელი ერთმანეთს კარგა ხანს ეკურკურებოდნენ, რამდენიმე დღის წინ კი ოთხწლიანი წინასწარი კონტრაქტი გააფორმეს. ალონსო შესაძლოა 2010 წელსაც აღმოჩენილიყო „სკუდერიაში", თუკი 2007 წლის ჩემპიონი კიმი რაიკონენი მორიგ სეზონს ჩააფლავებდა, მაგრამ როგორც ირკვევა, რაიკონენიც და გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონი ფელიპე მასაც კიდევ ორი წლით რჩებიან „ფერარიში" და ალონსოს მსურველ იტალიელებს მათი კონტრაქტების ამოწურვამდე მოუწევთ მოცდა.

თავის მხრივ ალონსოც 2010 წლის ჩათვლით რჩება „რენოში", რომლითაც 2005 და 2006 წლებში ორჯერ იჩემპიონა, მაგრამ 2008 წელს მხოლოდ ორი დიდი პრიზი მოიგო და მეხუთე ადგილს დასჯერდა. შუალედში კი, ანუ 2007-ში მაკლარენში „შევლაც" მოასწრო.

# უილიამსი ულვაშა ძიას დარჩა

**ევროსპორტის** ვებგვერდის გამოკითხვით ბრიტანულ საჯინიბო „უილიამსის" ყველა დროის უპოპულარულესი მრბოლი გახდა ბრიტანელივე ნაიჯელ მენსელი. 41-მა პროცენტმა ულვაშა ბრიტს მისცა ხმა.

მოულოდნელი მეორე ადგილი ერგო ფრანგ ალან პროსტს — მან ხომ მხოლოდ ერთი სეზონი შესწირა „უილიამსს" და მთელი კარიერა მის მოსისხლე „მაკლარენსა" და „ფერარიში" გაატარა. მაგრამ როგორც ჩანს, ევროსპორტის ვებგვერდის ბრიტანელ მომხმარებელს ისე ტკბილად ახსოვს 1993 წელს „უილიამსით" პროსტის საჩემპიონო განავარდება, რომ მას 24 პროცენტი შეახვედრეს.

რაც შეეხება მენსელს, ის უდავოდ ყველაზე პოპულარული იყო სამშობლოში, და ვინც მოესწრო 1992 წელს მისა და აირტონ სენას დუელს, მას ნაღდად გაუჭირდებოდა თავისი ხმის დეიმონ ჰილისთვის, ან ჟაკ ვილნევისთვის მიცემა, მიუხედავად იმისა, რომ ესენიც თითოჯერ გახდნენ „უილიამსით" ჩემპიონები.

| | |
|---|---|
| ნაიჯელ მენსელი | 41 % |
| ალან პროსტი | 24 % |
| დეიმონ ჰილი | 12 % |
| ნელსონ პიკე | 9 % |
| ჟაკ ვილნევი | 8 % |
| კეკე როსბერგი | 4 % |
| ალან ჯონსი | 3 % |





ხელბურთი

ვლადიმერ რუსიას რუმინულმა „დინამომ“ შარშან უცუდესი სეზონი ჩაატარა. ჩემპიონატში მეცხრე ადგილი დაიკავა, რაც გუნდის ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგი იყო. მაშინ რუსიამ გვითხრა, კარგი შემადგენლობა გვყავს, მაგრამ ბევრი ახალი მოთამაშე მოვიდა, შეთამაშება გვაკლია და ამიტომ ვერ ვიგებთ მატჩებსო. როგორც ჩანს, გუნდი ნელ-ნელა დალაგდა, ყოველ შემთხვევაში, შარშანდელთან შედარებით უკეთ თამაშობს და მატჩებსაც უფრო იოლად იგებს.

რუსია პირველი წრის დამთავრების შემდეგ საახალწლო არდადეგებზე თბილისში ჩამოვიდა და ჩვენც მაშინ ვესაუბრეთ...



# რუსიას ხელფასი მსოფლიოს დაბრალდა

## ფული იყოს, გუნდის გამოცვლას რა უნდა

— წელი მაწუხებდა, მაგრამ ექიმებმა მითხრეს, რომ საშიში არაფერი იყო. ქრონიკული ტრავმაა. ვიმკურნალე, თერაპია გავიარე და გამოვკეთდი. 10 დღე დამასვენეს და სწორედ მაშინ დაემთხვა ნაკრების თამაშები პოლონეთში. სამწუხაროდ, ვერ წავედი.

ბოლო ტურებში წელი ისევ ამტკივდა, თუმცა მაინც ვითამაშე. პრინციპული მატჩები გვქონდა და ვერ გავაცდენდი.

**— წელს მიზანი რა გაქვთ, ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ?**

— ...ლა მეოთხე ადგილზე ვართ. შოთა თევზაძის „ბაკაუს“ და „კონსტანტას“ ოთხი ქულით, „რეშიცას“ კი სამით ჩამოვრჩებით. სწორედ მათთან წავაგეთ ბოლო ტურში სტუმრად 26:34. მე 6 გოლი გავიტანე. ამ წაგებამ დაგვხია უკან, თორემ მეტოქეებს უფრო ახლოს მივდევდით. თუმცა დაკარგული არაფერია და ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვიძლია.

**— როგორც ჩანს, შარშანდელთან შედარებით ბევრად უკეთესი გუნდი გყავთ?**

— კი, ასეა, თუმცა მოთამაშეთა ბირთვი იგივეა, უბრალოდ, შევთამაშდით. წინა სეზონში 9 ახალი მოთამაშე მოგვიყვანეს და აბა, როგორ ვ...ამაშებდით კარგად? ახლა დავლაგდით და შედეგიც გამოჩნდა.

რომ არა ფინანსური პრობლემები, უკეთაც შეგვიძლია, მაგრამ პირველობისთვის მაინც ვიბრძოლებთ. თან ისიცაა, რომ კონკურენტებს სახლში ვიღებთ, კარგი კალენდარი გვაქვს. ეს მცირე უპირატესობა არ არის.

**— ფინანსური პრობლემები ახსენე. ხელფასებს ვერ იღებთ?**

— მე ორი თვის ხელფასი არ ამიღია. ზოგს უფრო დიდი ხნის. ხელმძღვანელობა ამ ყველაფერს მსოფლიოში შექმნილ ეკონომიურ კრიზისს აბრალებს. ვერ გეტყვით, რეალურად მართლა ეს არის მიზეზი თუ სხვა რამ. ფაქტი ისაა, რომ გუნდი ზარალდება. ბიჭებს ხელფასი რომ ვერ აუღიათ და ისე თამაშობენ, ბუნებრივია, გავლენას ახდენს თამაშის ხარისხზე.

**— ეს პრობლემა შენ გუნდშია თუ სხვაგანაც იგივე მდგომარეობაა?**

— სხვებსაც უჭირთ. მაგალითად, „რეშიცას“, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძვის, სპონსორი ფულს ველარ უხდის. ქარხანა, რომელიც აფინანსებდათ, დაიშალა და უფულოდ დარჩნენ.

**— ამის გამო გუნდიდან წასვლას ხომ არ ფიქრობ?**

— კონტრაქტი სეზონის ბოლოს მიმთავრდება და მერე გადავწყვეტ, დავრჩე თუ წავიდე. გააჩნია როგორ პირობებს შემომთავაზებენ.

**— რომელიმე რუმინულ გუნდში თამაშს დათანხმდები თუ სხვა ქვეყანაში წახვალ?**

— მთავარია, კარგი პირობები შემომთავაზონ და რატომ არ დავთანხმდები? არც სხვა ქვეყანაში წასვლაა გამორიცხული, თუმც რუმინეთის ჩემპიონატზე უფრო სუსტ პირველობაში თამაში არ მინდა. თან აქაურობასაც შევეჩვიე. ვნახოთ...

**— ნაკრებზეც ვთქვათ. პოლონური ტურნე ტრავმის გამო გამოტოვე...**

— ძალიან დამწყდა გული. ისედაც იშვიათად ხერხდება ჩვენი ერთად თავშეყრა. თან შოთა თევზაძე რომ ჩამოვიდა, ისეთი ამბები მომიყვა... კარგი იყო ბიჭებისთვის იქ თამაში, გამოცდილება მიიღეს.

**— შოთა თევზაძემ გვითხრა, „ჩელენჯ ტროფიზე“ თამაში არ მინდა, მოტივაცია მაკლიაო. შენ რას ფიქრობ?**

— ვეთანხმები შოთას. სად ლუქსემბურგთან თამაში და სად, ვთქვათ, პოლონეთთან. საუბარია, რომ გაისად მსოფლიოს შესარჩევზე ვითამაშოთ. ვნახოთ, რა გამოვა. მე სიამოვნებით ვითამაშებ.

**ლევსო მაისურაძე**

# მსხვილიძე სერბეთში ქართველს ჩაანაცვლებს



საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რატი მსხვილიძე ლამის ორი თვეა, უგუნდოდ არის. ისლანდიურ „სტიარნანს“, რომელშიც ის თამაშობდა, ადრევე ესტუმრა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და გუნდიდან ლეგიონერები გაუშვეს.

რატი სამშობლოში დაბრუნდა და ყოფილ გუნდს სტუ-ს მიაკითხა, თუმც იმის გამო, რომ საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას ვერაფრით დაადგა საშველი, უთამაშებელი იყო და მხოლოდ დეკემბერში გამართულ „მერიის თასზე“ გამოვიდა, რაც პრაქტიკისთვის ზღვაში წვეთია.

მსხვილიძეს ევროპაში წასვლა კი სურდა, მაგრამ სატრანსფერო ფანჯარა იანვარში იღებოდა და მანამდე ლოდინი უწევდა.

მოვიდა იანვარი და კონკრეტული ვარიანტიც გამოჩნდა. რატის სერბული „მეტალოპლასტიკა“ იწვევს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში ერთი ქართველი უკვე თამაშობს — ირაკლი ჩიქოვანი შარშან გადავიდა სერბულ გრანდში.

„მეტალოპლასტიკა“ დიდი ტრადიციების მქონე გუნდია და ახლაც ჩემპიონობისთვის იბრძვის. თავად რატიმ კი, ამ ამბავთან დაკავშირებით, ეს გვითხრა: „გუნდი ახლა საფრანგეთშია შეკრებაზე. სერბეთში დაბრუნდებიან და მეც, ალბათ, იანვრის შუა რიცხვებში ჩავალ მოსალაპარაკებლად. რა პირობებიც შევთავაზე, როგორც ვიცი, თანახმა არიან და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ კონტრაქტსაც მოვაწერ ხელს ერთი სეზონით“.

რატის ისიც ვკითხეთ, სერბული გუნდიდან წამოვიდა დაინტერესება თუ მენეჯერმა მოუძებნა სათამაშო ვარიანტი.

— ეს გუნდი ადრევე იყო ჩემით დაინტერესებული, მაგრამ მე ისლანდიაში წასვლა ვამჯობინე. ახლა კი მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზეც მნახეს იტალიაში და როგორც ჩანს, ჩემი შეძენა გადაწყვიტეს. ყველაფერი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს, ვნახოთ.

ჭადრაკი

# მოჭადრაკეები შეიკრიბნენ და... ჟურნალისტები ათამაშეს

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ წლის ბოლოს, სეზონი შეაჯამა.

მთავარი მოვლენა, ცხადია, ქალ მოჭადრაკეთა ნაკრების მიერ დრეზდენის ოლიმპიადის მოგება იყო. ფედერაციამ სპეციალური ოქროს მედლებით დააჯილდოვა გამარჯვებულები: მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი და გუნდის კაპიტანი ნინო გურიელი.

დაასახელეს საუკეთესოებიც: **მაია ჩიბურდანიძე** — წლის საუკეთესო მოჭადრაკე; **ხვიჩა სუპატაშვილი** — საუკეთესო მწვრთნელი; იმერეთის საჭადრაკო ფედერაცია — საუკეთესო რეგიონალური ფედერაცია.

დაჯილდოვდნენ სხვა მოჭადრაკეებიც:

**ნაზი პაიკიძე** — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი 16-წლამდელთა შორის.

**მერი არაბიძე** — ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი 14-წლამდელთა შორის.

**ქეთი წაწალაშვილი** — მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი 16-წლამდელთა შორის.

**ნოდარ ლორთქიფანიძე** — მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი 14-წლამდელთა შორის.

**დავით გურგენიძე** — მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი საჭადრაკო კომპოზიციაში.

განსაკუთრებული დამსახურებისთვის დაჯილდოვდნენ: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი და თამაზ გიორგაძე.

ბოლოს საახალწლო ტურნირი გაიმართა სწრაფ ჭადრაკში, რომელშიც მოქმედმა და ვეტერანმა მოჭადრაკეებმა ითამაშეს. ასევე ჩატარდა ტურნირი ჟურნალისტთა შორის. ტურნირის საერთო საპრიზო ფონდი 10 ათასი ლარი იყო.

საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

ვეტერანები: 1. ნონა გაფრინდაშვილი; 2. თამრიკო ხმიადაშვილი; 3. გივი გამრეკელი.

16 წლამდე გოგონები: 1. მარიამ დანელია; 2. ნათია ჯალაბაძე; 3. მერი არაბიძე.

ჭაბუკები: 1. ლევან ბრეგაძე; 2. გიორგი ნიკოლაშვილი; 3. ირაკლი ჯანიაშვილი.

ქალები: 1. ნინო ხურციძე; 2. ნინო ბაციაშვილი; 3. სოფიკო ხუხაშვილი.

კაცები: 1. გიორგი მარგველაშვილი; 2. ლაშა ჯანჯღავა; 3. დავით არუთინიანი.

ჟურნალისტები: 1. კახა გელაშვილი (რადიო „იმედი“); 2. სერგეი სუროვი (რუსული საჭადრაკო ჟურნალი 64“); 3. თამაზ თევზაძე (კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მრჩეველი).

კალათბურთი

# ტყუპები ერთად

**თსუ**-ს ფინანსური პრობლემები რომ შეექმნა, ეს ადრეც გვეწერა. ახალი ის არის, რომ გუნდს წამყვანი მოთამაშეები ტოვებენ.

დავით ბერიშვილი საქართველოს ვიცე-ჩემპიონ „ავიამშენში“ გადავიდა და თამაშს ტყუპისცალ ირაკლისთან ერთად გააგრძელებს. დათო „ავიას“ სეზონის ბოლომდე დაეხმარება. აქვე ვთქვათ, რომ ბერიშვილამდე სტუდენტები გიორგი ყველაშვილმა და დავით და გიგი ბარბაქაძეებმა დატოვეს.

# შეურაცხყოფა 100 დოლარად

**სუპერლიგის** ნტდ-ს გამორჩეული კალათბურთელი გიორგი მამაცაშვილი სადისციპლინო კომიტეტმა დააჯარიმა. იგი 100 დოლარის ექვივალენტს გადაიხდის ლარებში და ორი თამაშის გამოტოვებაც მოუწევს საქართველოს თასის გათამაშებაში, რომელიც 22-25 იანვარს გაიმართება.

დაჯარიმების მიზეზი კი მამაცაშვილის საქციელია. მან ქორქიასაკანდელიძის მემორიალზე, ნტდ — „დინამოს“ მატჩისას მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

# ბათუმს თსუ დაემართა

**„ბათუმს“** ფინანსური პრობლემები მოეძალა და დაშლის პირასაა. გუნდის მომავალი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს — შეძლებს თუ არა „ბათუმი“ საქართველოს მე-18 ჩემპიონატში თამაშის გაგრძელებას.

ახლა მდგომარეობა სავალალოა. ზღვისპირელებს მთელი პირველი წრეა, ხელფასი არ აუღიათ. არადა, დებიუტანტის კვალობაზე „ბათუმს“ ურიგოდ არ უთამაშია: 9-გუნდა ჩემპიონატში მეექვსე ადგილი უკავია.

შევახსენებთ, რომ „ბასკოს“ დაშლის შემდეგ ბათუმელები სუპერლიგაში ველარ თამაშობდნენ და წლეულს დაბრუნდნენ.

# კალათბურთი ზანგების თამაშია

## ბარაკ ობამა თეთრ სახლში არ მოწევს და არ ითამაშებს




**ამბობენ,** კალათბურთი ზანგებისთვის მოიგონესო... არ დაიჯეროთ! კალათბურთი დარბაზებისთვის მოიგონეს, ზამთარში რომ არ დაეკეტათ და ცელქი ბავშვების გნიასი საკლასო ოთახებიდან იქ გადაეტანათ. თანაც მაშინ, მე-19 საუკუნის ბოლოს დარბაისელი კანადელი სპორტის მწვრთნელი დიახ, სპორტის მწვრთნელი) ჯეიმს ნეისმიტი ამ ჯადოსნური თამაშის პირველ 13 წესს რომ ადგენდა, შავკანიანები თეთრებისგან განცალკევებულ სკოლებში სწავლობდნენ და დიდი რეზინის ბურთი მათ ხელებში შედარებით გვიან აღმოჩნდა. პირველმა აფრო-ამერიკელმა მარგალიტებმა ნბა-ში მხოლოდ მეხუთე სეზონში გამოანათეს. მოკლედ, თქმაც არ უნდა, რომ კერძოდ მათთვის არ მოუგონიათ.

მაგრამ დროება შეიცვალა. კალათბურთი ახლა ნამდვილად ზანგების თამაშია. მშვენიერი ფილმიც არსებობს, რომლის ორიგინალური სახელწოდებაა „თეთრი კაცი ვერ ხტება“. ხომ გახსოვთ — ქუჩის ორი მოთამაშე, თეთრი და შავი ერთმანეთს ეჯიბრებიან და რა თქმა უნდა, შავი აჯობებს. სხვისი არ ვიცი და, მე ეს ფილმი კალათბურთზე გადაღებული ათას სისულელეში ლამის ერთადერთი ნორმალური მგონია.

გადასაღები მოედანი გასაგებია და, ნამდვილ სათამაშო მოედანზეც რომ ასეა? შავკანიანებმა პრაქტიკულად განდევნეს თეთრები პრიალა პარკეტიდან. ნბა-ს მოთამაშეთა 80 პროცენტი შავკანიანია, ამერიკელი თეთრები კი იქ სულ უფრო მცირდებიან. აშშ-ს ნაკრებს ბოლო ოლიმპიადაზე 12 კაცში ერთადერთი თეთრი ჰყავდა...

ევროპაშიც როგორ მომრავლდნენ? ყოველი პატივმოყვარე გუნდი, ევროლიგაში თუ მის ქვემოთ, თავს ვალდებულად თვლის, სულ ცოტა ორი-სამი იყოლიოს. განა ცუდია? უკეთ გამოსდით და რატომაც არა? როგორც ფიჯელი კანიბალის შვილიშვილს გამოუვიდა რაგბის თამაში, ისევე შავკანიანებსაც აღმოაჩნდათ კალათთან და ბურთთან ურთიერთობის ნიჭი.

ნეტა ყველა შავკანიანს გამოუვა? ვესლი სნაიპსი რომ მშვენივრად ბურთაობს, ვიცით. დენზელ ვაშინგტონიც არ იქნება ბურთთან მწყრალად. მორგან ფრიმენიც მოახერხებს ორი ნაბიჯით გარღვევაზე შესვლას და კოხტად ჩაგდებას და თვით პატივცემული ქალბატონი კონდოლიზა რაისიც არ უ-ა დაიბნეს, თუ ხელებში მოულოდნელად ბურთს მიაწვდით. დაიბნევიან და აფორიაქდებიან მხოლოდ გარდაცვლილ პრეზიდენტთა სულები, თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში შვილებთან ბურთით მოთამაშე შავგვრემან კაცს რომ „დაინახავენ“.



ხუმრობა იქით იყოს, გარდაცვლილი პრეზიდენტები უფრო იქით და, ამერიკის შეერთებული შტატების პირველი შავკანიანი პრეზიდენტი ბარაკ ობამა მშვენიერი მოთამაშეა. განა, გასაკვირი ის უფრო არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო? ოვალურ დარბაზში ალბათ არ აატიკტიკებს სპალდინგის და აბრაამ ლინკოლნის თუ ვუდრო უილსონის ნაქონ ფაიფურს არ დაამტვრევს. მაგრამ საპრეზიდენტოდ გამზადებული ობამა სპორტული დარბაზების არცთუ იშვიათი სტუმარია და საარჩევნო კამპანიისას ხშირად ბურთით ხელში დაუმტკიცებია, რომ ყოჩაღი კაცია.

ობამა კალათბურთს სკოლაში თამაშობდა და კარგი მონაცემებიც ჰქონდა, შეეძლო უნივერსიტეტშიც გაეგრძელებინა, მაგრამ პროფესიულ სპორტს ვეღარ გაყვა, რადგან სიგარეტი ვერ გადააგდო. სხვათა შორის, საარჩევნო კამპანიისას სცადა გადაგდება და სახალხოდაც გამოაცხადა, მაგრამ ვერც ახლა მოახერხა. მომავალი პრეზიდენტის ნიკოტინთან ბრძოლა საზეიმო აღთქმით დასრულდა — თეთრ სახლში არ მოვწევო. მაგრამ სიგარეტი ხელს არ უშლის კალათბურთის დარბაზში სიარულში და მოყვარულის კვალობაზე გვარიანი მოთამაშეცაა.

მისი ცოლისძმა კრეიგ რობინსონი, ოჰაიოს უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელი, კალათბურთელი ობამას დახასიათებისას ეპითეტებს არ იშურებს — „ხალხი ყოველთვის მეკითხება ჩემს სიძეზე, როგორც მოთამაშეზე. რა ვთქვა, ძალიან კარგი საშუალო სროლა აქვს, რომელიც წლების განმავლობაში უფრო და უფრო იხვეწება, რადგან ასაკის მატებასთან ერთად გარღვევაზე შესვლა რთულდება. გამხდარია, მაგრამ არა სუსტი. ამას დაგიდასტურებენ მისი მოწინააღმდეგეებიც. ბურთს ატარებს და ესვრის მარცხენა ხელით და სხვა მემარცხენეებისგან განსხვავებით, მარჯვნიდანაც ისევე წარმატებით შეუძლია დრიბლინგის წამოწყება, როგორც მარცხნიდან. ბოლომდე იბრძვის. კარგი პასი აქვს და არც ენანება ბურთი. ყველაზე მეტად სწორედ ამ თვისებას ვაფასებ როგორც კალათბურთელში, ისე ზოგადად ლიდერში. ძალზე თანმიმდევრულია, მოკლედ, თქვენს წინაშეა ადამიანი, რომელიც მთავრობასაც ისევე უნარიანად, ეფექტურად და თავდაჭერით გაუძღვება, როგორც საკალათბურთო გუნდს. ის ისევ ის ტაქტიანი და მიზანდასახული ბიჭია, რომელიც ჩემს დას მეგობრობდა და რომელთან ერთადაც ეზოში ვთამაშობდი.“

ბარაკ ობამა 1961 წელსაა დაბადებული, ამ წელმა კი ბევრი უცნობილესი კალათბურთელი შვა: დენის როდმანი, აიზია ტომასი, ჯეიმს უორსი, ბაირონ სკოტი... ცხადია, ამათ ვერ შეეტოქება და როდმანს ბურთს ვერ მოუხსნის, მაგრამ გაცილებით ახალგაზრდა თეთრ ჯარისკაცებს თავბრუს ახვევს ხოლმე. კალათბურთი ხომ შავკანიანების თამაშია.

**ირაკლი ფირაშვილი**



გაცოფებული დოკ რივერსი




# ექვსი კაცით ხუთის წინააღმდეგ

**30 დეკემბერს** ნბა-ში ერთი მცირე-სკანდალი აგორდა. პორტლენდში იქაირ „თრეილ ბლეიზერსსა“ და „ბოსტონ სელტიქსის“ შეხვედრაში სტუმართა მწვრთნელმა დოკ რივერსმა პირველი ტაიმის ბოლოს ერთი ამბავი ატეხა, მასპინძლებს მოედანზე ექვსი მოთამაშე ყავთო, მაგრამ სამი მსაჯიდან ეს ვერცერთმა „ვერ შენიშნა“ მანამ, სანამ ექვსკაციანმა „პორტლენდმა“ შეტევა შედეგიანად არ დაასრულა. თურმე ტრევის აუთლოო სათადარიგოთა სკამიდან „ჩუმად შეპარულიყო“ მოედანზე, იქიდან კი სანაცვლოდ არავინ გამოსულა.

რივერსმა ცხადია გააპროტესტა და „პორტლენდის“ ჩაგდებულის გაუქმება მოითხოვა, მაგრამ მსაჯებმა მცირე თათბირის შემდეგ მხოლოდ ტექნიკური აკმარეს დამრღვევ გუნდს, ორი ქულა კი შეარგეს.

არსებობს პორტლენდელთა ცუღლუტობის დამამტკიცებელი ფოტოც, რომელიც რატომღაც ესპანურმა „მარკამ“ მოიძია და გამოაქვეყნა, ყოვლისშემძლე ამერიკულ საიტებს კი არ აღმოაჩნდათ. ესპანური გაზეთებისთვის „პორტლენდი“ განსაკუთრებით საინტერესო თემაა, რადგან ამ კლუბში ორი თავისიანი ჰყავთ — რუდი ფერნანდესი და სერხიო როდრიგესი.

**ვანო ძოძიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მეგობრობაც ასეთი უნდა

## ვეიდმა ჯეიმსს დაბადების დღე ჩაუშხამა





**ძველი წლის** უკანასკნელ დღეებში სეზონის ორი საუკეთესო მექულე — დუეინ ვეიდი 28,7) და ლებრონ ჯეიმსი 27,8) ორჯერ შეეჯახნენ ერთმანეთს. „კლივლენდს" ყოველთვის უჭირდა ვეიდის შეჩერება. ლებრონ ჯეიმსი მისი კარგი მეგობარი კია, მაგრამ ტახივით ჩაკურატებული და მოძრავი მაიამელი მოედანზე ძმაბიჭობას ივიწყებდა და მუდამ აწიოკებდა „კლივლენდის" დაცვას, განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში და თითქმის ყოველთვის მოედნიდან 30 ქულაზე მეტი გამოჰქონდა.

ვეიდი ახლა განსაკუთრებით კარგ ფორმაშია, პეკინის ოლიმპიადაზე ამერიკელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო და მიმდინარე რეგულარული ჩემპიონატის ბომბარდირებსაც ყოჩობს, მაგრამ ამ ჯერზე ლებრონის გუნდმა ასე თუ ისე შეძლო მისი შეჩერება. ვეიდი ვერ ასცდა 30 ქულას, მაგრამ ამ მწირქულიან, დაცვით თამაშში „მაიამი" მაინც ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან. სტუმრებმა მძლავრი მესამე მეოთხედი ჩაატარეს, გადამწყვეტ პერიოდს 9-ქულიანი წინსწრებით უწიეს და რვა წუთით ადრეც 8 ქულით უპირატესობდნენ. „კლივლენდს" წლეულს შინ ერთხელაც არ წაეგო, 15-ვე სტუმარი გაწბილებული გაეშვა და ასეთი სურათი არ მოეწონათ გამარჯვებებს შეჩვეულ ქომაგებს. ბენ ვოლეს და ანდერსონ ვარეჟაოს რისხვა დაატეხეს, როცა ამათმა „მაიამის" კალათის თავზე ფრენბურთი გააჩაღეს და რამდენჯერმე ვერ შეძლეს ბურთის ჩაგდება.

მაგრამ „კლივლენდმა" ამ თამაში გადარჩენაც მოახერხა. მასპინძლები დაცვაში დალაგდნენ, შეტევაში კი, რა თქმა უნდა, ლებრონმა ითავა ლიდერობა. „კავალერიამაც" ბოლო რვა წუთში 26:11 გაინავარდა და ზედიზედ მე-16 შინაური გამარჯვებით დაამშვიდა აფორიაქებული მაყურებელი.

ლებრონს ვეიდზე ოთხი ქულით მეტი მოუგროვდა და დამარცხებულ მეგობარს ნამატჩევს ქებაც უწილადა — „დუეინი ძალზე ძნელად სამეურვეო მოთამაშეა, მომაკვდინებელია მისი გარღვევები, მაგრამ ჩვენმა გუნდმა დაცვაში თამაში ისწავლა."

**ნათქვამია,** მეხი ერთ ადგილს ზედიზედ ორჯერ არ ეცემაო და, კლივლენდური მარცხიდან ორ დღეში ახლა ვეიდის „მაიამიმ" იძალა. „კლივლენდის" დაცვა მართლაც გაზრდილა, მაიამიში შემდგარ საპასუხო შეხვედრაშიც შეძლო მეტოქის საუკეთესო მოთამაშის დათრგუნვა. „შეტევაში" შებორკილმა, გამუდმებით ორკაცადევნებულმა ვეიდმა თამაშიდან 23-ჯერ ისროლა, 16 გააცუდა და მხოლოდ 21 ქულას დასჯერდა, მაგრამ სტუმართა გულის გასახეთქად „მაიამის" 21 წლის ახალბედა გამთამაშებელმა მარიო ჩალმერსმა გამოიდო თავი და 7 სამქულიანიდან 6 ჩააგდო. ის და ვეიდი ხშირად ცვლიდნენ როლებს და ბურთს მორიგეობით ათამაშებდნენ. ვეიდმა 12 პასი გაახურხა, მაიამელები კი თავიდანვე გაიჭრნენ და პირველ ტაიმში ერთი ხანობა 16 ქულითაც ჩამოიტოვეს მეტოქე.

მორე ნახევარში ლებრონმა თავი გაიგიჟა, მას არანაკლებ სწყუროდა ამ თამაშის მოგება, ვიდრე წინასი — იმ დღეს დაბადების დღე ჰქონდა, 24 წლისა შესრულებულიყო. ბევრი იბორგა, 24 ქულა დიდი შესვენების შემდეგ მოიხვეჭა, მეოთხე მეოთხედში სამქულიანით 77:78 მიაახლოვა „კლივლენდი" „მაიამის", მაგრამ ლიდერობით ტკბობა აღარ დასცალდა. გიჟური მესამე მეოთხედის შემდეგ გვარიანად მოღლილ მეტოქეს „მაიამიმ" ბოლო წუთები პირწმინდად მოუგო.

ლებრონს ეს უკვე მესამე წაგება მოუგროვდა დაბადების დღეებზე, ცხვირჩამოშვებული იძახდა, ახლა ვიტირებო და გუნება არც ვეიდის ნამატჩევმა „მილოცვამ" გამოუკეთა.

**ირაკლი ფირაშვილი**

**კვირის მატჩი. 28 დეკემბერი. კლივლენდი**

**კლივლენდი 93:86 მაიამი**

22:22 22:20 14:25 35:19

კლივლენდი: უილიამსი (20), ვესტი (11), ჯეიმსი (33 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ვოლესი (2 ქულა, 14 მოხსნა), ილგაუსკასი (10); ვარეჟაო (12 ქულა, 10 მოხსნა), გიბსონი (5), პაველოვიჩი

მაიამი: ჩალმერსი (5), ვეიდი (29), მერიონი (4 ქულა, 10 მოხსნა), ჰასლემი (15), ენტონი (4); კუკი (12), ბისლი (9), მაგლოირი (5), ბანქსი (3), დიავარა

**30 დეკემბერი. მაიამი**

**მაიამი 104:95 კლივლენდი**

26:19 24:15 24:33 30:28

მაიამი: ჩალმერსი (21), ვეიდი (21 ქულა, 12 პასი), მერიონი (14 ქულა, 11 მოხსნა), ჰასლემი (13 ქულა, 10 მოხსნა), ენტონი 7); კუკი (17), ბისლი (8), ბანქსი (3), მაგლოირი, დიავარა

კლივლენდი: უილიამსი (10), ვესტი (20), ჯეიმსი (38), ვოლესი (4), ილგაუსკასი (8); გიბსონი (9), ვარეჟაო (2 ქულა, 10 მოხსნა), პაველოვიჩი (2), ჰიკსონი (2), კინსი

## ნასვამი და ზრდილობიანი



**ბარაკ ობამას** მხურვალე მხარდამჭერი ჩარლს ბარკლი მორიგ სკანდალში გაეხვა. ლეგენდარული კალათბურთელი, ამჟამად კი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ხმაურიანი ტელეკომენტატორი ბარკლი 31 დეკემბერს ღამით მანქანას გვარიანად ნასვამ მდგომარეობაში მართავდა და ფინიქსის გარეუბან სკოტსდეილში პოლიციამ დააკავა.

რა თქმა უნდა, პოლიციელი მაშინვე მიხვდა, ვისთან ქონდა საქმე — ვინ არ იცნობს სერ ჩარლზს — და უკიდურესად თავაზიანად მიაბარძანა განყოფილებაში. მეორე დღეს გამოფხიზლებული და მონანიე ბარკლი ბოდიშსაც იხდიდა და სკოტსდეილის პოლიციის მიმართ მადლობებიც გადმოღვარა, ფანტასტიკური ხალხია, ასეთი ზრდილი სამართალდამცავები არსად არ შემხვედრიანო.

ბოდიში კი ასე მოიხადა — „ძალიან ვწუხვარ, რომ საკუთარი თავი ასეთ სიტუაციაში ჩავაგდე."

ბარკლის ადრეც ჰქონია პოლიციასთან ურთიერთობა. მისი ყველაზე სერიოზული დარღვევა დაფიქსირებულია 1997 წელს, როცა ის ჯერ კიდევ აქტიური მოთამაშე გახლდათ. მაშინ ორლანდოში ბარში დებოშისთვის დააკავეს. თურმე ბარის პატრონს ფანჯარა თავით გაამტვრევინა, რადგან მას რატომღაც ყინულის ჭიქა უსვრია გოლიათი კალათბურთელისთვის.

## კვირიდან კვირამდე

**28 დეკემბერი**

ნიუ იორკი 110:117 დენვერი
ინდიანა 103:105 ნიუ ორლეანი
საკრამენტო 63:108 ბოსტონი
კლიპერსი 76:98 დალასი
კლივლენდი 93:86 მაიამი
ლეიკერსი 130:113 გოლდენ სტეიტი

**29 დეკემბერი**

ატლანტა 109:91 დენვერი
ნიუ ჯერსი 87:100 ჩიკაგო
დეტროიტი 88:82 ორლანდო
მინესოტა 108:98 მემფისი
ოკლაჰომა 102:110 ფინიქსი
ჰიუსტონი 87:89 ვაშინგტონი
იუტა 102:95 ფილადელფია
გოლდენ სტეიტი 117:111 ტორონტო

**30 დეკემბერი**

ინდიანა 104:110 ატლანტა
შარლოტი 89:93 ნიუ იორკი
მაიამი 104:95 კლივლენდი
მემფისი 89:101 ფინიქსი
ნიუ ორლეანი 97:85 ვაშინგტონი
სან ანტონიო 98:100 მილუოკი
დალასი 107:100 მინესოტა
საკარმენტო 92:90 კლიპერსი
პორტლენდი 91:86 ბოსტონი

**31 დეკემბერი**

ჩიკაგო 94:113 ორლანდო
დეტროიტი 83:75 ნიუ ჯერსი
ჰიუსტონი 85:81 მილუოკი
ტორონტო 107:114 დენვერი
ოკლაჰომა 107:100 გოლდენ სტეიტი
კლიპერსი 92:100 ფილადელფია

**2 იანვარი**

ორლანდო 86:76 მაიამი
ტორონტო 94:73 ჰიუსტონი
ბოსტონი 108:83 ვაშინგტონი
ნიუ ჯერსი 93:91 ატლანტა
კლივლენდი 117:92 ჩიკაგო
ნიუ იორკი 103:105 ინდიანა
ოკლაჰომა 120:122 დენვერი
დეტროიტი 98:92 საკრამენტო
მემფისი 80:91 სან ანტონიო
მინესოტა 115:108 გოლდენ სტეიტი
დალასი 96:86 ფილადელფია
მილუოკი 103:75 შარლოტი
ფინიქსი 106:98 კლიპერსი
პორტლენდი 77:92 ნიუ ორლეანი
ლეიკერსი 113:100 იუტა

**3 იანვარი**

ინდიანა 122:117 საკრამენტო
შარლოტი 102:92 მილუოკი
ატლანტა 103:100 ჰიუსტონი
მაიამი 101:96 ნიუ ჯერსი
სან ანტონიო 108:106 ფილადელფია
ჩიკაგო 92:102 მინესოტა
დენვერი 105:100 ნიუ ორლეანი

### კვირის ლიდერები

**ქულა**

| | | |
|---|---|---|
| კევინ მარტინი (საკრამენტო) | 3.01 | 45 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 2.01 | 40 |
| როდნი სტაკი (დეტროიტი) | 2.01 | 38 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 30.12 | 38 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა) | 29.12 | 38 |
| დენი გრეინჯერი (ინდიანა) | 3.01 | 35 |
| დენი გრეინჯერი (ინდიანა) | 28.12 | 34 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 2.01 | 33 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 2.01 | 33 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 28.12 | 33 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა) | 2.01 | 32 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 28.12 | 32 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 2.01 | 31 |
| მაიკლ რედი (მილუოკი) | 2.01 | 31 |

**მოხსნა**

| | | |
|---|---|---|
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 30.12 | 24 |
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 2.01 | 23 |
| ტროი მერფი (ინდიანა) | 2.01 | 18 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 29.12 | 18 |
| პოლ მილსაპი (იუტა) | 2.01 | 17 |
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 31.12 | 17 |
| ანდრის ბიედრინში (გ. სტეიტი) | 28.12 | 17 |

**პასი**

| | | |
|---|---|---|
| ჯეისონ კიდი (დალასი) | 30.12 | 16 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 30.12 | 16 |
| ხოსე კალდერონი (ტორონტო) | 29.12 | 16 |
| ჯო ჯონსონი (ატლანტა) | 3.01 | 14 |
| რაჯონ რონდო (ბოსტონი) | 2.01 | 14 |

**ჩაჭრა**

| | | |
|---|---|---|
| გრანტ ჰილი (ფინიქსი) | 30.12 | 6 |
| ლეანდრო ბარბოსა (ფინიქსი) | 29.12 | 6 |

**დაფარება**

| | | |
|---|---|---|
| ტაირუს ტომასი (ჩიკაგო) | 3.01 | 8 |

### აღმოსავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ბოსტონი | 29 | 5 | 85,3 | 18-1 | 11-4 | 1 მოგ | 7-3 |
| ნიუ ჯერსი | 16 | 18 | 47,1 | 6-12 | 10-6 | 1 წაგ | 4-6 |
| ფილადელფია | 13 | 20 | 39,4 | 7-8 | 6-12 | 2 წაგ | 4-6 |
| ტორონტო | 13 | 20 | 39,4 | 6-9 | 7-11 | 1 მოგ | 3-7 |
| ნიუ იორკი | 12 | 19 | 38,7 | 7-8 | 5-11 | 1 წაგ | 3-7 |
| **ცენტრალური** | | | | | | | |
| კლივლენდი | 27 | 5 | 84,4 | 17-0 | 10-5 | 1 მოგ | 8-2 |
| დეტროიტი | 20 | 11 | 64,5 | 12-5 | 8-6 | 6 მოგ | 8-2 |
| მილუოკი | 16 | 19 | 45,7 | 9-5 | 7-14 | 1 წაგ | 6-4 |
| ჩიკაგო | 14 | 20 | 41,2 | 10-5 | 4-15 | 3 წაგ | 3-7 |
| ინდიანა | 12 | 21 | 36,4 | 7-9 | 5-12 | 2 მოგ | 5-5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ორლანდო | 26 | 7 | 78,8 | 14-3 | 12-4 | 2 მოგ | 9-1 |
| ატლანტა | 22 | 11 | 66,5 | 15-2 | 7-9 | 1 მოგ | 8-2 |
| მაიამი | 18 | 14 | 56,2 | 12-5 | 6-9 | 1 მოგ | 6-4 |
| შარლოტი | 12 | 22 | 35,3 | 9-12 | 3-10 | 1 მოგ | 5-5 |
| ვაშინგტონი | 6 | 25 | 19,4 | 4-12 | 2-13 | 2 წაგ | 2-8 |

### დასავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | | | | | |
| სან ანტონიო | 22 | 11 | 66,7 | 13-6 | 9-5 | 2 მოგ | 7-3 |
| ნიუ ორლეანი | 20 | 10 | 66,7 | 11-4 | 9-6 | 1 წაგ | 7-3 |
| დალასი | 20 | 12 | 62,5 | 10-6 | 10-6 | 3 მოგ | 7-3 |
| ჰიუსტონი | 21 | 14 | 60,0 | 11-4 | 10-10 | 2 წაგ | 5-5 |
| მემფისი | 10 | 23 | 30,3 | 8-10 | 2-13 | 4 წაგ | 2-8 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| დენვერი | 23 | 12 | 65,7 | 12-4 | 11-8 | 3 მოგ | 6-4 |
| პორტლენდი | 20 | 13 | 60,6 | 12-4 | 8-9 | 1 წაგ | 7-3 |
| იუტა | 19 | 15 | 55,9 | 12-4 | 7-11 | 1 წაგ | 4-6 |
| მინესოტა | 8 | 25 | 24,2 | 4-12 | 4-13 | 2 მოგ | 4-6 |
| ოკლაჰომა | 4 | 30 | 11,8 | 3-15 | 1-15 | 1 წაგ | 2-8 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლეიკერსი | 26 | 5 | 83,9 | 17-1 | 9-4 | 5 მოგ | 8-2 |
| ფინიქსი | 19 | 12 | 61,3 | 10-6 | 9-6 | 3 მოგ | 7-3 |
| გოლდენ სტეიტი | 10 | 25 | 28,6 | 6-7 | 4-18 | 2 წაგ | 3-7 |
| კლიპერსი | 8 | 24 | 25,0 | 3-13 | 5-11 | 6 წაგ | 3-7 |
| საკრამენტო | 8 | 26 | 23,5 | 6-11 | 2-15 | 2 წაგ | 2-8 |






# სანახაობა საყინულეში

**ჭეშმარიტად** ყინვაგამძლე ხალხია ჰოკეისტები. მთელი ცხოვრება ხომ ყინულზე დგანან, ახლა კი ყინვაშიც გამოვიდნენ და იქ გააჩალეს ხრიალ-ყვანჯღალი სნობა.

ნჰლ-ს ისტორიული მეტოქეები „ჩიკაგო ბლექჰოქსი" და „დეტროიტ რედ უინგზი" რეგულარული ჩემპიონატის რეგულარულ მატჩში არარეგულარულ გარემოში შეეტოქნენ ერთმანეთს — ბეისბოლის ძველ მოედანზე დაგებულ ყინულზე ღია ცის ქვეშ ითამაშეს.

საშინელი სიცივე იყო, დაახლოებით მინუს 35 გრადუსი ცელსიუსით, თანაც მიჩიგანის ტბიდან საკმაოდ ძლიერი და სუსხიანი ქარი ქროდა. მსოფლიოს ყველაზე „ცივი" მწერალ ჯეკ ლონდონს რომ დავესესხოთ — ისე ციოდა, როგორც ჯოჯოხეთში პირველი ცეცხლის დანთებამდე. ასეთ ამინდში კატას არ გააგდებ გარეთ, ხალხმა კი თავისი ნებით და თანაც დიდი სიამოვნებით მიატოვა გალუღუნებული სახლები და ბეჯითად გადაავსო 40-ათასიანი ძველებური, მრავალსეგმენტიანი ტრიბუნები. კიდევ ორი ათასისთვის აღარ მოიძებნა ალარც დასაჯდომი და აღარც დასადგომი ადგილი. ნეტა, რას ხედავდნენ იმ კენწეროდან? ზოგი ისე იყო სახელდახელოდ დაგებულ მოედანს მოშორებული, რომ შაიბას კი არა მოთამაშეებს ვერ გაარჩევდა, მაგრამ იმ სიცივეშიც ატმოსფერო ისეთი ელექტრონით იყო დამუხტული, რომ მაყურებელმა ბოლომდე გაძლო.

თამაშიც გვარიანი გამოვიდა, ორივე კარში ათი შაიბა გავიდა. ტრადიციულად უფრო ძლიერმა „დეტროიტმა" ამ ჯერზეც იძალა, 1:3 წაგებული პირველი პერიოდის შემდეგ მეორეში და მესამეში ზედიზედ ხუთი შაიბა გაიტანა. „ჩიკაგომ" ბოლო წუთზელა გაქვითა ერთი გოლი. საბოლოოდ სტუმარმა „დეტროიტმა" 6:4 მოიგო.

ნამატჩევს, ემოციები რომ ჩაცხრა, მოთამაშეებმაც და მაყურებლებმაც სიცივეზე ჩამოაგდეს სიტყვა. უშუალოდ მატჩის მონაწილეებმა ისიც თქვეს, ყინულის ზედაპირი იდეალური ვერ იყო და ტექნიკურად გვბოჭავდაო. მაგრამ მასპინძლებმა ინამუსეს და მარცხი უსწორმასწორო ყინულს არ გადააბრალეს — ორივეს ხომ თანაბრად გვიშლიდა ხელსო.

ნჰლ დროდადრო მართავს ღია ცის ქვეშ გასეირნებებს და ასეთი თამაშები სიცივის მიუხედავად ყოველთვის ზღვა ხალხს კრებს. მოთამაშეებს კი დიდ პატივად მიაჩნიათ მათში მონაწილეობა.

„დეტროიტის" მეკარემ ტაი კონკლინმა უნდა თქვას, ბედი მქონიაო, უკვე მესამედ გაისეირნა სუფთა ჰაერზე — პირველად ეს 2003 წელს მოხდა, როცა „ედმონტონში" თამაშობდა და მისი გუნდი 57 ათასი მაყურებლის და ზეცის თვალწინ დაუხვდა „მონრეალს". მეორედ კი შარშან გამოუშვეს „ჩახუთული" დარბაზიდან და ნიუ იორკში რალფ უილსონის სახელობის ვეება სტადიონზე მისი „პიტსბურგი" „ბუფალოს" შეაჯახეს. ამ თამაშს 71 217 მაყურებელი დაესწრო და ნჰლ-ს ყველა დროის რეკორდიც ესაა.

**ვანო კოზიაშვილი**



# შეშინებული გოლიათი

## ოფიციალური ვერსია: ვალუევმა, ჰოლიფილდი მებრალებაო



**იშვიათი** შემთხვევაა: თავად რუსებმა აღიარეს, ნიკოლაი ვალუევისა და ევანდერ ჰოლიფილდის საჩემპიონო კრივში მსაჯებმა არამად მოაგებინეს სანკტპეტერბურგელ გოლიათსო.

შევახსენებთ, რომ ახლახან ციურიხში გამართულ ჩხუბში ჰოლიფილდმა გვარიანად უტყაპუნა რუს გოლიათს, მაგრამ მსაჯებმა თვალები დაიბრმავეს და ქულებით ვალუევს გაამარჯვებინეს. და რომ ეს მართლაც ასე იყო, დასტურად თავშივე ნათქვამი ამბავი გამოდგება: რუსი სპორტული ჟურნალისტებიც რომ აღიარებენ, მოგება არ ეკუთვნოდაო — ესე იგი, მართლა არ ერგებოდა.

ამის მერე ჰოლიფილდის შტაბმა სასამართლოში იჩივლა და ახალი ჩხუბის დანიშვნა მოითხოვა. სხვათა შორის, WBA-მ უკვე მოუწოდა მსაჯებს, შედეგები გადასინჯეთო.

როგორც კი ეს ინფორმაცია გავრცელდა და ხალხი მატჩ-რევანშის მოლოდინში გაირინდა, ვალუევმა პრესკონფერენცია მოაწყო და თქვა, სულაც არ ვაპირებ ჰოლიფილდთან კიდევ შეხვედრასო.

ცხადია, ვალუევი ვერ აღიარებს, წაგების მეშინია და იმიტომ გავურბივარ ამერიკელსო, მაგრამ რომ გაურბის, აშკარაა. არადა, ისიც ხომ ცხადია, რომ ვალუევ-ჰოლიფილდის მატჩ-რევანშს უფრო დიდი ფულის მოტანა შეუძლია, ვიდრე ვალუევისა და ვინც გინდათ სხვა მოკრივის ჩხუბს.

მაგრამ ჩხუბისგან თავის არიდების მიზეზიც ხომ უნდა აეხსნა? ჰოდა, ვალუევმა თქვა, ჰოლიფილდი უკვე 46 წლისაა, ბებერია და საცემრად მეცოდებაო.

კიდევ ერთი მაგრამ: ციურიხული ჩხუბიდან გამომდინარე, ვერავინ იტყვის, ვალუევმა მეტოქე დაზოგაო.

ვალუევი: „ჰოლიფილდთან ჩხუბი სულაც არ მინდოდა და ეს სწორედ მისი ასაკის გამო. სამწუხაროდ, პრომოუტერებმა სხვა მეტოქე ვერ მომიძებნეს და იძულებული გავხდი, მასთან მეკრივა. იმ ჩხუბში შევეცადე ჰოლიფილდი არ გამემეტებინა და მინიმალური ძალა გამომეჩინა. მე ღირსეული ჩემპიონი ვარ და რაც შეეხება ჰოლიფილდის გუნდის პროტესტს, ეს ამერიკელების ჩვევაა — წაგებას არ აღიარებენ და სკანდალის მოწყობა ურჩევნიათ. ახლა ჰოლიფილდის პატივისცემა დავკარგე და კიდევ რომ შევხვდე, ველარ დავინდობ. მისი ასაკიდან გამომდინარე კი ამას ვერიდები".

ახლა ვალუევი რუსლან ჩაგაევს უნდა შეხვდეს საჩემპიონო ქამრისთვის. ეს ჩხუბი 29 ივლისსაა დაგეგმილი. შეგახსენებთ, რომ WBA-ს ქამარს აქამდე სწორედ ჩაგაევი ფლობდა, მაგრამ ტრავმების მოძალების გამო, კარგა ხანია, რინგზე არ გასულა და საკრივო ორგანიზაციამ დროებითი ტიტულისთვის ვალუევი და ჰოლიფილდი აჩხუბა. თუ ჩაგაევი ნახსენებ 29 ივლისამდე ვერ მომჯობინდება, ვალუევი „ნაღდ" ჩემპიონად გამოცხადდება. ოღონდ იქამდე სიტყვა სასამართლოზეა — ეგებ ისეც მოხდეს, რომ ვალუევს ჰოლიფილდთან მოგება გაუუქმონ.

ამერიკელის შტაბი კი დაჟინებით იმეორებს, რომ მსაჯები მოსყიდულები იყვნენ.

**თეიმურაზ უშაკოვი**



# გაქონილი რკინა

**არ გაიკვირვოთ** და, მამაკაცი, რომელსაც ამ ფოტოზე ხედავთ, ლიადი მოკრივე მაიკ ტაისონი გახლავთ.

გასაკვირი კია: ოდესღაც ეს კუნთმაგარი ჯეელი ქონის გროვად ქცეულა. ჩანს, თავს აღარ უვლის.

ისე, როგორ მოუვლის, როცა, რომელ ქალსაც არ დაეზარა, სასამართლოში უჩივლა, გამაპატიურაო.

გეხსომებათ, ტაისონმა ბლომად წლები გაატარა ციხეში.

ახლა კი ასე გამოიყურება...



სემ ალარდაისი



ჯიმი ბალარდი



მარკუს ჰენმანი

# როცა ბურთი ისვენებს

**ჟურნალ FOUR FOUR TWO-ს რუბრიკა — „ჩემი საიდუმლო ნაკლი"— მკითხველს ფეხბურთელების ჰობიზე მოუთხრობს. მოდით, ვნახოთ, ვინ რითი ერთობა, როცა ბურთს არ დასდევს...**

***მარკუს ჰენმანი***, „რედინგის" გიუმაჟი ამერიკელი მეკარე: ჰენმანი თავისუფალ დროს ავტომობილებს საკუთარი ხელით აწყობს.

„ბევრი ფეხბურთელი ძვირფას ავტომობილს ყიდულობს, მაგრამ ეს საჩემო საქმე არ არის. მირჩევნია, თვითონ ავაწყო. ერთი სიამოვნებაა, როცა მანქანაში ეჩხირკედელაობ.

ტკბილად მახსენდება ჩემი ავტოფარეხი სიეტლში, სადაც მეგობართან ერთად ყუთ ლუდს დავიდგამდით, როკს ვუსმენდით და ავტომობილს ვშლიდით. ნებისმიერს შეუძლია შეიძინოს მზა მოდელი, მე კი ყოველთვის უნიკალური, საკუთარი ხელით აწყობილი მანქანა მყავდა. როცა ვარჯიშზე მივდივარ, რედინგელი თანაგუნდელები ჩემი ავტომობილის ხმას შორიდანვე სცნობენ. ძრავა ღმუის, მე თამბაქოს ვღეჭავ და მუსიკაც ბოლომდეა აწეული. ეს ყველაფერი ბერქშირის მთელ მოსახლეობას აფრთხობს."

ავტომობილების გარდა, ჰენმანი ცეცხლსასროლ იარაღზე და ასაფეთქებლებზეა გადარეული. საზღვაო ქვეითობაზე ოცნებობდა, მაგრამ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ფეხბურთელობა არჩია. ამჟამად იარაღის კოლექცია აქვს და მათ შორის, ყველაზე მეტად, M16 და M4 კარაბინებით იწონებს თავს.

ჰენმანის თანაგუნდელი ***ჯეიმს ჰარპერი*** მაგიდის ჩოგბურთით ერთობა: „ტელევიზორში სპორტის ყურება ან გაზეთების კითხვა არ მიყვარს. ვარჯიშისგან თავისუფალ დროს მაგიდის ჩოგბურთს ვთამაშობ. მე და კლუბის ერთ-ერთ მწვრთნელს ტრადიცია გვაქვს — ყოველდღე რამდენიმე პარტია უნდა მოვასწროთ.

ვიცი, რომ სხვა კლუბებშიც არიან ჩოგბურთის მოყვარულები — მაგალითად, რიო ფერდინანდი — მაგრამ მასთან არასოდეს მითამაშია და ვერ გეტყვით, ვჯობებ თუ არა".

„იფსვიჩის" ყოფილი მოთამაშე ***დარენ კარი*** ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე მოსვირინგებული ფეხბურთელია: „12 წლიდან გამიტაცა ამ საქმემ, როცა „შრიუსბერის" მობურთალს ფეხზე უელსის დროშა დავუნახე. მეც გადავწყვიტე სვირინგის გაკეთება და დავიფიცე, რომ მხოლოდ ერთს დავიხატავდი, მაგრამ პირობა ველარ შევასრულე.

ახლა ტანზე უკვე 12 ნახატი და კიდევ რამდენიმე ახალი პროექტი მაქვს. ეს უკვე სისხლში გამიჯდა და არ ვიცი, როდემდე გაგრძელდება."

„ნიუკასლის" ყოფილი ფეხბურთელი ***ნოლბერტო სოლანო*** პრემიერლიგაში თამაშისას თავისუფალ დროს საყვირზე უკრავდა: „ყოველთვის ვცდილობდი, რომ უფრო აზრიანად გამეტარებინა დრო და სხვებივით „ფლეისთეიშენს" არ ვეჯაქი.

ჯერ გოლფმა გამიტაცა, მაგრამ რთული გამოდგა, თან ინგლისში საგოლფე ამინდი იშვიათად იყო. ამიტომ გადავწყვიტე საყვირზე დაკვრა. ეს განტვირთვაში მეხმარება და სამხრეთ ამერიკასაც მაგონებს.

ჯერ კიდევ სკოლაში სიარულისას მინდოდა მუსიკალური ინსტრუმენტების ათვისება. საქსაფონზე დაკვრის სწავლა მსურდა, მაგრამ მხოლოდ საყვირი ჰქონდათ.

იმ კლუბებში, სადაც კი მითამაშია, ჩემს გატაცებას სხვადასხვანაირად უყურებდნენ. არა მგონია, რომ დევიდ ოლირის და ბობი რობსონს ეს მოსწონდათ, მაგრამ დიონ დაბლინთან კარგი დუეტი გავაკეთე. მე და გარი სპიდიც (გიტარაზე უკრავს) ხშირად ვართობდით თანაგუნდელებს, ოღონდ ერთი პრობლემა გვქონდა: მას როკი უყვარს, მე კი სალსა და ამ ორის შერწყმა რთული იყო."

სოლანოზე არანაკლებ შემოქმედია ***ბარი ჰეილსი***, „ფულემის", „მილუოლის", „პლიმუთის" და „ბრისტოლის" ყოფილი ფორვარდი.

„ძალიან მიყვარს სიმღერა — თქვა ჰეილსმა — და სულაც არ მაღარდებს, რომ ზოგს ჩემი ხმა არ მოსწონს. სიმღერა „ბრისტოლში" თამაშისას დავიწყე, როცა ყოველ პარასკევს კარაოკეში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.

ყველაზე ხშირად ავტომობილში, გასახდელში და კლუბის ავტობუსში ვმღერი. ჟან ტიგანას და კრის კოულმენს („ფულემის" მწვრთნელები) პრეტენზიებით არასოდეს მოუმართავთ. ყოველ შემთხვევაში, არ უთქვამთ, მოკეტეო. კოულმენი დიდი მელომანია და რაკი არაფერს მეუბნებოდა, არც ისე ცუდი ხმა მქონია, როგორც ზოგს მიაჩნდა".

***ნილ რადოკი***, მეტსახელად „მჩხავი", პრემიერლიგის ერთ-ერთი უუხეშესი მცველი, რომელმაც კარიერა ხუთი წლის წინ დაასრულა: რადოკს ინტერიერის დიზაინი, სახლის მოწყობა-გალამაზება იტაცებს.

„დიზაინით მაშინ დავინტერესდი, როცა სოფელში ძველი სახლი ვიყიდე და სულ გამოვაცარიელე — თქვა „მჩხავმა" — შემოქმედებისკენ მისწრაფება ჩემში მუდამ იყო. სკოლაში ჰუმანიტარულ საგნებს კარგად ვსწავლობდი, მაგრამ გაკვეთილებისთვის ხშირად ვერ ვიცლიდი, რადგან უკვე „მილუოლთან" კონტრაქტი მქონდა.

ბევრ მეგობარს საუცხოოდ მოწყობილი სახლი აქვს. მე მათ არ ვბაძავ და საკუთარ დიზაინს ვქმნი. ხალხს ალბათ გაუკვირდება ჩემ დიზაინერობას რომ შეიტყობს.

ძალიან მიყვარს ხეზე მუშაობა. „ხის ფეხბურთელს" მეძახდნენ და არც მწყინდა, რადგან ასეც იყო. ჩემს ამჟამინდელ პროექტებში ხე მთავარი მასალაა, დიზაინერობა კი თავისებური თერაპიაა. კარიერის დასრულების შემდეგ საკუთარი თავი ამ საქმეში ვიპოვე".

„საუთჰემპტონის" ყოფილმა ნორვეგიელმა ლეგიონერმა ***კლაუს ლუნდეკვამმა*** გუნდი მაშინაც კი არ შეიცვალა, როცა პრემიერლიგიდან გავარდნენ. მიზეზი — ოკეანის სიყვარული. „ოკეანე ყოველთვის ჩემი კარგი მეზობელი იყო — თქვა ლუნდეკვამმა — მე ოსტევილეში გავიზარდე. ეს პატარა კუნძულია ნორვეგიის ჩრდილოეთით და ბავშვობის მოგონებებიც წყალთან და ნავებთანაა დაკავშირებული. როცა კარიერის ინგლისში გაგრძელება შემომთავაზეს, ისეთ კლუბში თამაში მოვითხოვე, რომელიც ოკეანის ნაპირზე იქნებოდა. საუთჰემპტონი ამ მხრივ იდეალური ადგილი იყო.

გამიმართლა, რომ აფროსნობით აქაც ვერთობი. შვედური ნავი „ჰალბერგ რესი" მყავს და ცნობილ ინგლისელ სპორტსმენებს ვხვდები. ეს ქალაქი ხომ ბრიტანეთის აფროსნობის ცენტრია. ჩემი აზრით, ნავით გასეირნება დასვენების საუკეთესო საშუალებაა.

მადრიდის „რეალის" მცველი ***მიჩელ სალგადოც*** ლუნდეკვამივით ტალღებს ეთამაშება, მაგრამ მას ნავი კი არა, სერფინგი იტაცებს.

„ეს მხოლოდ სპორტი კი არა, ცხოვრების სტილია, მენტალიტეტია — ამბობს ესპანელი — ჩვენ, გალისიელებს, ზღვის სიყვარული სისხლში გვაქვს.

პლაჟებზე სერფინგისტებს ვხედავდი, მაგრამ მაშინ არ მეცალა, რადგან ფეხბურთისგან ბევრი თავისუფალი დრო არ მქონდა. ვინ იცის, ბურთზე ადრე დაფა რომ ამეღო...

უკვე მოვიარე მაროკოს, ინგლისის და პორტუგალიის სანაპიროები და ურიგო არ იქნებოდა, ავსტრალიის ნაპირებზეც რომ მომესინჯა ძალები. მართალია, იქ ზვიგენები არიან, მაგრამ ესაც თავისებური რისკი და თავგადასავალია.

როცა ვსერფინგობ, სჯობს „რეალზე" და ფეხბურთზე არ მელაპარაკონ, რადგან ეს ორი სახეობა ერთმანეთისგან ძალიან შორსაა.

ჩემი ოცნებაა სახლი ჰავაის კუნძულებზე, სადაც მე და ჩემი შვილი ყოველდღე ტალღებზე გავერთობით."

„ფულემის" ნახევარმცველი ***ჯიმი ბალარდი*** არც აფრიანი ნავით დასეირნობს და არც სერფინგითაა გატაცებული — ჯიმის თევზაობა უყვარს.

„უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ მეთევზე ბალარდი ფეხბურთელ ბალარდის ბევრად სჯობს, ოღონდ ეგაა, რომ თევზის დაჭერაში ფულს არ მიხდიან — თქვა ფულემელმა — მუხლის ტრავმის შემდეგ ანკესი ჩემი ერთადერთი გართობა იყო.

თევზაობას რვა წლიდან მივდევ, როცა მამამ ბამბუკის ანკესი მაჩუქა. პირველივე დღეს ნადავლით დავბრუნდი სახლში და მას აქეთ ამ საქმეს აღარ ვეშვები".

ფეხბურთელებს ჰყავთ მწვრთნელები და გართობა-დასვენება მათაც სურთ. მაგალითად, ტერი ვენეიბლზი ნოველებს და პიესებს წერს, თან არცთუ ურიგოდ მღერის.

ევრო 96-ის წინ ინგლისის ნაკრებისთვის მიძღვნილი, ვენეიბლზის შესრულებული სიმღერა კარგა ხანს ტრიალებდა ჰით-აღლუმების ათეულებში.

„ბლექბერნის" თავკაც ***სემ ალარდაისს*** დარტსი იტაცებს.

„ერთხელ დაიდსბერიში პაბში გამართულ შეჯიბრზე მიმიწვიეს. უამრავი ხალხი მონაწილეობდა. მაშინ ერთმა საუთჰემპტონელმა ახალგაზრდამ მომიგო. „ნიუკასლში" მუშაობისას სტივ ჰარპერს და ჯეიმს მილნერს ვეჯიბრებოდი — გაიხსენა ალარდაისმა — ამ ბიჭებს დიდი ნიჭი აქვთ და დარტსში ბევრს მიაღწევდნენ".

**ვაჟა ხუციშვილი**



მიჩელ სალგადო



ჯეიმს ჰარპერი



ნოლბერტო სოლანო

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაიკლ ჯექსონი



კამერონ დიასი



„ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი და ადრიანო ჩელენტანო



მუსოლინი და ჰიტლერი

# ჰიტლერი გაზპრომს ვერ მოესწრო
## დედოფალს წელი ასტკივებია

**ადოლფ ჰიტლერი, როგორც იტყვიან, საფლავში გადატრიალდებოდა, როცა გაიგებდა, რომ მის ფავორიტ კლუბს მაისურაზე რუსული ასოები აწერია და საერთოდაც, რუსული ფულით იკვებება. დიახ, სისხლიანი ტირანი გელზენკირხენის „შალკეს“ ქომაგი იყო და 1933-1945 წლებში ეს კლუბი ექვსჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი — ის წლებია, ჰიტლერი გერმანიის მთავარკაცი რომ გახდათ. ახლა კი, ბედის ირონიაა, აბა, რა არის — „შალკეს“ „გაზპრომი“ სპონსორობს. ფაშისტური გერმანიის პროპაგანდისტს იოზეფ გებელსს ერთხელ დაუწერია — „ხალხისთვის თამაშის მოგება უფრო მეტია, ვიდრე აღმოსავლეთის რომელიმე ქალაქის აღება“. მიხვდით, წინა ნომრის მასალის ერთგვარი გაგრძელება გვაქვს — ოღონდ, ამჯერად მხოლოდ პოლიტიკოსებზე არ ვისაუბრებთ: საინტერესოა, ვის გულშემატკივრობენ ჰოლივუდის ვარსკვლავები, ცნობილი მომღერლები, სპორტის სხვა სახეობების გამორჩეული სახეები. მაშ, ასე, წავედით...**



პენელოპა კრუზი

ანგელა მერკელის წინამორბედი, გერმანიის ექს-კანცლერი **გერჰარდ შრიოდერი** „დორტმუნდის“ გულშემატკივარია და როგორ უმართლებდა გუნდიც, არა? სწორედ შრიოდერის კანცლერობისას გრანდობდა „დორტმუნდი“.

**მიხაელ შუმახერი** „კიოლნის“ ფანია და თვითონაც შშვენივრად თამაშობს ფეხბურთს — ყოფილ მეფორმულეს ხშირად უთამაშია ნაირგვარ შოუ-მატჩებზე.

მსოფლიოს ყოფილი პირველმეჩოგნე **ბორის ბეკერი** მიუნხენის „ბაიერნის“ ქომაგია.

იტალიური კლუბების ცნობილ მოტრფიალეებზე ლაპარაკი **ბენიტო მუ ოლინით** დავიწყოთ: ბევრჯერ დაწერილა, აპენინელი ფაშისტი „ლაციოს“ თავგადაკლული გულშემატკივარი იყოო, თუმც თვითონ ბენიტოს უწერია ავტობიოგრაფიულ წიგნში — ჩემი გული „ბოლონიას“ ეკუთვნოდაო.

მუსოლინის ზეობის პერიოდში იტალიის ნაკრები ხომ ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი (1934, 1938) და აბა, მაშინ თითს ვინ დაადებდა ამხელა ფაშისტს, მაგრამ შეფარულად წერდნენ, მსაჯები საეჭვოდ ეხმარებოდნენ „სკუადრა აძურასო“.

ბენიტოს დროინდელი „ბოლონია“ მაჩანჩალა როდი იყო — იმ წლებში რამდენჯერმე გახდა იტალიის ჩემპიონი.

**ადრიანო ჩელენტანო** მილანშია დაბადებული და „ინტერის“ ქომაგია, ხოლო **ტოტო კუტუნიომ** თბილისში ყოფნისასაც თქვა, ჩემი ფავორიტი „მილანიაო“.

**სოფი ლორენი** „ნაპოლის“ ქომაგობს და სტადიონზეც ხშირად უნახავთ...

ესპანეთში ყველაზე თავგადაკლული ფანი, ცხადია, მანოლოა. ან, რაღა ესპანეთში და რატომ მთელ მსოფლიოში არა? დოლგანუყრელი **მანოლო კასერესი**, უკვე 29 წელია, „ვალენსიას“ ქომაგია.

„ვალენსიას“ ფანობენ ჩოგბურთელი **დავიდ ფერერი** და კალათბურთელი **ხუან კარლოს ნავარო**.

„რეალს“ დიდი არმია ჰყავს. მსახიობები **ტომ კრუზი**, **პენელოპა კრუზი**, ტენორი **პლასიდო დომინგო**, მომღერალი **ხულიო იგლესიასი**, ჩოგბურთელები **ხუან კარლოს ფერერო** და **რაფაელ ნადალი**, ასევე იორდანიის მეფე **აბდულა**.

„ბარსელონისტია“ ესპანეთის პრემიერმინისტრი **ხოსე ლუის საპატერო**, რომელმაც ამასწინდელ „ბარსა“ — „რეალის“ (2:0) წინ „სამეფო კლუბის“ დაცვას დასცინა, მაგათ ბებიაჩემიც კი გაუტანს გოლსო. როგორც ჩანს, ეტოოსა და მესის გარდა, საპატეროს ბებიობამდე ვერავინ ქაჩავს.

კატალონიური კლუბი გულში ჩარჩენიათ მეფორმულე **პედრო დე ლა როსას**, ყოფილ ჩოგბურთელ **სერხი ბრუგერას**...

მეორე ბარსელონური კლუბის „ესპანიოლის“ ყველაზე ცნობილი გულშემატკივარი „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ცენტრი **პაუ გასოლი** გახლავთ.

ესპანურ და იტალიურ კლუბებს კიდევ მრავლად ცნობილი ფანები ჰყავთ, თუმც იქაურ პრესას ამაზე გამოკიდება დიდად არ უყვარს. აი, სულ სხვაა, როცა საქმე ბრიტანულ გამოცემებთან გვაქვს...

ამ მხრივ ლონდონის „არსენალი“ ლიდერობს: „მეთოფეთა“ ყველაზე ცნობილი გულშემატკივარი დედოფალი **ელისაბედ II** გახლავთ — თურმე, ძალიან დასწყვეტია გული, „ემირეიტს სტედიუმის“ გახსნას რომ ვერ დასწრებია. ელისაბედ II-ს წელი სტკივებია და ცერემონიალზე მეუღლე, **პრინცი ფილიპი** გაუშვია. ხუმრობაა?! დედოფალს „არსენალის“ ქომაგობის ნახევარსაუკუნოვანი სტაჟი ჰქონია.

„მეთოფეების“ ცნობილი ფანია მსახიობი **კევინ კოსტნერიც**. 2003 წელს კოსტნერს ლონდონში გადაღება ჰქონდა და „ჰაიბერის“ სტადიონზე წავიდა „არსენალის“ საქომაგოდ, მაგრამ როცა გაიგო, მატჩი ბირმინგემშიაო, გაწბილდა. მაინც არ მოისვენა, ვერტმფრენი დაიქირავა და თამაში ნახა.

„არსენალისტია“ ჯგუფ GENESIS-ის მამა, მომღერალი **ფილ კოლინზი**.

„მეთოფეთა“ თოფისკაცა ფანზე, **უსამა ბინ ლადენზე** კი წინა ნომერშიც ვთქვით.

ლეგენდარული ROLLING STONES-ის **მიკ ჯაგერი** მუდამ ცდილობს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩი არ გამოტოვოს.

ჯაგერის დარი ფანი არაა, მაგრამ მაინც „წითელი ეშმაკების“ ქომაგთა არმიაშია **ბრედ პიტიც**.

დაუვიწყარი IN THE ARMY NOW „სტატუს ქვოს“ შესრულებით — ამ ჯგუფის წევრები, მათ შორის, სოლისტი **ფრენსის როსი** „ტოტენჰემის“ ქომაგები არიან.

„დეზებიან მამლებს“ გულშემატკივრობენ ჯგუფ INXS-ის მუსიკოსებიც.

უფრო ცნობილი ფანები ჰყავს „ევერტონს“ — **სილვესტერ სტალონე** და **პოლ მაკარტნი**. „ბითლზის“ ერთ-ერთი მთავარკაცი სწორედ იმ უბანში დაიბადა, სადაც „ევერტონის“ სტადიონია. „ევერტონის“ ქომაგია... **უეინ რუნიც**. მერე რა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობს, რუნი „გუდისონ პარკზე“ გაიზარდა, იქ დაიგდო სახელი.

„ასტონ ვილას“ გულშემატკივართა შორის არიან მსახიობი **ტომ ჰენკსი** და როკ-მომღერალი **ოზი ოზბორნი**. აი, კიდევ ერთი ჰოლივუდელი **ჰიუ გრანტი** კი „ფულემის“ ფანია.

„მანჩესტერ სიტი“ უყვარს „ოაზისს“. ამ როკ-ჯგუფის მომღერლებზე, **ძმებ გალაჰერებზე** ადრეც დაგვიწერია „სარბიელში“ — მიზეზი, ცხადია, გიორგი ქინქლაძეა.

ექს-ჯეიმს ბონდ **ტიმოთი დალტონს** „დერბი ქაუნთი“ უყვარს. კიდევ? 1986 წლის მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირ **გარი ლინეკერს** „ლესტერი“, მსახიობ **კამერონ დიასს** „ბრენტფორდი“, „არსენალის“ ყოფილ მეგოლე **იან რაიტს** „მილუოლი“, მომღერალ **რობი უილიამსს** „პორტ ვეილი“, **მაიკლ ჯექსონს** „ექსეტერი“ — რომელიც ინგლისის რანგით მეხუთე ლიგაში თამაშობს.

„ნიუკასლი“: ინგლისის ექს-პრემიერმინისტრ **ტონი ბლერის** გარდა, „კაჭკაჭების“ კიდევ ორი მოყვარული ვიცით — მომღერალი **სტინგი** და ჯგუფ PET SHOP BOYS-ის სოლისტი **ნილ ტენანტი**, რომელმაც ერთი სიმღერაც უძღვნა ფეხბურთს.

**ილია ნანობაშვილი**

# ცუდად დაუსტვენ და სახლში დარჩები

**ამჟამად** იტალიის ერთ-ერთ ყველაზე სახელიან არბიტრ ნიკოლა რიცოლის მიაჩნია, რომ სერია A-ში მსაჯობა უმადური და საშინლად მძიმე სამუშაოა.

„თუ რამე შეგეშალა, მეორე დღეს სახლიდან ცხვირი არ უნდა გამოყო" — თქვა 37 წლის არბიტრმა „გაძეტა დელო სპორტთან". ინტერვიუში.

„ამ ქვეყანაში სპორტული კულტურა უნდა შეიცვალოს — მსაჯის გადაწყვეტილება საკამათო არ უნდა გახდეს.

იტალიაში წაგებას იმდენად ვერ იტანენ, რომ ერთადერთი და იოლი გზა მარცხის ასახსნელად, მუდმივად აქვთ — თითს არბიტრისკენ იშვერენ.



ფრანჩესკო ტოტი და ნიკოლა რიცოლი

აი, მაგალითად, შოტლანდიაში ჩვეულებრივი ამბავია, რომ გლაზგოური დერბი გლაზგოელმა იმსაჯოს, აქ კი დერბიში ეს წარმოუდგენელია.

რამე შეცდომა და მეორე დღეს სახლში უნდა გამოიკეტო.

ჯერ კიდევ არსებობენ იტალიაში ფეხბურთელები, რომლებიც თამაშის დაწყებამდე გეუბნებიან: „ცალ მხარეს არ დაუსტვინო". მათ ჰგონიათ, რომ ქვეცნობიერად ჩვენ მაინც დიდ კლუბებს ვემხრობით და პატარებს ეჩაგრავთ.

მსაჯი ნეიტრალურია, მაგრამ შესაძლოა, ვინმეს სასარგებლოდ ან საზიანოდ შეცდეს და კარგად ვიცი, რომ ნებისმიერი შეცდომა შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

მაგალითად, მე არასწორად მოვიქეცი, როცა „რომას" კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი ჩემი შეურაცხყოფისთვის არ გავაძევე.

ნამატჩევს, გამეორებისას გამოჩნდა, რომ მე მლანძღავდა, მაგრამ იმ ეპიზოდში საჯარიმო მოედნის ცენტრში ადგილი ცუდად შევარჩიე და კარგად ვერ დავინახე, რა მოხდა...

მეგონა, რომ სხვა რამეზე იყო გაბრაზებული, არადა, თურმე მე მაგინებდა...

ისიც კარგად მესმის, რომ შეცდომას შეიძლება ჩემი კარიერაც შეეწიროს. მსაჯის საქმე წასულია, როცა მას აღარ ენდობიან...

ტოტის ამბის შემდეგ უფრო ყურადღებიანი გავხდი და პიერლუიჯი კოლინამაც (მსაჯების უფროსი). ამიხსნა, თუ რატომ ჩამომაცილა მას შემდეგ რამდენიმე მატჩს...

მინდოდა, რომ ტოტის პირადად მოებოდიშა ჩემთვის და მან ეს გაზეთის საშუალებით გააკეთა. როცა მოგვიანებით ერთმანეთს კვლავ მოედანზე შევხვდით, ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარა".

ნიკოლა რიცოლიმ ფეხბურთელების თაღლითობაზეც თქვა: „სიმულანტობა მანამდე გაგრძელდება, სანამ ფეხბურთელი არ შეიგნებს, რომ ის მე კი არა, თავის გულშემატკივარსაც ატყუებს, რომელმაც მატჩზე დასასწრებად ფული გადაიხადა...

ზოგი ცნობილი მოთამაშე მასზე ახალგაზრდა მსაჯზე ისე იქაჩება ხოლმე, რომ ფანებსაც აგიჟებს და აგულიანებს არბიტრის წინააღმდეგ. ეს კი ძალიან ცუდი მაგალითია სხვებისთვის...

მსაჯებთან ურთიერთობაში სამაგალითონი რობერტო ბაჯო და პაოლო მალდინი იყვნენ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ალექს ფერგიუსონიჩი

## მანჩესტერში პარტიზანები მომრავლდნენ



ზორან ტოშიჩი

**„მანჩესტერმა"** ბელგრადის „პარტიზანისგან" ორი სერბი ფეხბურთელი იყიდა და წყვილში 17 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

21 წლის ზორან ტოშიჩი და 17 წლის ადამ ლიაიჩი შემტევი ნახევარმცველები არიან.

გარიგება შარშან შემოდგომაზე შედგა და კლუბები კონტრაქტის გასაფორმებლად სატრანსფერო ფანჯრის გახსნას ელოდნენ.

ტოშიჩი „მანჩესტერში" დარჩება და ალექს ფერგიუსონმა თქვა, რომ სეზონის მეორე ნახევარში ბიჭი ძირითად შემადგენლობას გაუშინაურდება.

ლიაიჩი ისევ „პარტიზანში" ითამაშებს, 2009 წელს იქ გაატარებს და 2010-ის იანვარში ისიც ინგლისში გადაბარგდება.

ზორან ტოშიჩმა კარიერა „პროლეტარში" დაიწყო, „ბანატში" გააგრძელა, 2007 წლიდან კი „პარტიზანშია", სადაც 46 მატჩში 14 გოლი გაიტანა.

მისი სანაკრებო დებიუტი 2007-ის სექტემბერში ფინეთთან შედგა და მას შემდეგ ეროვნული გუნდის მაისურა 12-ჯერ მოირგო.

„რამდენიმე წელი ვაკვირდებოდით ტოშიჩს და ამ ხნის განმავლობაში ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდა — თქვა ალექს ფერგიუსონმა — ის განაპირა ნახევარმცველია და ამ პოზიციაზე ყოველთვის გვყავდა კარგი მოთამაშეები...

ვიმედოვნებ, რომ მალე შეეგუება პრემიერლიგას. ლიაიჩიც ნიჭიერია და ერთ წლის შემდეგ მასაც იხილავთ „მანჩესტერის" ფორმაში. ამით ჩვენი საიანვრო ტრანსფერები დასრულებულია".

„უკეთეს საახალწლო საჩუქარს ვერც ვინატრებდი — გაიხარა ტოშიჩმა — გულმოდგინედ ვშრომობდი იმის დასამტკიცებლად, რომ „მანჩესტერში" თამაშის ღირსი ვარ და ჩემი ადგილიც გამოჩნდა".

ადამ ლიაიჩმა „პარტიზანში" ათ მატჩში ორი გოლი გაიტანა, სერბეთის 21-წლამდელთა ნაკრებში კი ორ შეხვედრაში — ერთი.

**ვაჟა ხუციშვილი**

## კვირის ქრონიკა

### სამუშაო დაცვაში: ხელფასი 5 მილიონი

**„მანჩესტერ სიტიმ"** „ჩელსის" ფეხბურთელი უეინ ბრიჯი 12 მილიონ გირვანქად იყიდა და მსოფლიოში ყველაზე მაღალხელფასიან მცველად აქცია. სეზონში ბრიჯი 5 მილიონ 200 ათას გირვანქას მიიღებს, კვირაში 30-ჯერ მეტს, ვიდრე „ჩელსიში" ჰქონდა.

28 წლის ინგლისელმა ლონდონურ კლუბში 70-მდე მატჩი ითამაშა მას შემდეგ, რაც ძირითად შემადგენლობაში მას ადგილი ეშლი კოულმა წაართვა, წასვლა გადაწყვიტა

„სიტის" არაბი პატრონები მწვრთნელ მარკ ჰიუზს გუნდის გასაძლიერებლად იანვარში 100 მილიონს შეპირდნენ.

### რატომ არ გაიზიარეთ ბებიაჩემი?!

**კლუბის** საჯარო კრიტიკის გამო „ჩელსიმ" დიდიე დროგბა 100 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

კოტდივუარელმა ფორვარდმა თქვა, რომ მწვრთნელისგან, თანაგუნდელებისგან და კლუბის შეფებისგან მხარში დგომა ვერ იგრძნო, როცა ამას წინათ ბებია გარდაეცვალა. გარდა ამისა, სკოლარის ტაქტიკა და ძირითადი შემადგენლობის შერჩევა დაუწუნა.

ამან, რა თქმა უნდა, ბრაზილიელიც გააბრაზა და „ჩელსის" აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონიც, რომელმაც ფეხბურთელს კოტდივუარში დაკრძალვაზე წასასვლელად თვითმფრინავი „ათხოვა".

### ავატი მალიორკას კარში

**ისრაელის** ნაკრების მეკარე დუდუ ავატი „დეპორტივოდან" „მალიორკაში" გადავიდა, რომელიც პრიმერაში დასარჩენად იბრძვის.

კუნძულელებმა ზედიზედ ექვს მატჩში 14 გოლი გაუშვეს და 31 წლის ავატსაც კარის დასაცავად ამიტომ უხმეს. „როგორც კი „მალიორკასგან" წინადადება მივიღე, უმალ დავთანხმდი — თქვა მეკარემ, ვისაც „დეპორის" შემადგენლობაში ამ სეზონში ერთხელაც არ უთამაშია — მინდა, რომ რაც შეიძლება მალე გავიცნო ახალი თანაგუნდელები და ვარჯიშს შევუდგე".

### ერედივიზიონში მოხსნა გასამდა

**არნემის** „ვიტესის" მწვრთნელი 60 წლის ჰანს ვესტერჰოფი მოხსნეს, რადგან გუნდმა პირველი წრე მე-15 ადგილზე, დაასრულა.

მისი შემცვლელი ჯერჯერობით არ დაუსახელებიათ, თვითონ კი ექვსი თვის წინ აად დე მოსი შეცვალა.

ეს უკვე მესამე მოხსნაა ჰოლანდიის ჩემპიონატში. შემოდგომაზე „როდას" თავკაცი რაიმონდ ატეველდი და „უტრეხტის" მწვრთნელი კიმ ვან ჰანეგემი გაათავისუფლეს.

ჰანს ვესტერჰოფს თავის დროზე „აიაქსში" და პსვ-შიც უმუშავია.

### ბუნდესლიგა დანტესაც დაიტევს

**მიონხენგლადბახის** „ბორუსია" მეორე წრისთვის შემადგენლობის გაძლიერებას აგრძელებს და ლიეჟის „სტანდარდიდან" ბრაზილიელი მცველი დანტე იყიდა.

დანტემდე გლადბახელებმა ბელგიელი მეკარე ლოგან ბეილი „გენკიდან" გადაიბირეს, ნახევარმცველი ტომას გალაშეკი ჩეხური „ბანიკიდან" და კანადელი ფორვარდი პოლ სტალტერი „ტოტენჰემიდან", რომელიც „ფულემში" იყო განათხოვრებული.

### ქურდებმა საათი იკისრეს

**„ნაპოლის"** სლოვაკ ლეგიონერ მარეკ ჰამშიკს 25 ათას გირვანქიანი „როლექსის" საათი ფანებმა უპოვეს და დაუბრუნეს.

ფეხბურთელი ორი კვირის წინ ნეაპოლში დააყაჩაღეს, როცა საკუთარ ავტომობილში იჯდა.

საათის გარდა სახლის გასაღები, ჯიბის ფული და საკრედიტო ბარათებიც წაიღეს. კლუბის პრეზიდენტი შეპირდა, ახალ საათს გიყიდიო, მაგრამ ქომაგებმა დაასწრეს. თავისი კავშირებით ქურდებზე გავიდნენ და ჰამშიკს „როლექსი" მიართვეს.

### წითელი რეკორდი

**ინგლისის** მეშვიდე დივიზიონის „ჩიპენჰემ თაუნის" თავდამსხმელი დევიდ პრადი მოედნიდან მესამე წამზე გააძევეს. სასჯელის მიზეზი „ბეშლის" ფეხბურთელზე ვარდნაში გაშლილი ფეხებით წასვლა იყო. ამაზე სწრაფადან ფეხბურთელი მსოფლიოში არასოდეს გაუძევებიათ.

ძველი რეკორდი ეკუთვნოდა იტალიური „ბოლონიას" მოთამაშე ჯუზეპე ლორენსოს, რომელიც მეათე წამზე გააძევეს მეტოქისთვის ხელის გარტყმისთვის. ის ამბავი სერია A-ში მოხდა 1990 წელს.

სრულად ინგლისის რეკორდი კი აქამდე ეკუთვნოდა „შეფილდ უენსდეის" მეკარე კევინ პრესმენს, რომელმაც 2000 წელს საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და მე-13 წამზე მიაბრძანეს მოედნიდან.

უცხოური ფეხბურთი

# ნაბუშარი და საპუტინო ფული

**წინა „სარბიელში" ინგლისური პრემიერლიგის ათი კლუბის მეპატრონეები წარმოგიდგინეთ. აქ კი მომდევნო ათეულს გაგაცნობთ...**



## სტოკი

ჯერ კიდევ ჯეელობაში **პიტერ კოტსი** „მაზავდა" ფეხბურთის მატჩებზე და ყველაფერზე, რაზეც კი ფულის მოგება-წაგება შეიძლებოდა.

ამ საქმემ ისე ჩაითრია, რომ საბუქმეიკერო კანტორა Bet365 გახსნა, რომელმაც უზარმაზარი ფული მოუტანა და 1989 წელს „სტოკის" აქციათა საკონტროლო პაკეტი იყიდა.

დიდი ვერაფერი პატრონი გამოდგა, რადგან კლუბზე ზერელედ ზრუნავდა და „სტოკი" მესამე დივიზიონში გავარდა.

1997-ში, კოტსის მოძულე ფანებმა რევოლუცია მოაწყვეს. „წაეთრიე"— უღრიალეს კლუბის პატრონს და ისიც წავიდა.

ორი წლის შემდეგ „სტოკი" ისლანდიელ ბიზნესმენთა კორპორაციამ შეიძინა, მაგრამ ზარალში წავიდა და 2006-ის მაისში კლუბი კვლავ პიტერ კოტსმა მილიონ 700 ათას გირვანქად იყიდა. თან ვალებიც — სამ მილიონზე მეტი — გაისტუმრა.

გასულ სეზონში „სტოკმა" პრემიერლიგის საგზური მოიპოვა და ქომაგებსაც კოტსისკენ გული მოუბრუნდათ. ამჟამად ის ინგლისურ ფეხბურთში მოტრიალე საქმოსანთა შორის სიმდიდრით 25-ეა.




## ტოტენჰემი

კლუბის აქციათა 82 პროცენტს კომპანია ENIC ფლობს, რომელიც სასტუმროების და სპორტული სამოსის ბიზნესშია გარეული.

ამ კომპანიის მთავარკაცები არიან 72 წლის **ჯო ლუისი** და 47 წლის **დანიელ ლევი**.

ლუისს უყვარს გოლფი, ცხოვრობს ამერიკაში და 2001-ში ტაიგერ ვუდსთან ერთი პარტიის სათამაშოდ მილიონნახევარი გირვანქა გადაიხადა.

ჯო ლუისის საქმიანი პარტნიორები არიან ირლანდიელი ვერმოტ დეზმონდი, ჯონ მაგნირო და ჯეი მაკმანუსი.

ამ ოთხეულს ძალიან უნდა „მანჩესტერის" ყიდვა, რომლის აქციათა ათ პროცენტს უკვე განაგებენ.

მათ ხელშია ბერძნული აეკ-ის აქციების 43, „ბაზელის" 11, „სლავიას" 96, გლაზგოს „რეინჯერსის" 20, და „ვიჩენცას" 99 პროცენტი.

დანიელ ლევი, ამჟამად „ტოტენჰემის" თავმჯდომარე, კი ადრე „რეინჯერსის" დირექტორთა საბჭოს შეფი იყო. მას წილი აქვს „უორნერ ბრაზერსშიც". თავის დროზე ამ კინოკომპანიას ცნობილ სერბ მსახიობთან, გოიკო მიტიჩთან კონტრაქტის გაფორმება სურდა, მაგრამ იდეოლოგიურ მოსაზრებათა გამო მიტიჩმა ჰოლივუდელობა იუარა.




## პორტსმუთი

2006 წლიდან „პორტსმუთი" ებრაელი **ალექსანდრ გაიდამაკისაა,** რომელიც საფრანგეთის და ისრაელის მოქალაქეა და ინგლისში ცხოვრობს.

მას საშას ეძახიან და ზოგს ეს მართლა მეტსახელი ჰგონია.

32 წლის გაიდამაკი „პორტსმუთის" გარდა ისრაელში სამოყვარულო კლუბს ფლობს, ვირჯინიის კუნძულებზე კი ოფშორულ კომპანიას.

ბავშვობიდანვე სიმდიდრით განებივრებულ საშას, მამამ არკადიმ, კლუბი საჩუქრად უყიდა.

მოსკოვში დაბადებული არკადი გაიდამაკი საბჭოთა კავშირიდან ისრაელში ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევის მმართველობის დროს წავიდა. ისტორიული სამშობლოთი მაინცდამაინც ვერ მოიხიბლა და საფრანგეთში გადაბარგდა. იყო ქვისმთლელი და მებაღე, მერე კი ფული რომ მოიგდო, თარჯიმანთა ბიურო გახსნა და ძირითადად, „საიუზიდან" ჩასულ დელეგაციებს ემსახურებოდა.

48 წლამდე ცხოვრობდა საფრანგეთში, სანამ იარაღის უკანონო შენახვაში და გადასახადების მიჩქმალვაში არ ამხილეს. დამქაშებმა დროულად შეატყობინეს საფრთხე და ისრაელში გადაიხვეწა. ფრანგული პოლიცია მის თავს ითხოვდა, მაგრამ არ გადასცეს.

იერუსალიმში ფეხბურთის კლუბი „ბეითარი" იყიდა და თან ებრაულ ნაციონალისტურ და რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდა.

2004 წელს გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი" შეიძინა, ჟურნალისტები დაითხოვა, ახალი გუნდი შეკრიბა და პროპუტინურ სტატიებს აწერინებდა.

2007-ში ისრაელში პარტია შექმნა — „სოციალური მართლმსაჯულება" — და წლეულს იერუსალიმის მერის არჩევნებში დამარცხდა. საარჩევნო კამპანიისას გაჰკიოდა, უმალ მე მოვკვდები, ვიდრე იერუსალიმში გეი-აღლუმის გამართვის ნებას მივცემო.

## მიდლსბრო

**სტივ ჯიბსონი** მიდლსბროს მუშათა ოჯახის შვილია და საკუთარი გუნდის ფანებთან გლეიზერივით პრობლემები არ აქვს. მსოფლიოს მდიდარ ადამიანთა ცხრილში 644-ე ადგილზეა.

ბავშვობიდანვე „მიდლსბროს" ფანი, 26 წლისა უკვე კლუბის აქციონერი იყო და საბოლოოდ, ხელში 90 პროცენტი ჩაიგდო.

მისი ფულისა და მოთამაშე-მწვრთნელის ბრაიან რობსონის წყალობით, „ბორო" პრემიერლიგაში (1995) ალზევდა და მას შემდეგ ანგარიშგასაწევ გუნდად იქცა. ორჯერ ლიგის, ერთხელ კი ასოციაციის თასის ფინალი წააგო. კლუბმა ისტორიაში ერთადერთი ჯილდო (2004 წელს ლიგის თასი) სტივ მაკლარენის თავკაცობით მოიგო.

სტივ ჯიბსონს ეკუთვნის სატრანსპორტო კომპანია Bulkhaul.



## ვესტ ბრომვიჩი

მთავარი აქციონერია **ჯერემი პისი** — საფონდო ბირჟის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაკლერი მსოფლიოში. კლუბში 2000 წლიდანაა და 2002-ში „ვესტ ბრომვიჩის" თავმჯდომარე გახდა. იმავე სეზონში გუნდმა პრემიერლიგის საგზური მოიპოვა 16-წლიანი შესვენების შემდეგ.

## სანდერლენდი

კლუბს პატრონობს კონსორციუმი Drumaville. დრიმავილი სოფელია ირლანდიაში, დონეჰალის საგრაფოში და კონსორციუმსაც სახელი მის საპატივცემულოდ დაარქვეს.

Drumaville-ში ათი ბიზნესმენია გაერთიანებული და მათ შორისაა ირლანდიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი **ნაილ ქუინი**.

2006 წლის ივლისში კონსორციუმმა „სანდერლენდის" აქციების 90 პროცენტი იყიდა.



## მანჩესტერ იუნაიტედი

**მალკოლმ გლეიზერმა** საქმოსნობა „ტრაილერების პარკების" შეძენით დაიწყო. ესაა სახლები ბორბლებზე, რომლებშიც ყველაზე უქონელი ამერიკელები ცხოვრობენ.

ებრაელი იუველირის ბიჭმა მოგვიანებით იყიდა თითქმის გაკოტრებული ნავთობკომპანია და თან ვისგან — ბუშების ოჯახისგან. კომპანია გლეიზერის ხელში ნელ-ნელა წელში გაიმართა.

1995 წელს მალკომ გლეიზერმა ამერიკული ფეხბურთის კლუბ „ტამპა ბეი ბუკანერს"-ში 192 მილიონი დოლარი გადაიხადა და მაჩანჩალა გუნდმა მალე ჩემპიონობასაც უწია.

2003 წლიდან გლეიზერი ნელნელა ყიდულობდა „მანჩეტერის" აქციებს და 2005-სთვის უკვე მილიარდნახევარ დოლარად შეფასებულ საკონტროლო პაკეტს დაეპატრონა.

მის ხელში „მანჩესტერს", ძოგვიანებით, მილიარდ დოლარამდე ვალი დაუგროვდა, „ოლდ ტრეფორდზე" კი ბილეთები თითქმის 50 პროცენტით გაძვირდა.

„მანჩესტერის" ფანების საძულველ გლეიზერს 2006 წლის აპრილში ჯანმა უღალატა. მარჯვენა მხარე გაუშეშდა და მეტყველების უნარიც დაკარგა. უმკურნალეს და საავადმყოფოდან გამოწერილს მალევე, მაისში ისევ უკან შებრუნება მოუწია.



## ვესტ ჰემი

69 წლის ისლანდიელი მილიარდერი **ბიორგოლფურ გუდმუნდსონი** პლანეტის ჯიბესქელთა მეორე ასეულშია.

ქონება მილიარდ 100 მილონ დოლარს უკაკუნებს, მაგრამ მსოფლიოს ფინანსურმა კრიზისმა მისი ქვეყანა ისე შეაჯანჯღარა, რომ გუდმუნდსონი „ვესტ ჰემის" დახლზე დადებას აპირებს, რომელიც 2006 წელს შეიძინა.

სამშობლოში რიგით მეორე უმდიდრესი ადამიანია (პირველი მისი შვილია) და „ლადნსბანკის" პატრონია. ეს ბანკიც კაპიტალბრუნვით ისლანდიაში მეორეა, თუმცა ახლა ძალიან უჭირს.

ჯეელობაში გუდმუნდსონი იურიდიული ფაკულტეტიდან ლოთობის გამო გააძევს. გალოთებამდე პროფესიონალი ფეხბურთელი იყო. 30 წლისა რომ შესრულდა, იმკურნალა და ბოთლი ტუჩიდან მოიგლიჯა.

90-იან წლებში შავი ბუღალტერია უპოვეს და 12 თვე ციხე მიუსაჯეს. მაშინ გუდმუნდსონს ერთბაშად 450-მა ადამიანმა უჩივლა.

## უიგანი

**დევიდ ვილანი** — „ბლექბერნის" და „ქრიუს" ყოფილი ფეხბურთელი. ასოციაციის თასის ფინალში (1960) „ბლექბერნმა" „ვულვზთან" 0:3 წააგო და იმ მატჩის პირველ ტაიმში ვილანს ფეხი მოსტეხეს. დღემდე, ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში ეს ერთ-ერთ უსაშინლეს ტრავმად ითვლება. ამის მერე ფეხბურთს თავი დაანება და მოგვიანებით იყიდა კომპანია JJB Sports PLS, რომელიც ოც წელიწადში აქცია სპორტული სამოსის საცალო გაყიდვების გიგანტად, 1995-ში კი „უიგანი" შეიძინა.




## ნიუკასლი

2007 წლის მაისში კორპორაცია Sports Direct-ის მთავარმეწილემ **მაიკ ეშლიმ** „ნიუკასლი" 135 მილიონ გირვანქად იყიდა. ეს კაცი ბრიტანეთის უმდიდრესებში 54-ეა და ორ მილიარდამდე ქონება აქვს.

კომპანია პატრონობს „ნიუკასლს", სპორტული სამოსით ვაჭრობს და ცნობილი ბრენდების მეწილეა. მაგალითად რამდენიმე წლის წინ „უმბრო"-ს აქციების 25 პროცენტი შეიძინა და ამან დიდი მოგება მოუტანა. მერე მისგან აქციები ამერიკულმა „ნაიკმა" გამოისყიდა და ამჟამად დიდ ბრიტანეთში „ნაიკის" პროდუქცია მხოლოდ Sports Direct-ის გავლით იყიდება, ანუ ოფიციალური წარმომადგენელია.

# THE Forbes მძიმეწონიანები

**პოპულარულმა ამერიკულმა გამოცემა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა ფრიად საინტერესო რეიტინგი — მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის უმდიდრესი ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ კლუბს (ან კლუბებს) ფლობენ. ოღონდ, ბოლოდროინდელი ფინანსური კრიზისისას ვინ რამდენი დაკარგა, ამას ვერ მოგახსენებთ**



## 1. ოლეგ დერიპასკა

რუსულ პრემიერლიგაში ახლახან ალზევებული კრასნოდარის „კუბანის“ პატრონის ქონება 28 მილიარდი დოლარია.



## 8. ალიშერ უსმანოვი

რუსეთის კიდევ ერთი წარმომადგენელი 9,3 მილიარდი დოლარის გარდა ლონდონის „არსენალის“ აქციებსაც ფლობს.



## 2. რომან აბრამოვიჩი

მეორე ადგილზეც რუსეთის მოქალაქეა — ინგლისური „ჩელსის“ მფლობელის ანგარიშზე 23,5 მილიარდი დოლარია.



## 4. ამანიო ორტეგა

ესპანური ლა კორუნიის „დეპორტივოს“ მფლობელის ქონება 20,2 მილიარდი დოლარია.



## 6. ფრანსუა პინო

საფრანგეთიდან უმდიდრესთა შორის „რენის“ მფლობელი მოხვდა.

პინოს ქონება „სულ რაღაც“ 0,1 მილიარდით ნაკლებია მეხუთეადგილოსან ალენთან შედარებით და 16,9 მილიარდს შეადგენს.



## 9. ფილიპ ანშუტცი

ამ ათეულის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც ერთდროულად სამი კლუბის აქციების პატრონია — „ლოს ანჯელეს გალაქსის“, ჰიუსტონის „დინამოს“ და შვედური „ჰამარბის“.

ანშუტცის ქონება 8 მილიარდი დოლარია.



## 3. ლაკშმი მიტალი

ინდური წარმოშობის ბიზნესმენი ინგლისში საქმიანობს და „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ პატრონობს.

მის ქონებას 20,5 მილიარდ დოლარად აფასებენ.



## 5. პოლ ალენი

ხუთეულს ოკეანგაღმელი აბოლოვებს — „სიეტლის“ ამერიკელი მფლობელი პოლ ალენი 17 მილიარდი დოლარის პატრონია.



## 7. სილვიო ბერლუსკონი

იტალიის პრემიერ-მინისტრი და „მილანის“ მფლობელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზედა ექვსეულს.

დონ სილვიოს ქონება „ოდენ“ 9,4 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.



## 10. ჯონ ფრედრიკსენი

ტოპ-ათეულის ვიკინგი ბოლოადგილოსანი — ნორვეგიული „ვოლერენგას“ პატრონს 7,99 მილიარდი დოლარი აქვს.

# საყურე მიდის



**ხორვატიის** ნაკრების საყურიანი მწვრთნელი სლავენ ბილიჩი დარწმუნებულია, რომ გუნდს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე გაიყვანს და საკვალიფიკაციო ტურნირის დასრულების შემდეგ ნაკრებიდან წასვლაც უკვე გადაწყვიტა:

„ჯგუფის ლიდერ ინგლისის დაწევის და გადასწრების შანსი კვლავაც გვაქვს. ისინი, ალბათ, ქულებს დაკარგავენ და თუ არა, მეორე ადგილზე მაინც გავალთ და პლეი ოფიდან მოვხვდებით მსოფლიოს ჩემპიონატზე...

საკვალიფიკაციოს დამთავრებისთანავე აუცილებლად წავალ, რადგან ოთხი წელი ნაკრებში მუშაობა საკმარისი იქნება“.

ბილიჩმა ხორვატია 2006-ში ჩაიბარა, ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში ინგლისი ორჯერ დაამარცხა და ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გავიდა, სადაც სასწაულმოქმედ თურქებთან წააგ.

ამჯერადაც, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში მეტოქედ ინგლისი ჰყავს, რომელმაც ბილიჩის ნაკრებს შემოდგომაზე ზაგრებში 4:1 მოუგო.

„ფაბიო კაპელოს გუნდი ჯგუფში ლიდერია, მაგრამ ვითარება შეიძლება შეიცვალოს. გული მიგრძნობს, რომ მუნდიალის საგზურის მოპოვება მათთვის სკვერში გასეირნება არ იქნება“ — თქვა ხორვატთა მწვრთნელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ცოცხალიზაცოლი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

(რუბრიკის სპონსორია დიდიე დროგბა)

— ყურები „კამპ ნოუს“ რო მიგიგავს, ძმაო, ხო გითხარი, „ჩელსი“ ამოიღე და „ბარსელონას“ ერთიანი აილე-მეთქი, ვერ გაიგე? თუ მაინცდამაინც „პადკატი“ უნდა გაგიკეთო, რო გაგაგებინო?

— შენ კი არა, მე უნდა „ჩაუპადკატო“ სკოლარის ისე, რო ულვაშები ბალახზე დარჩეს.

სად იპოვა აბრამოვიჩმა ეგ ყომარბაზი ბრაზილიელი, ტო! მასტმა რა იკისრა „საუთენდთან“, აზრზე ხარ?

რატო არ გააგდებენ მაგ სამბა-რუმბა-ჩაჩაჩას... წავიდეს თავის კოპაკაბანაზე და ქვიშაში ითამაშოს, რა!

გოზინაყივით ბილეთი არ გამიფუჭა, ტო! სამი გოჭის და ოთხი ინდაურის ფულს ვიგებდი!

ვისა, ტო, ვისა! ლაგიჩნად რო ვიმსჯელოთ, „ჩელსის“ გასახდელიდან გამოუსვლელად არ უნდა მოეგო „საუთენდია“ თუ რალაცენდისთვის?

— აუუუუუ— საცივი ჭამე ამ ახალ წელს? ბურთი ინდაურის ბარკალი ხო არა გგონია, ძმაო. ფუტბოლის გაგებაში არა ხარ.

მამენტ, შენ რო გუნდი იყო, სერია ცე პირველი ბედან ვერ ამოხვიდოდი.

— კარგი რა, ტო! რა ფუტბოლმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრება უნდა იმას, რო „ჩელსი“ „საუთენდზე“ მაგარია და ცვეტში უნდა მოეგო.

— რანაირად, ძმაო? მაშინ უეჭველში ახსენი, თუ არა და, მე გაგიასნებ. შენ ფინანსური კრიზისი გაგიგია?

— მა რაა... კაკრაზ ეხლა ჩემთან ცხოვრობს.

— ჰოდა, აბრამოვიჩი რომანაც მაგარ კრიზისშია. უჭირს კაცს... იმენა ისე უჭირს, რო დაჟე სამასმილიონიანი ნავაროჩენი იახტა რო ყავს, იმის გაყიდვას აპირებს. იმიტო ჩაგძახოდი მაგ „კამპ ნოუ“ ყურებში, რო „ჩელსი“ არ ჩაწერო-მეთქი.

აბა, დაფიქრდი მაგ კუშნახევრიანი ტვინით, რატო არ აგდებს აბრამოვიჩი სკოლარის?

— მე რა ვიცი, ტო! ვითომ ფული არა აქვს, რო რიო დე ჟანეირომდე ბილეთი უყიდოს? მაგის გაჩერება გუნდში როგორ შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონ ტრენერს „საუთენდი“ რო ბოლო წუთზე გაუნიჩიავებს, ეგრევე სტადიონიდან უნდა გაიპაროს.

— ეეეე– კიდე ვერ მოწვი, ძმაო? სად უნდა გაიპაროს, ხო არ უბერავ.

რომანა და სკოლარი იმენა ეხლა ჭრიან მაყუთებს, ნავთობი რო გაიაფდა და აბრამოვიჩმა ფულები დაკარგა, საიდან უნდა მოიტანოს?

— ჩემი ლარიანი ბილეთით გამოვა კრიზისიდან?

— ვერა, რო? მაგან ლარიანებით დაიწყო თავისი ბიზნესი, ძმაო. შენნაირები, იცი, რამდენია? მთელი მსოფლიოს იგროკები ისხდნენ „ჩელსი“—„საუთენდის“ ერთიანზე, რომანას კიდე იქსი ეწერა. ეხლა წადი და ნახე რამდენი კუში ჰქონდა იქსზე.

თუ გინდა, გაგიმაზავ, რო დღეს-ხვალ აბრამოვიჩი იტყვის, იახტას აღარ ვყიდიო... 300 მილიონი უკვე ამოღებულია, ძმაო. შენი ლარიანიც მანდ არი. მიდი და გამოართვი.

**ჭუში ჭოუმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი:

| წყვილი | შედეგი | |
|---|---|---|
| 01 სიტი — ნოტინგემი | 1X | (0:3) |
| 02 ჩელსი — საუთენდი | 1 | (1:1) |
| 03 სელტიკი - დანდი | 2 | (2:2) |
| 04 ფორფარი — მონროუზი | გადაიდო | |
| 05 სტირლინგი — ალოა | გადაიდო | |

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რატომ არ გაეგზავნა დიდიე დროგბა რომან აბრამოვიჩს „უილიამ ჰილში“.

114140 *



ფრანც ბეკენბაუერი და ული ჰიონესი

# მადლობა ღმერთს კრიზისისთვის!

„ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი ახალ წელს დუბაიში მზის გულზე შეხვდა, მაგრამ „ბილდმა“ კაიზერ ფრანცს იქაც მიაგნო და კლუბის სამომავლო ამბებზე ჰკითხა...

**— მეორე წრეში „ბაიერნ“-„ჰოფენჰაიმის“ დუელი გაგრძელდება?**

— აუცილებელი არ არის. „ლევერკუზენი“, „შალკე“ და „ვერდერი“ სტრაბილურად თუ ითამაშებენ, საჩემპიონო ბრძოლაში ისინიც ჩაერთვებიან. აქვე უნდა ვთქვა, რომ მგონი, „ჰოფენჰაიმში“ განდიდების მანიით დაავადდნენ. კლუბის ზოგიერთი წარმომადგენლის კომენტარი წინააღმდეგობაში მოდის „ჰოფენჰაიმის“ თავმდაბალი პრეზიდენტის დიტმარ ჰოპის მოსაზრებებთან. მიუხედავად ამისა, ეს გუნდი ღირსეულად გახდა შემოდგომის ჩემპიონი.

**— ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „სპორტინგი“ რომ შეგხვდათ, გაგიმართლათ?**

— „სპორტინგი“ მართლაც სასურველი მეტოქეა ჩვენთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, ცოტა იღბალი არავის აწყენს, მაგრამ „ბაიერნს“ ევროპაში არავისი ეშინია...

„მანჩესტერს“ ტოკიოში, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ვაკვირდებოდი და გეტყვით, რომ დასამალი არაფერი გვჭირს...

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდა 15 თანაბარძალოვანი კლუბი და „ბარსელონა“. კატალონიელები სიძლიერით სხვებისგან აშკარად გამოირჩევან, თუმცა ისინიც არ არიან დაუმარცხებლები.

**— „მილანმა“ დევიდ ბექემი სამი თვით იქირავა. „ბაიერნს“ მსგავსი პროექტები არ აქვს?**

— არა. უაზრობად მიმაჩნია სამი თვით ფეხბურთელის შეძენა, ვინც უნდა იყოს. სხვა საქმე იქნებოდა, ნახევარი წლით მაინც რომ ეყიდათ.

**— რომან აბრამოვიჩს და პრემიერლიგის კლუბების სხვა პატრონებს ფინანსურმა კრიზისმა პრობლემები შეუქმნა. გაიაფდებიან თუ არა ფეხბურთელები და დაეხმარება თუ არა ეს ბუნდესლიგას, კვლავ მიმზიდველი გახდეს ვარსკვლავებისთვის?**

— მადლობა ღმერთს, რომ ამ კრიზისის გამო ფეხბურთელებში აბსურდულ თანხებს ველარ გადაიხდიან. განა შეიძლება, რომ საშუალო დონის ფეხბურთელი 20 მილიონი ევრო ღირდეს? რა სისულელეა! მკაცრი სალიცენზიო პროცესი გერმანიაში — ეს ევროპისთვის სამაგალითო უნდა გახდეს.

ჩვენთან მოთამაშეებს ზღაპრული ჯამაგირი არ აქვთ, მაგრამ იციან, რომ დროულად მიიღებენ. ზოგჯერ ნდობა ფულზე უფრო ძვირფასია.

**— ნოემბერში, თქვენს უფლებამოსილებას ული ჰიონესს გადასცემთ, რომელიც კლუბის პრეზიდენტი გახდება. მანამდე „ბაიერნმა“ ჰიონესის შემცვლელი უნდა ნახოს მენეჯერის პოსტზე. ჯერ ხომ არ გყავთ კანდიდატურა?**

— ჯერ არა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ული ჰიონესის შეცვლა ერთ კაცს გაუჭირდება. იმდენად დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რომ მისი საქმეები რამდენიმე ადამიანზე უნდა გადანაწილდეს.

**— ეგებ ჰიონესი დაარწმუნოთ, რომ მენეჯერობა შეითავსოს?**

— არ დათანხმდება. ნებისმიერ შემთხვევაში მისი საქმე და ხედვა შეიცვლება. ტრიბუნაზე გადაინაცვლებს და იქიდან ნახავს „ბაიერნს“ — ათი წლის განმავლობაში ხომ გუნდს სათადარიგოთა სკამიდან აკვირდებოდა.

**— იოახიმ ლიოვსა და მიხაელ ბალაკს შორის უთანხმოება კიდევ დიდხანს ხომ არ გაგრძელდება?**

— ვიმედოვნებ, რომ ეს კონფლიქტი დროულად მოგვარდება. ბალაკის დონის კაპიტანი ნაკრებს აუცილებლად სჭირდება. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ პრესაში მისი განცხადებები ზედმეტად მკაცრი იყო. დარწმუნებული ვარ, გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს გაივლის და ბალაკის პრობლემაც მოგვარდება.

# ქორწილია, ქორწილი!



**ისრაელის** „ნეთანიას“ გერმანელი თავკაცი ლოთარ მათეუსი მეოთხედ დაქორწინდა — 47 წლის მწვრთნელის რჩეული 21 წლის უკრაინელი ლილიანაა.

წყვილმა ქორწილი ლას-ვეგასში გადაიხადა.



დაზარალებული მარკუს მაკგი






სტივენ ჯერარდი ჩხუბამდე წუთებით ადრე

# როგორ აცეკვა ჯერარდმა მუშტები

**სტივენ ჯერარდის** ლონიერი ფეხის ამბავი ცნობილია და მკლავიც არანაკლებ მაგარი ჰქონია.

იმდენად მაგარი მუშტის პატრონი ყოფილა, რომ შეიძლება, ხუთი წლით ციხეში ამოჰყოს თავი.

სხეულის განზრახ დაზიანება და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ბრალად ედება „ლივერპულის“ კაპიტანს და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ სამაგალითო კაცს.

ორი შვილის მამას, 34 წლის დიჯეის მარკუს მაკგის სამაგალითო კაცმა ყბაში მუშტი უთავაზა. რაც დააკლო, მისმა დამქაშებმა დაუმატეს.

ამბავი ერთი კვირის წინ ლივერპულთან ახლოს, საუთპორტში, „ლაუნჯ ინ“ ბარში შუაღამისას მოხდა. მარკუს მაკგის თავზე ოთხი ნაკერი დაადეს, ბარის იატაკი კი სისხლით იყო მოსვრილი.

სტივენ ჯერარდი წინა დღეს „ნიუკასლში“ მოგებას და წყვილ გოლს აღნიშნავდა ხუთ თანამეინახესთან ერთად.

ჯერარდს დიჯეის დაკრული არ მოეწონა და შეცვლა სთხოვა, რაზეც უარი მიიღო...

მოწმემ თქვა, რომ ჩხუბი დაახლოებით ათწამიანი იყო. მარკუსმა ჯერარდს მკერდში მჯიღი ჰკრა, „ლივერპულის“ კაპიტანმა კი მუშტი ხია. ჯერარდის მეგობარმა დიჯეის თავზე ლუდის კათხა გადაამსხვრია და თავპირდასისხლიანებული ბიჭის შემხედვარე კლიენტურა ბარიდან გავარდა.

დაცვა შევარდა და მალე პოლიციაც მიჰყვა. თვითმხილველის მონათხრობით, ბარში თავიდანვე მუშტი-კრივის სუნი იგრძნობოდა.

მარკუს მაკგი ორ მეგობართან ერთად მისულა. მისი ერთი ძმაკაცი და მოგვიანებით მისული ჯერარდის ერთი თანამეინახე რაღაცაზე შეკამათებულან.

დიჯეი მარკუსმა სამშვიდობო მისია იკისრა და კონფლიქტი მოაგვარა, მაგრამ როგორც კი დიჯეის ძმაბიჭობა ბარიდან გავიდა და მარტო დარჩა, საცეკვაო მოედანზე ჯერარდსა და მარკუსს შორის მოხდა ის, რაც უკვე მოგახსენეთ.

პოლიციამ სტივენ ჯერარდი და მისი მეგობრები წაიყვანა და მათ დაკითხვას ცხრა საათი დასჭირდა.

სასამართლო იანვრის ბოლოსაა დანიშნული.

გუშინწინ „ლივერპულის“ კაპიტანმა „პრესტონთან“ სათასო მატჩში ითამაშა და საგოლე პასიც მიითვალა.

მას იგივე მუხლი წაუყენეს, რაც შარშან ნიუკასლელ ჯოი ბარტონს, რომელსაც ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და სამის მოხდის შემდეგ გამოუშვეს.

2000 წლის იანვარში აზიელი სტუდენტის ცემაში დაადანაშაულეს „ლიდსის“ ფეხბურთელები, ლი ბოიერი და ჯონათან ვუდგეიტი. ბოიერი გაამართლეს, ვუდგეიტს კი 100 საათი საზოგადოებრივი შრომა მიუსაჯეს, ხოლო მისი მეგობარი პოლ კლიფორდი ექვსი წლით ციხეში ჩააყუდეს.

# არსენის წყენა არშავინის გამო



**ბრიტანული** „დეილი მეილი“ იუწყება, რომ არსენ ვენგერმა შესაძლოა, „არსენალი“ დატოვოს. გაზეთი მიზეზად მწვრთნელის კლუბის დირექტორთან კონფლიქტს ასახელებს. ვენგერს კლუბის უფროსობისთვის რუსი ანდრეი არშავინის ყიდვა მოუთხოვია ამ ზამთარში, რაზეც უარი მიიღო. უარის მიზეზიც სტანდარტულია: მსოფლიოს ფინანსური კრიზისი.

ვენგერს არშავინის საყიდლად 20 მილიონი გირვანქა დასჭირდება.

ლონდონელთა მწვრთნელს კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს და იმასაც ამბობენ, მისი გადაბირება „რეალს“ სურსო. შეგახსენებთ, რომ „რეალმა“ სულ ახლახან დანიშნა მწვრთნელად ხუანდე რამოსი.

**ქოტე ქექელია**

# გაბრაზიტალიელებული

**„იუვენტუსის“** ფორვარდ ამაური კარვალიუ დე ოლივეირას სამშობლო ვერ აურჩევია.

ბრაზილია თუ იტალია? ბრაზილიაში დაბადებულს და ევროპაში გაზრდილს ორი ქვეყანა თავ-თავისკენ ექაჩება, ამაური კი გაბრაზდა და თქვა, რომ თუ ძალიან შეუჩნდებიან, მოქალაქეობაზე ორივეს უარს ეტყვის.

თებერვალში იტალია და ბრაზილია ერთმანეთს ამხანაგურად უნდა შეხვდნენ. აქეთ მარჩელო ლიპი აპირებს ამაურის გამოძახებას, იქით კი დუნგა. ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას არცერთი არ აძლევს.

რა ქნას გზააბნეულმა ფეხბურთელმა? ამხანაგურ მატჩში რომელი ნაკრების მაისურას მოირგებს?

„შეიძლება ორივე უარით გავისტუმრო — აღშფოთდა ამაური — „იუვენტუსში“ სრულიად უცნობი ფეხბურთელი მოვედი და სულაც არ მჭირდება არანაირი ნაკრები. მალე უნდა მოვუღო ბოლო ამ არეულობას, თორემ ხალხი ჩემზე ათას რამეს ლაპარაკობს.

ეს საუბრები ძალიან მაღიზიანებს, რადგან მე აუქციონზე გამოტანილ ნივთს ვგავარ, რომლის ყიდვასაც ლიპი და დუნგა აპირებენ.

სანამ ოფიციალურ გამოძახებას არ მივიღებ, ამ თემაზე ლაპარაკი აღარ მსურს“.

სან პაულუს შტატის ქალაქ კარაპიკუიბაში 1980 წლის 3 ივნისს დაბადებული ამაური თავიდან „სანტა კატარინაში“ თამაშობდა, მერე თავის კლუბს იტალიაში, კიაროჯოს ტურნირში სათამაშოდ გაჰყვა და ბევრ იტალიურ გუნდს სურდა მისი დატოვება.

ამაურიმ დასაწყისისთვის შვეიცარიული „ბელინცონა“ არჩია და ორი წელი იქ გაატარა, სანამ „პარმამ“ არ იყიდა 2001-ში და უმალ „ნაპოლიში“ გაანათხოვრა.

მერე იყო „პიაჩენცა“, „მესინა“, „კიევო“ და „პალერმო“, სადაც ორ სეზონში 52 მატჩში 23 გოლი გაიტანა და შარშან ზაფხულს „იუვენტუსმა“ 15 მილიონ ევროდ შეიძინა.

**ირაკლი ნინიძე**

## კვირის ქრონიკა

### ოლიჩი ივლისიდან ბაიერნში

**ხორვატიის** ნაკრების და „ჰამბურგის“ მეგოლე ივიცა ოლიჩი 1 ივლისიდან „ბაიერნის“ ფეხბურთელი გახდება.

„ჩვენ კონრაქტის ყველა დეტალი შევათანხმეთ და ხელისმოწერაღა დაგვრჩა“ — თქვა „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა.

### დეფოს სიკვდილმა დაურეკა

**„პორტსმუთის“** ფორვარდ ჯერმენ დეფოს ფანები მოკვლით ემუქრებიან. მიზეზი: ფეხბურთელი „ტოტენჰემში“ აპირებს დაბრუნებას, საიდანაც ერთი წლის წინ პორტელებში გადავიდა.

„არ ვიცი საიდან აქვთ ჩემი ტელეფონის ნომერი, მაგრამ ზოგიერთი მუქარა ძალიან მაღელვებს. არა მგონია, რომ ისინი, ვინც მემუქრებიან, სრულ ჭკუაზე იყვნენ. საშინელებაა, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ“.

### გაძეტური სიმბოლური

**იტალიურმა** „გაძეტა დელო სპორტმა“ 2008 წლის მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების საკუთარი ვერსია შეადგინა.

მწვრთნელობა „მანჩესტერის“ თავკაც ალექს ფერგიუსონს არგუნეს.

ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი); მაიკონი (ინტერი), ჯონ ტერი (ჩელსი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), ფილიპ ლამი (ბაიერნი); სტივენ ჯერარდი (ლივერპული), ხავი (ბარსელონა), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი); ლიონელ მესი (ბარსელონა), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერი).

### დელ პიერო VS ობამა

**ფინალში** ერთმანეთს შეხვდებიან ალესანდრო დელ პიერო და ბარაკ ობამა. ტელეკომპანია „შპორტს“-მა გამოკითხვით გადაწყვიტა გაარკვიოს, ვინ იყო 2008 წლის ყველაზე პოპულარული ადამიანი. შეირჩა 400 რესპონდენტი — სპორტსმენები, პოლიტიკოსები, მომღერლები...

ტელეკომპანიამ ისეთი „ბადე“ გააკეთა, როგორიც ჩოგბურთის ტურნირებშია და ფინალში ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და „იუვენტუსის“ კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო გავიდნენ.

გამოკითხვა დღეს დასრულდება და გამარჯვებული ხვალ გაირკვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საუთენდები და რამე...

ეს „ჩელსი" ის „ჩელსი" აღარ არისოოოო...

ჩვენც ვიცით, რომ ის აღარ არის. მაგრამ ამბობენ, სუსტიაო, თუმცა, შეიძლება, უბრალოდ, სხვა იყოს და სხვა კი სუსტს არ ნიშნავდეს. თუმცა, ამას აღარ ეთანხმებიან.

აგე, ამ საახალწლო უქმეებზეც, სათასო თამაშში თავის წახდენა გამოვიდა, შინ რომ „საუთენდს" ვერ მოუგებ, რაღას გეტყვიან? სათასო გადათამაშება ჭე-კლასთან. „საუთენდი", რაც არ უნდა მონდომებული იყოს, როგორც ერთი თბილისელი მეფსონე იტყოდა, ამხელა „ჩელსი" ხარ და მოგეთხოვება, ძმაო...

ფილ სკოლარი შეწუხებული სახით უმზერდა თამაშს, რომელსაც მისი გუნდი ვითომ იგებდა, ბოლო წუთებზე კი გადასათამაშებელი მოუხდა.

„საუთენდთან" თამაშამდე სკოლარიმ თქვა, ასეთი მატჩები კარგია, მთელს ჩვენ ვარჯიშზე ჩანაფიქრებს ასეთ გუნდებთან გავსინჯავთო. ჰოდა, ახლა ერთხელაც მოუწევს. თუმცა გასვლითი თამაში სკოლარისთვის საინტერესო არ არის. გასვლაზე „ჩელსი" სულ იგებს. საქმე საშინაო თამაშია.

„ჩელსის" შინ უჭირს და ეს „საუთენდთან" წავარჯიშებაც იმიტომ უნდოდა სკოლარის, რომ ვარჯიშებზე თურმე სულ საშინაო თამაშის მოდელს ამუშავებს, სივრცეების გამონახვის ხერხებს დაეძებს, მაგრამ რა გამოუდის, ვხედავთ.

დიდიე დროგბა კიდევ ერთხელ აჯანყდა, მოგებას გაბედვა უნდაო, ერთად არ გვაყენებს მეგოლეებსო და ასეთები. გუნდში ვერავინ აიყოლია და დააჯარიმეს 100 ათასით, რამაც კიდევ უფრო გადააწყვეტინა წასვლა. ამასობაში კი, „სტემფორდ ბრიჯი" რომ დაიწყებს ძახილს: დროგ-ბა! დროგ-ბა! და ესეც რომ აჰუნძულდება სარბენ ბილიკებზე, როგორი გასაშვებია?

არადა, აჩმახებს, როგორც ერთი იტყოდა ადრე.

აბა, მოურინიუს დროს ასე არ იყოო, ამას „ჩელსის" გულშემატკივრები ჯერ არ ამბობენ, მაგრამ ბოლო-ბოლო იტყვიან. ვინმე იტყვის. იმიტომ, რომ „ჩელსი" ისეთი ავი აღარ არის.

„ჩელსის" ფეხბურთელებს სკოლარი უყვართ, იმიტომ, რომ დიდი ფილი, იმის მიუხედავად, რომ ოდესღაც სკანდალურ მწვრთნელად იყო ცნობილი, ფეხბურთელებს არასდროს აკრიტიკებს. არ გეტყვის, ეგ რა ჰქენი, ბიჭო, შვიდჯერ მარტო პირველ ტაიმში მოგატყუესო, ანდა, კარის წინ როგორ აცილებო. ის ამბობს, არ გამოუვიდა და ეგებ, ასე და ასე უნდა ვქნათო.

ამიტომ, „ჩელსის" მოთამაშეებს ის უყვართ. როგორც თვითონ თქვა, კაბინეტში არ მოდიან და არ ეუბნებიან, მაგრამ გრძნობს.

მოურინიუს დროებასთან ფილის დროების შედარება არ იქნება.

მოურინიუს დროს „ჩელსი" ყიდულობდა და ყიდულობდა, ახლა კი ჯერჯერობით, მხოლოდ ყიდის.

სკოლარი ერთ თავდამსხმელს ითხოვდა ზამთრის ფანჯარაში და უარი მიიღო. სამაგიეროდ, უეინ ბრიჯი უკვე გაყიდა და ამბობს, „ჩელსის" ფეხბურთელებზე ყველა მოთხოვნას სიამოვნებით განვიხილავთო. სხვა დროა, აბრამოვიჩმა ქისას პირი მოუკრა. ამის მიუხედავად, „ჩელსი" მაინც ჩემპიონობისთვის იბრძვის და ჩემპიონთა ლიგაშიც წინ მიაბიჯებს. ახლა ამას მოურინიუს ყოველდღიური განცხადებები თუ არ ახლავს, საკუთარი გენიოსობის და მსაჯების იდიოტობის შესახებ, რა გასაკვირია, რომ ხმაური ისეთი არ იყოს, როგორიც იყო.

მოურინიუს დროს „ჩელსის" მეტი შინაგანი მუხტი და უჯიათობა ჰქონდა, ახლა ეს უფრო მშვიდი გუნდი ჩანს, თუმცა საშინაო თამაშებში მართლაც უგერგილოდ და წვალებით აღწევს შედეგს.

„ჩელსიში" კრებაც კი ჩატარდა, ყარაჩოხელები ვართ თუ არაო და, ერთხმად თქვეს, ვართო. ეგ იყო, დროგბას ძალიან ეწყინა, 100 ათასი რომ დაუქვითეს.

აბრამოვიჩმა მოურინიუ რომ გაუშვა, ლამაზ ფეხბურთს მიაწვა, ასეთი უნდა ვითამაშოთო, რაც, მე თუ მკითხავთ, გასაგები იყო. ასეთი უნდოდა კაცს, ამის პრეტენზია ჰქონდა.

ოღონდ არ ვიცი, ახლა როგორ ხედავს „ჩელსის" ფეხბურთს. ადგილ-ადგილ, ეს ძალიან ნატიფი ფეხბურთია. ლამაზი არ ვიცი, ნატიფი კი, დიახ, გახლავთ, ნამდვილად. საუკეთესო წამებში, მაგრამ, არა ზოგადად. რაზეც აბრამოვიჩი ოცნებობდა, ის ალბათ, შეუძლებელია ამ ხალხით და ამ ტრადიციით, „ჩელსის" რომ აქვს. ეს შეუძლია „ბარსელონას", ალბათ, „ფლამენგოს" და ასეთ ვინმეებს. „ჩელსი" კი კარგია, უბრალოდ, მოურინიუმ თვალი სხვას მიაჩვია.

საუთენდები კი ხდება. ინგლისის თასია, ბოლოს და ბოლოს. სწორედ ასეთი რამეებისთვის არსებობს.

# კატაზე მეტი გაზა

**ნატანჯმა პოლ გესქოინმა „სანს" გული გადაუშალა და უამბო, თუ როგორ მიიყვანა სიკვდილის პირას ლოთობამ და ნარკოტიკებმა...**





პოლ გესქოინი და ოჯახი: მეისონი, ბიანკა, შერილი და რეგანი

**„ჩემი** მეგობარი ჯიმი მეუბნება, რომ კატაზე მეტი სიცოცხლე მაქვს და ასეცაა, მაგრამ ეს უკვე მართლა ბოლო შანსია" — თქვა 41 წლის გაზამ, რომელიც კლინიკაში მკურნალობს.

ფეხბურთელობისას მრავალთა კერპმა შარშან ორჯერ ისე „შეუბერა", რომ ხელახლა ასაწყობი გახდა.

„2008 ჩემი ტანჯვის წელი იყო, უცუდესი ცხოვრებაში. ნარკოტიკებმა და ალკოჰოლმა რამდენჯერმე კინაღამ სიცოცხლეს გამომასალმა. ისე შევტოპე, რომ გამოსავალი აღარ მქონდა. ამჯერად უკეთესად ვარ და ვიცი, რა ვაკეთო. აღარ უნდა დავლიო, თორემ უეჭველად მოვკვდები".

„ჩენელ 4"-მა გადაიღო დოკუმენტური ფილმი: „გადავარჩინოთ გაზა", რომელიც ამ ორიოდე დღის წინ აჩვენეს ინგლისში და რომელმაც გესქოინი გააბრაზა.

გესქოინი „ჩენელ 4"-ის შეფებზე გაბრაზდა, რადგან მათ ფეხბურთელის შვილი, 12 წლის რეგანი მამის წინააღმდეგ ალაპარაკეს.

თავის ნაცოლარ შერილზეც ნაწყენია — მას კინოში გადაღება უფრო აინტერესებდა, ვიდრე ჩემი დახმარებაო.

მაგრამ 43 წლის შერილმა თქვა, რომ ფილმი გაზას თანხმობითაა გადაღებული და შვილის მონაწილეობის შესახებაც იცოდა.

რეგანი ამბობს: „მსურს, რომ მამამ თავი საბოლოოდ დაგვანებოს. ის, ალბათ, მალე მოკვდება. ყველა ფიქრობს — ის ხომ პოლ გესქოინია — მაგრამ რაკი დიდი ფეხბურთელი იყო, ეს არ ნიშნავს, რომ კარგი მამა და ადამიანია. ასე არაა? არა მგონია, მას მკურნალობამ უშველოს.

ის მამაჩემია. ჩემს გვერდით უნდა იყოს და მეხმარებოდეს. სულაც არ მინდა, მთელი ცრემლები მასზე დავხარჯო.

ძალიან ვდარდობ, რომ ასეთ მდგომარეობაშია, მაგრამ ეს ხომ ჩვენი ბრალი არაა".

პოლ გესქოინი: „ვერ ვიჯერებ, რომ შერილმა შვილს ფილმში ასეთი რამეების ლაპარაკის უფლება მისცა და პროდიუსერებმაც ეს საჯაროდ უნდა აჩვენონ.

განა 12 წლის ბავშვს შეუძლია გაიგოს, თუ რა გავიარე და გადავიტანე? ის ხომ ჯერ 12 წლისაა. მას მცირედითაც არაფერში ვადანაშაულებ. ჩემი შვილი მიყვარს და მუდამ მეყვარება.

ეს ყველაფერი შერილის ხრიკებია. ბიჭს მამის წინააღმდეგ ამხედრებს და ჩემს მოშხამვას ცდილობს.

თუკი ასე ძალიან ვეჯავრები, აქამდე რატომ ატარებს გესქოინის გვარს? იმიტომ, რომ გესქოინობა მისთვის დიდი პატივია.

მე არ ვაპირებ ამ ფილმის ნახვას. ბავშვის ასე გამოყენება სამარცხვინო საქციელია".

დოკუმენტურ ფილმში არიან შერილის შვილებიც პირველი ქმრისგან, 19 წლის ბიანკა და 22-ის მეისონი.

გაზას მიაჩნია, რომ მისმა ცოლმა ფილმი ბიანკას სამოდელო კარიერის რეკლამისთვის გამოიყენა.

„შერილთან ცხოვრება წლების განმავლობაში 17 მილიონი გირვანქა დამიჯდა. ჩემი გერებისთვის ფულს არ ვიშურებდი და ისინი ახლაც მილიონნახევარგირვანქიან სახლში ცხოვრობენ. სამაგიეროდ კი რა მივიღე?" — იკითხა გესქოინმა.

შერილის ერთ-ერთი დაქალი კი ამტკიცებს, რომ პოლ გესქოინი დოკუმენტურ ფილმზე სრულ სიმართლეს არ ლაპარაკობს.

„პოლს ფილმის გადაღება რომ შესთავაზეს, ისე დათანხმდა, რომ შერილისთვის რჩევა არც უკითხავს და შვილის მონაწილეობაზეც გაბულს იყო" — თქვა დაქალმა.

გესქოინის მეგობარი ჯიმი კი ადასტურებს, რომ გაზა ამჟამადაც ეხმარება ოჯახს ფულით და ბავშვებს ძვირფას საჩუქრებს უგზავნის, ისინი კი უმადურები არიან:

„იმდენი ფული დაახარჯა შერილს პლასტიკური ოპერაციებისთვის, რომ ამდენი თვით ჯორდანს (დუაიტ იორკის ყოფილი ცოლი) და ელიზაბეტ ტეილორსაც არ დაუხარჯავს".

გაზა ახლა რეჟიმშია, რომელიც ყოველ დილით შვიდის ნახევარზე ეწყება. ვარჯიშობს და თითქმის თვეა, წვეთი არ დაულევია.

„მის ლაპარაკში უკვე ისეთი სიმტკიცე იგრძნობა, რომლის მსგავსიც აქამდე არ ყოფილა — უხარია ჯიმის — პოლმა იცის, რომ ხალხი მას ჯორჯ ბესტივით დასრულს უწინასწარმეტყველებდა. გაზა კი ამბობს, რომ ყველამ საკუთარ ცხოვრებას მიხედოს და მისი არსებობა დაივიწყონ. მაგრამ ხალხს გაზას ბედი აღარდებს, ის ხომ მთელ ქვეყანას უყვარს".

**რომან თურქია**



ბიანკა გესქოინი მამინაცვლის გვარს სამოდელო კარიერისთვის იყენებსო

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XVII ტური

# მსაჯმა ბარათი დალალა

### ბარსელონა 3:1 მალიორკა

0:1 ადურიცი (15), 1:1 ანრი (31), 2:1 ინიესტა (75), 3:1 იაია ტურე (90)
ბარსელონა: ვალდესი, ვიქტორ სანჩესი (დ. ალვეში 56), პუიოლი, მარკესი (სილვინიო 72), აბიდალი, იაია ტურე, ხავი, გლები (ინიესტა 67), გუდიონსენი, ანრი, ეტოო
მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა
მალიორკა: ლუქსი, ნუნიესი, კორალესი, რამისი, ხოსემი, მარტი, ვარელა, მარიო (ხურადო 82), არანგო, სკალონი (სანტანა 77), ადურიცი (ვებო 82)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ანრი, მარკესი, ხავი, ალვეში, ხოსემი, სუარესი, ადურიცი, ლუქსი, ვარელა, პარანგო, მარტი, სკალონი, ხოსემი
გაძევება: ხოსემი (88)
მსაჯი: ველასკო კარვალიო
64 500 მაყურებელი

### ვალენსია 3:1 ატლეტიკო

1:0 ვილია (34პ), 2:0 სილვა (39), 2:1 ფორლანი (45პ), 3:1 სილვა (69)
ვალენსია: რენანი, მიგელი, ალბიოლი, მადურო, მორეტი, ალბელდა, ბარახა (ფერნანდეში 67), ხოაკინი, სილვა (ედუ 84), მატა (ვისენტე 82), ვილია
მწვრთნელი: უნაი ემერი
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, პერეა, ჰეიტინგა, უიფალუში, პერნია, ლუის გარსია (სინამა პონიოლი 64), ასუნსაო, რაულ გარსია, სიმაო, აგუერო, ფორლანი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ბარახა, ალბელდა, რაულ გარსია, ჰეიტინგა, პერეა
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
33 432 მაყურებელი

### რეალი 1:0 ვილიარეალი

1:0 რობენი (31)
რეალი: კასილიასი, რამოსი, კანავარო, პეპე, ჰაინცე, ლ. დიარა (ვან დერ ვაარტი 77), გაგო, სნეიდერი, რობენი (მეცელდერი 90), რაული, ჰუნტელაარი (დრენტე 56)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, ანხელი, გონსალო, გოდინი, კაპდევილა, სენა (იბაგასა 69), კაზორლა, ეგურენი, პირესი, ნიჰათი (იორენტე 46), როსი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ჰუნტელაარი, გაგო, ანხელი, გონსალო, ეგურენი, სენა
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
80 000 მაყურებელი

### მალაგა 1:0 ხიხონი

1:0 ლოლო (33)
გაფრთხილება: კანელია (ხიხონი)

### ვალიადოლიდი 0:1 რასინგი

0:1 ჭიგიჩი (64)
გაფრთხილება: ლეონი (ვალიადოლიდი), მუნიტისი, ლუჩინი, ჭიგიჩი, ორიოლი (რასინგი)

### ბილბაო 1:1 ესპანიოლი

0:1 მოისესი (37), 1:1 ირაოლა (81)
გაფრთხილება: ოსიო, ბალენსიაგა (ბილბაო), პარეხა, რუფეტე, მოისესი (ესპანიოლი)

### ალმერია 1:0 ბეტისი

1:0 კორონა (36)
გაფრთხილება: მანე, კარლოს გარსია (ალმერია), კაპი (ბეტისი)
გაძევება: უჩე (89, ალმერია), სერხიო გარსია (90, ბეტისი)

### უელვა 3:1 ნუმანსია

1:0 ფუენტე (18), 2:0 კამუნიასი (47), 3:0 აიტორი (61), 3:1 გორკა (90)
გაფრთხილება: პოლი, ფუენტე, ამოედო (უელვა)

### სევილია 1:0 ოსასუნა

1:0 ნავასი (50), 1:1 პანდიანი (90)
გაფრთხილება: დუშერი, ესკუდე, პალოპი, რომარიჩი, დრაგუტინოვიჩი (სევილია), ფლანო, ასპილიკუეტა, მასუდი (ოსასუნა)

### ხეტაფე — დეპორტივო

ნუხელ გვიან დამთავრა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

**13 ყვითელი** ბარათით და ერთიც წითელით მიულოცა ახალი წელი მსაჯმა ველასკო კარბალიომ „ბარსელონას“ და „მალიორკას“.

ბიჭება ეტყობა კარგად დაისვენეს ორკვირიან შვებულებაში და ფეხისქნევას მონატრებულებმა ერთმანეთი არ დაინდეს.

ამ საქმეში „მალიორკამ“ უფრო იყოჩაღა და მეტი გაფრთხილებაც მიიღო, რასაც ხოსემიმ ბოლო წუთზე მარილი მოაყარა და პრიმერაში 2009 წლის პირველი „გაწითლებული“ გახდა.

სანამ ბარათების ალლუმი დაიწყებოდა, გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს.

იაია ტურეს ფინტაობა მოედნის ცენტრში იმით დამთავრდა, რომ ადურიცმა ბურთი წაართვა, საჯარიმოს ხაზამდე მიირბინა და ვალდესს თავზე გადაუგდო.

„ბარსელონა“ ამის მერე დაიძრა და ნაკუთხურალზე გაათანაბრა. ანრის ბურთი შორ ძელთან თავით დაუგდეს, ფრანგმა კი ცაციით მახვილი კუთხიდან ძელ-გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში გამოუყენებელი მომენტების მიუხედავად, „ბარსამ“ სტუმრები საეჭვო გოლით მაინც გატეხა.

ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას, ბურთი „მალიორკას“ მცველის ფეხიდან გუდიონსენს მიუვიდა, მან კი ინიესტას დაუგორა და ორთვიანი მკურნალობის შემდეგ დაბრუნებულმა ინიესტამ სტუმრები მაინც გატეხა და გოლით გაიხარა.

ამას მალიორკელთა პროტესტი მოჰყვა, რომლებიც მსაჯს უმტკიცებდნენ, რომ გამტანი თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

მოედნის კიდესთან ნერვიულად მოარული ხოსეპ გვარდიოლა იაია ტურემ დააწყნარა, როცა მეტოქის საჯარიმოში სამ მცველს ლიღინით გასცდა და სეზონში პირველი, მატჩში კი მესამე შეაგდო.

„ასეთი გამარჯვება უფრო ძვირფასია, ვიდრე 5:0 — თქვა გვარდიოლამ — ორკვირიანი შესვენება ფეხბურთელებს ფორმიდან აგდებს და ამიტომაც დავიწყეთ თამაში მძიმედ. მერე კი დავლაგდით და მშვიდად მივაღწიეთ საწადელს“.

ლიონელ მესი ტრიბუნაზე მარადონას გვერდით იჯდა. იგი განაცხადში არ იყო, რადგან მწვრთნელი სათასო მატჩისთვის ამზადებს. ხვალ მადრიდში „ატლეტიკო“ „ბარსელონას“ თასის მერვედფინალის პირველ მატჩში დაუხვდება.

შუა ოქტომბრიდან ყველა ტურნირში წაუგებელი „ატლეტიკო“ ვალენსიაში დამარცხდა. მასპინძლებმა მეხუთე წუთისთვის ორის გატანა მოასწრეს, მაგრამ ერთი ჯარიმის, მეორე კი ოფსაიდის გამო გაუუქმეს.

დავიდ ვილიამ თერთმეტი მეტრიდან დარტყმით მაინც დააწინაურა „ღამურები“ და ოთხ წუთში დავიდ სილვამ სხვაობა ორამდე გაზარდა, რასაც ფორლანმა ტაიმის ბოლო წუთზე გატანილი პენალტით უპასუხა.

შესვენების შემდეგ უფრო გულმოდგინედ „ატლეტიკო“ უტევდა, მაგრამ სილვამ მეტოქეს გული გაუტეხა — საჯარიმოს გარედან ცაციით საუცხოო გოლი შეაგდო.

### მათა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 17 | 14 | 2 | 1 | 51:11 | 44 |
| ვალენსია | 17 | 10 | 3 | 4 | 33:21 | 33 |
| რეალი | 17 | 10 | 2 | 5 | 35:26 | 32 |
| სევილია | 17 | 9 | 5 | 3 | 24:15 | 32 |
| ატლეტიკო | 17 | 9 | 3 | 5 | 39:26 | 30 |
| ვილიარეალი | 17 | 8 | 5 | 4 | 27:22 | 29 |
| დეპორტივო | 16 | 8 | 3 | 5 | 20:18 | 27 |
| მალაგა | 17 | 7 | 4 | 6 | 25:26 | 25 |
| ვალიადოლიდი | 17 | 7 | 2 | 8 | 25:25 | 23 |
| ხეტაფე | 16 | 5 | 6 | 5 | 23:25 | 21 |
| რასინგი | 17 | 5 | 6 | 6 | 19:22 | 21 |
| ხიხონი | 17 | 7 | 0 | 10 | 24:36 | 21 |
| ბილბაო | 17 | 5 | 5 | 7 | 21:25 | 20 |
| ალმერია | 17 | 5 | 4 | 8 | 17:25 | 19 |
| ბეტისი | 17 | 5 | 3 | 9 | 21:23 | 18 |
| ნუმანსია | 17 | 5 | 2 | 10 | 22:36 | 17 |
| უელვა | 17 | 4 | 4 | 9 | 14:27 | 16 |
| ესპანიოლი | 17 | 3 | 5 | 9 | 15:26 | 14 |
| მალიორკა | 17 | 3 | 5 | 9 | 18:32 | 14 |
| ოსასუნა | 17 | 2 | 7 | 8 | 17:23 | 13 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 15 |
| ვილია (ვალენსია) | 13 |

### სეგუნდადივიზიონი XVIII ტური

ხიმნასტიკი — ხირონა 3:0; ალბასეტე — სარაგოსა 1:1; ალიკანტე — მურსია 0:2; კასტელიონი — ელჩე 2:2; ეიბარი — ხერესი 1:1; სალამანკა — ლას პალმასი 2:2; სელტა — ერკულესი 2:1; კორდობა — სოსიედადი 2:2; უესკა — ალავესი 2:0; რაიო ვალეკანო — ლევანტე 0:0; ტენერიფე — სევილია B 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 18 | 9 | 5 | 4 | 24:17 | 32 |
| სარაგოსა | 18 | 8 | 6 | 4 | 32:20 | 30 |
| ხერესი | 18 | 8 | 6 | 4 | 32:21 | 30 |
| ტენერიფე | 18 | 9 | 3 | 6 | 32:27 | 30 |
| ერკულესი | 18 | 7 | 8 | 3 | 25:15 | 29 |
| ხიმნასტიკი | 18 | 6 | 9 | 3 | 30:21 | 27 |
| უესკა | 18 | 7 | 6 | 5 | 26:21 | 27 |
| სოსიედადი | 18 | 6 | 9 | 3 | 18:14 | 27 |
| კასტელიონი | 18 | 6 | 8 | 4 | 25:19 | 26 |
| რაიო ვალეკანო | 18 | 6 | 8 | 4 | 21:19 | 26 |
| ლევანტე | 18 | 7 | 5 | 6 | 24:25 | 26 |
| ლას პალმასი | 18 | 6 | 7 | 5 | 25:19 | 25 |
| სელტა | 17 | 6 | 7 | 4 | 19:17 | 25 |
| ხირონა | 18 | 6 | 7 | 5 | 16:17 | 25 |
| ალბასეტე | 18 | 6 | 6 | 6 | 21:24 | 24 |
| ელჩე | 18 | 5 | 7 | 6 | 22:21 | 22 |
| ეიბარი | 18 | 5 | 6 | 7 | 14:23 | 21 |
| ალავესი | 18 | 5 | 5 | 8 | 19:30 | 20 |
| კორდობა | 18 | 4 | 5 | 9 | 17:26 | 17 |
| მურსია | 17 | 4 | 4 | 9 | 16:25 | 16 |
| ალიკანტე | 18 | 1 | 6 | 11 | 12:30 | 9 |
| სევილია B | 18 | 1 | 5 | 12 | 10:29 | 8 |

# შოტლანდია

## პრემიერლიგა. XXI ტური

ჰართსი — ჰიბერნიანი 0:0; სელტიკი — დანდი იუნ. 2:2; ფოლკირკი — კილმარნოკი 1:1; ჰამილტონი — აბერდინი 2:0; სენტ მირენი — მოზერუელი 0:0; ინვერნესი — რეინჯერსი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 21 | 16 | 3 | 2 | 47:20 | 51 |
| რეინჯერსი | 21 | 14 | 4 | 3 | 48:17 | 46 |
| დანდი იუნ. | 21 | 9 | 8 | 4 | 30:22 | 35 |
| ჰართსი | 20 | 9 | 5 | 6 | 20:21 | 32 |
| აბერდინი | 20 | 9 | 3 | 8 | 23:21 | 30 |
| ჰიბერნიანი | 21 | 7 | 6 | 8 | 26:28 | 27 |
| კილმარნოკი | 20 | 8 | 2 | 10 | 21:26 | 26 |
| სენტ მირენი | 21 | 7 | 4 | 10 | 16:22 | 25 |
| მოზერუელი | 20 | 6 | 3 | 11 | 20:31 | 21 |
| ჰამილტონი | 21 | 6 | 2 | 13 | 19:36 | 20 |
| ფოლკირკი | 21 | 4 | 6 | 11 | 22:31 | 18 |
| ინვერნესი | 21 | 5 | 2 | 14 | 20:37 | 17 |

### I დივიზიონი

კლაიდი — პარტიკი 2:4; დანდი — დანფერმლაინი 1:0; ლივინგსტონი — ერდრი 1:1; მორტონი — ქუინი 2:2. როსი — სტ ჯონსტონი გადაიდო

### II დივიზიონი

ქუინზ პარკი — პიტერჰედი 2:1; რაითი — ისტ ფაიფი 1:0. ბრეჩინი — არბროთ, სტირლინგი — ალოა, სტრანრარი — ეარი გადაიდო

### III დივიზიონი

ისტ სტირლინგი — სტენჰაუზმური 0:3. როვერსი — დამბარტონი, კოუდენბითი — ბერვიკი, ელგინი — ანანი, ფორფარი — მონტროუზი გადაიდო

# საბერძნეთი

## სუპერლიგა. XVI ტური

ერგოტელისი — პანთრაკიკოსი 0:1; ქსანთი — პანიონიოსი 0:0; ტრიპოლისი — ოლიმპიაკოსი 0:1; ლევადიაკოსი — არისი 2:0; პაოკ — ოფი 2:0; პანათინაიკოსი — აეკ 0:0; ფილისი — ლარისა 0:0. პანსერაიკოსი — ირაკლისი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 16 | 12 | 3 | 1 | 28:6 | 39 |
| პაოკ | 16 | 9 | 6 | 1 | 19:8 | 33 |
| პანათინაიკოსი | 16 | 8 | 6 | 2 | 27:12 | 30 |
| აეკ | 16 | 5 | 10 | 1 | 19:16 | 25 |
| არისი | 16 | 6 | 5 | 5 | 14:14 | 23 |
| ლარისა | 16 | 5 | 7 | 4 | 20:15 | 22 |
| პანიონიოსი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:20 | 22 |
| პანთრაკიკოსი | 16 | 6 | 4 | 6 | 10:13 | 22 |
| ქსანთი | 16 | 5 | 6 | 5 | 10:10 | 21 |
| ერგოტელისი | 16 | 6 | 3 | 7 | 22:24 | 21 |
| ლევადიაკოსი | 16 | 5 | 4 | 7 | 11:14 | 19 |
| ირაკლისი | 15 | 4 | 6 | 5 | 12:15 | 18 |
| ტრიპოლისი | 16 | 2 | 8 | 6 | 13:18 | 14 |
| ოფი | 16 | 2 | 5 | 9 | 15:28 | 11 |
| პანსერაიკოსი | 15 | 2 | 4 | 9 | 9:23 | 10 |
| ფილისი | 16 | 2 | 3 | 11 | 13:27 | 9 |

# პორტუგალია

## სუპერლიგა. XIII ტური

აკადემიკა — ლეიშოეში 0:0; რიუ ავე — გიმარაეში 2:4; სეტუბალი — სპორტინგი 0:2; ამადორა — ნავალი 1:0; მარიტიმუ — ფერეირა 4:1; ნასიონალი — პორტუ 2:4; ტროფენსე — ბენფიკა ნუხელ გვიან დამთავრდა, ბრაგა — ბელენენსეში დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 13 | 8 | 3 | 2 | 24:11 | 27 |
| ბენფიკა | 12 | 7 | 5 | 0 | 24:10 | 26 |
| სპორტინგი | 13 | 8 | 2 | 3 | 16:7 | 26 |
| ლეიშოეში | 13 | 7 | 4 | 2 | 17:12 | 25 |
| მარიტიმუ | 13 | 6 | 4 | 3 | 17:12 | 22 |
| ნასიონალი | 13 | 6 | 3 | 4 | 19:16 | 21 |
| ბრაგა | 12 | 5 | 5 | 2 | 12:5 | 20 |
| გიმარაეში | 13 | 4 | 5 | 4 | 12:13 | 17 |
| ამადორა | 13 | 4 | 3 | 6 | 10:18 | 15 |
| აკადემიკა | 13 | 3 | 5 | 5 | 7:11 | 14 |
| ნავალი | 13 | 3 | 4 | 6 | 11:14 | 13 |
| ფერეირა | 13 | 3 | 3 | 7 | 15:22 | 12 |
| სეტუბალი | 13 | 3 | 2 | 8 | 7:17 | 11 |
| რიუ ავე | 13 | 2 | 4 | 7 | 10:16 | 10 |
| ბელენენსეში | 12 | 2 | 4 | 6 | 11:20 | 10 |
| ტროფენსე | 12 | 2 | 2 | 8 | 10:18 | 8 |

### II ლიგა

სანტა კლარა — ოლიანენსე 0:2; ესტორილი — ვარზიმი 1:0; ფრიმუნდე — ფეირენსე 2:2; გონდომარი — ავეში 0:1; კოვილია — ვიზელა 1:1; ჟილ ვისენტე — ბოავიშტა 2:0; ლეირია — ოლივეირენსე 1:0; პორტიმონენსე — ბეირა მარი 1:1

# ინგლისი

### I ლიგა

ჰადერსფილდი — ოლდემი 1:1. ბრაიტონი — ნორთჰემპტონი, კარლაილი — უოლსოლი, კოლჩესტერი — ტრანმერი, ჰერეფორდი — ლიდსი გადაიდო

### II ლიგა

ბრედფორდი — შრიუსბერი 0:0; დარლინგტონი — ბორნმუთი 2:1; როჩდეილი — აკრინგტონი 3:1; როტერჰემი — დაგენემი 1:1; უიკომბი — ბარი 2:1. ალდერშოტი — ნოთსი, ბარნეტი — გრიმსბი, ჩესტერი — ლუთონი, ექსეტერი — პორტ ველი, მორეკომბი — ლინკოლნი გადაიდო

### კონფერენსლიგა

#### 1 იანვარი

ქრიული — უოკინგი 2:2; გრეისი — ებსფლითი 3:1; ლიუისი — ისტბორნი 0:2; ოქსფორდი — სალისბერი 2:0; რაშდენი — სტივენეიჯი 1:1; იორკი — ბარტონი 1:3. ფორესტ გრინი — კიდერმინსტერი და ალტრინჩემი — ნორთვიჩი გადაიდო

#### 3 იანვარი

სტივენეიჯი — ლიუისი 3:0. ისტბორნი — ოქსფორდი, ებსფლითი — რექსემი, სალისბერი — რაშდენი გადაიდო

### სამხრეთ კონფერენსლიგა

ველსტონი — ჰემპტონი 0:3; ბოგნორი — უიბლდონი 1:5; ბრომლი — ჰავანთი 2:2; ნიუპორტი — ჩელმსფორდი 3:1. ჰაიესი — ვორჩესტერი, სტ ალბანსი — დორჩესტერი, თაროკი — თიმ ბათი, ბასინგსტოკი — ველინგი, ბათი — სტორტფორდი, ბრაინთრი — მეიდენჰედი გადაიდო

### ჩრდ. კონფერენსლიგა

ალფრეტონი — გეითჰედი 1:3; კინგს ლინი — ტელფორდი 1:1; გეინსბრო — სოლიჰალი 1:1. ბარსკო — ტამვორთი, ფლიტვუდი — ჰაიდი, ჰაროგეითი — საუთპორტი, ჰინკლი — ფარსლი, რედიჩი — ვაქსჰოლი, სტაფორდი — ვორკინგტონი, სტალიბრიჯი — ჰაკნალი გადაიდო

### ასოციაციის თასი

ტოტენჰემი — უიგანი 3:1; ჰარტლპული — სტოკი 2:0; არსენალი — პლიმუთი 3:1; კარდიფი — რედინგი 2:0; ჩარლტონი — ნორვიჩი 1:1; ჩელსი — საუთენდი 1:1; ქოვენთრი — კიდერმინსტერი 2:0; ფორესტ გრინი — დერბი 3:4; ჰალი — ნიუკასლი 0:0; იფსვიჩი — ჩესტერფილდი 3:0; კეტერინგი — ისტვუდი 2:1; ლესტერი — კრისტალ პალასი 0:0; მაკლსფილდი — ევერტონი 0:1; სიტი — ნოტინგემი 0:3; მიდლსბრო — ბაროუ 2:1; მილუოლი — ქრიუ 2:2; პორტსმუთი — ბრისტოლი 0:0; ქუინზ პარკი — ბარნლი 0:0; უენსდი — ფულემი 1:2; სანდერლენდი — ბოლტონი 2:1; ტორკი — ბლექპული 1:0; უოტფორდი — სკანთორპი 1:0; ვესტ ბრომვიჩი — პიტერბრო 1:1; ვესტ ჰემი — ბარნსლი 3:0; პრესტონი — ლივერპული 0:2; ჯილინგემი — ასტონ ვილა 1:2; საუთჰემპტონი — მანჩესტერი 0:3. ბირმინგემი — ვულვზი, ჩელტენემი — დონკასტერი, პისტონი — სუონსი, ლეიტონი — შეფილდი გადაიდო

# კვიპროსი

### I ლიგა

დოქსა — აპეპ 3:2; პაფოსი — ათრომიტოსი 1:0; ეთნიკოსი — ანორთოსისი 0:1; აეკ — პარალიმნი 2:2; ომონია — აპოლონი 1:0; კინირასი — ალკი 1:0; ლიმასოლი — აპოელ 0:1

# საფრანგეთი

### თასი

სტ ჟენევიევი — ლილი 0:3; დარკი — ტური 1:7; იზეური — ლე მანი 0:0 (4:5პ); ალფორტვილი — ლევერი 0:2; შირეინი — კლერმონი 4:2; ბუტონი — სედანი 0:2; რაონი — გრენობლი 0:0 (3:4პ); ალენსონი — ლორიანი 2:2 (2:3პ); ბეიონი — ვიტრი 0:2; გრანდ სიტი — კალე 1:1დ.დ (0:0, 4:2პ); მონპელიე — დანკერკი 0:1; პორტ ლა ნუველი — როდეზი 0:3; სტ ომერი — გენგამი 1:3; ვანი — შატორუ 1:0; ვალკურტი — დიჟონი 0:5; ევრი — კრეტეი 0:5; საონი — ორლი 2:1; ბლანაკი — მონაკო 0:1; მონტლუკონი — პარიზი 0:1

# ჩრდ. ირლანდია

## პრემიერლიგა

#### 1 იანვარი

ბანგორი — კლიფტონვილი 1:1; კრუზეიდერსი — ნიური 2:1; გლენავონი — დანგანონი 2:2; ლინფილდი — ბალიმენა 1:0. ინსტიტუტი — გლენტორანი და კოლერეინი — ლისბურნი გადაიდო

#### 3 იანვარი

ბალიმენა — ლისბურნი 1:0; კლიფტონვილი — ლინფილდი 1:2; დანგანონი — ბანგორი 3:2; გლენტორანი — გლენავონი 2:0; ნიური — კოლერეინი 0:4. ინსტიტუტი — კრუზეიდერსი გადაიდო

# უელსი

## პრემიერლიგა

პორტ ტალბოტი — აბერისთვითი 1:1; ტნს — დრუიდსი 4:1. ნითი — კონაჰი, კარმართენი — ჰევერფორდვესტი, ველშპული — პრესტატინი, ქეარსვსი — ლანელი, ბანგორი — პორთმადოგი, აირბასი — ნიუთაუნი, რილი — კერნარფონი გადაიდო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ძვირფასო მკითხველო!

გასახდელიდან გამოსული ძირითადი შემადგენლობის 21 ფეხბურთელი გილოცავთ შობა-ახალ წელს!

მოგვიანებით გამოჩნდა გზააბნეული 22-ე ფეხბურთელი, რომელიც ასევე გილოცავთ...

სათადარიგოთა სკამი გილოცავთ...

სათადარიგოთა სკამის სახურავიც გილოცავთ...

დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მესამე სექტორის მეოთხე რიგის მეხუთე სკამის გვერდითი სკამი გილოცავთ...

მე-6 და მე-7 სექტორებს შორის კიბის მე-9 საფეხური გილოცავთ...

მოედნის ცენტრი გილოცავთ...

ჯარიმა მეხუთე წუთზე გილოცავთ...

„პადკატი“ მეცხრე წუთზე გილოცავთ...

მოედნიდან ამოგლეჯილი ბელტი გილოცავთ...

ყვითელი ბარათი მეოცე წუთზე გილოცავთ...

თამაშგარე მდგომარეობა 35-ე წუთზე გილოცავთ...

ტრიბუნისკენ გაფრენილი ბურთი გილოცავთ...

ტრიბუნიდან უკან გადმოგდებული ბურთი ისევ გილოცავთ...

მარცხენა კარის ზედა მარჯვენა ძელი გილოცავთ...

კუთხურის ოთხივე ალამი გილოცავთ...

გვერდითი მსაჯების ალმებიც გილოცავთ...

პენალტის ნიშნული გილოცავთ...

კარიდან გამოტანილი ბურთი გილოცავთ...

ტრავმა მე-40 წუთზე გილოცავთ...

მოედანზე შემოვარდნილი ექიმი გილოცავთ...

მსაჯთან მოჩხუბარი ფეხბურთელი გილოცავთ...

შეცდომით ჩათვლილი გოლი გილოცავთ...

ძელს მოხვედრილი ბურთი გილოცავთ...

მეკარე ნახტომში გილოცავთ...

მსაჯისკენ ნასროლი საგანი გილოცავთ...

46-ე წუთზე ჩაშლილი თამაში გილოცავთ...

საპრესკონფერენციო მაგიდიდან მარცხნიდან მესამე მიკროფონი გილოცავთ შობა-ახალ წელს!

# ანეკდოტები

მოკრივე შეყვარებულს: ძვირფასო, დღევანდელი კრივის მერე კაფეში შევხვდეთ.

— კეთილი. ოღონდ ხელში გაზეთი დაიკავე, შეიძლება, ვერ გიცნო...

ქართულმა დელეგაციამ კი ერთი ოლიმპიური ოქრო მოიხვეჭა: ჩვენმა ნიკუშა ცაგარეიშვილმა გერმანელ ვოლფ შლუმანს ორი დღით ადრე აღებული ოქროს მედალი ბანქოში მოუგო.

— რატომ ახურავთ წყალში მხტომელებს ქუდი?

— ჩახტომისას კაფელზე თავის დარტყმისას, ტვინის შერყევა რომ არ დაემართოთ.

# რას არ გაიგებ კომენტატორისგან

სათადარიგოთა სკამი ფეხზე წამოხტა.

მეკარეს და ქალს ასაკს არ ეკითხებიან.

ლეონენკო ყოველთვის სახიფათოა. მაშინაც კი, როცა მოედანზე არ არის.

ამაზე უფრო ცარიელი კარი ცხოვრებაში არ მინახავს.

# სახალისო ფოტო



# GUINNESS WORLD RECORDS



**ინგლისელ** ტანმოვარჯიშეთა კლუბ „ბლუ ფალკონსის“ ათი ტანმოვარჯიშე ერთი საათის განმავლობაში ღვირს 5685-ჯერ გადაახტა. ეს ამბავი 2003 წლის 13 სექტემბერს ჩელმსფორდში მოხდა.

# სპორტი და ისტორია



**წლიდან** წლამდე, ყოველ ახალ წელს, ერთი ტელეკომპანია მაინც გვიჩვენებს ხოლმე ძველ, შავ-თეთრ ფილმს: „მზიური ველის სერენადა“...

„მზიური ველის სერენადაში“ კი თამაშობენ უდიდესი მუსიკოსი გლენ მილერი, ვინც საკუთარ თავს ასახიერებს და სონია ჰენი, ვინც ლტოლვილი გოგონას როლს თამაშობს. ამ რუბრიკაშიც „მზიური ველის სერენადა“ სწორედ ჰენის გამო მოხვდა.

ეს ნორვეგიელი გოგონა 15 წლის გახლდათ, პირველად რომ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. ეს 1928 წლის ამბავია, საერთოდ კი, ჰენი სამჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულ სრიალში. ხოლო პირველად რომ მიიღო მონაწილეობა ოლიმპიადაში, 1924 წელს, სულაც 11 წლისა იყო.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ათგზის მსოფლიოსა და ექვსგზის ევროპის საუკეთესო ფიგურულად მოციგურავე — ეს ჰენის მართლაც უნიკალური სპორტული მიღწევებია. ამავე დროს ის გახლდათ პიონერი სპორტსმენთაგან, რომელმაც სპორტი ბიზნესს შეუთავსა და ამით დიდძალი ფული იშოვა. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ მან დაარსა კომერციული საციგურაო შოუ და მონაწილეობა მიიღო 12 ფილმში, რომელთაგან ყველაზე განთქმულიც „მზიური ველის სერენადაა“.

ჰენიმ ჯამში დაახლოებით 50 მილიონი დოლარი მოიხვეჭა, რაც დღესაც ხომ უზარმაზარი ფულია, იმ დროს კი საარაკო სიმდიდრე გახლდათ. ჰენი 1969 წლის 12 ოქტომბერს თვითმფრინავში გარდაიცვალა, როცა პარიზიდან ოსლოში მიფრინავდა.

# სარბიელის კვირის რეიტინგი

1. გიორგი მერებაშვილი (საქართველოს ჩემპიონატის პირველი ნახევრის საუკეთესო ფეხბურთელი „სარბიელის“ ვერსიით); 2. ნესტორ მუმლაძე (საქართველოს ჩემპიონატის პირველი ნახევრის საუკეთესო მწვრთნელი „სარბიელის“ ვერსიით), 3. ლევან ახვლედიანი (მესამე ვადით ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი); 4. კახა კალაძე (მესამე ადგილი უკრაინის ტოპ-ტრანსფერებში); 5. ზაზა ფაჩულია (10 ქულა ნბა-ში); 6. მათე ვაწაძე (საქართველოს ჩემპიონატის პირველი ნახევრის საუკეთესო ახალგაზრდა „სარბიელის“ ვერსიით); 7. გოჩა ჯამარაული (მე-14 ადგილი უკრაინის ტოპ-ტრანსფერებში); 8. ვასილ გიგიაძე (მე-16 ადგილი უკრაინის ტოპ-ტრანსფერებში); 9. გიორგი გაბედავა (საქართველოს ჩემპიონატის პირველი ნახევრის აღმოჩენა „სარბიელის“ ვერსიით); 10. ირაკლი კიკნაძე (საქართველოს ჩემპიონატის პირველი ნახევრის აღმოჩენა „სარბიელის“ ვერსიით)




სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია

მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე

ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, მაია ჯიჯავა

უცხოური ფეხბურთი: გია ახვლედიანი, ვაჟა ხუციშვილი

სპორტი: ლევან მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი

კომპიუტერული ცენტრი: მაგდა ლოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge